სხვადასხვა სახის არაერთგვაროვნობები, რომლებიც ცალსახად გადადის მზა პროდუქციაში, თერმული დამუშავების შემდეგ. ეს ყველაფერი მაშინ თუ დგანი იმუშავებდა რამოდენიმე პროფილზე. დღეს სორტული საამქრო აქცენტირებულია საარმატურო ფოლადის – არმატურის წარმოებაზე და უშვებს NN32,28,25; 22,20,18; 16;14,12 მმ. მზა პროდუქცია მიიღება უწყვეტი გლინვის ასეთი სქემებით: NN 32,28,25მმ – X კალიდან; NN 22,20,18მმ – XII კალიდან; 16მმ – XIV კალიდან; NN 14,12მმ – XVI კალიდან, ე.ი. ბოლო პროფილების გლინვისას ჩართულია 16-ვე კალი. ჩვენი ანალიზით, გლინვის ასეთი სქემების გამოყენება არ იძლევა საშუალებას ვმართოდ მთმდ-ის პროცესები. ხორციელდება საჭირო სიმტკიცის მაჩვენებლების მიღება პლასტიკურობის გარკვეული სიდიდით შემცირების ხარჯზე. მართვადი პროცესების მისაღებად ჩვენს მიერ შემოთავაზებული იქნა გლინვის ახალი სქემები. ორივე შემთხვევაში გლინვა მთავრდება XIII–XIV კალებზე, რომელთა ადგილებს იკავებენ დაკალიბრების შეუცვლელად (მორიგეობით) IX-X და XI-XII კალები. დღეს აპრობირებულია N28მმ და N25მმ პროფილების გლინვა და დაფიქსირებულია რღვევის ტოტალური ენერგიის ცვლილებები $E_T^{N28} = E_T^{XIV} - E_T^X \approx 1900$ ნ.მ., $E_T^{N25} = E_T^{XIV} - E_T^X \approx 3000$ ნ.მ, რაც მიუთითებს იმაზე, რომ დეფორმაციის ახალ ულუფებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. იმისათვის, რომ გაკეთდეს საბოლოო დასკვნები საჭიროა დეტალურად შევისწავლოთ აღნიშნული პროცესები და შეიქმნას პირობები ექსპერიმენტების საჭირო მასშტაბით ჩატარებისა, რასაც დასჭირდება უჯრებზე XIII, XIV, XV, XVI ამძრავების შეცვლა (გაზრდილი სიმძლავრეებითა და ხისტი მახასიათებლებით). არსებობს მეორე ვზა დაკალიბრების კუთხით, რომელიც ასევე რთულია, მაგრამ მოსალოდნელი შედეგები გარანტიაა იმისა, რომ წრთობის წინ გვექნება ფრაგმენტირებული აუსტენიტი, ხოლო წრთობა – თვითმოშვების შემდეგ – სიმტკიცის მაჩვენებლების ზრდა პლასტიკურობის შემცირებლად. ეს კი ახალი სტრატეგიის საფუძველია.


საკვანძო სიტყვები: №25მმ გლინვა ძველი და ახალი სქემებით; ტოტალური (ჯამური) ენერგია – E_Tნ.მ.; ტოტალური ენერგიის ნაზრდი $E_T^{N25} = E_T^{XIV} - E_T^X \approx 3000$ ნ.მ; მთმდ-ის ახალი სტრატეგია.

“მასალათა თვისებების ლაბორატორია“-ში (ახლ: “მასალათა თვისებების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი” – “მთსსც”) არსებული ექსპერიმენტალური მონაცემების ახლებული ანალიზი და პერსპექტივები შპს “რუსთავის ფოლადის” ფოლადსადნობი და სორტსაგლინავი საამქროების სპეციფიკების გათვალისწინებით

დღეს შპს “რუსთავის ფოლადის” სორტსაგლინავ საამქროს ასეთი სახე აქვს: ნამზადის (კვადრატი100x100მმ) განყოფილება თანამედროვე მეთოდური ლუმელით, 16 კალიანი მართვადი

უწყვეტად გლინვის ღვანი, რომელსაც გააჩნია ხელითმართვადი გამაციებელი სისტემა (მომდ-ის ჩასატარებლად), ორი მფრინავი მაკრატელი, პირველი VI უჯრის შემდეგ, დაზიანებული თავების მოსაჭრელად, ხოლო მეორე გამაციებელი დანადგარის შემდეგ, მზა პროდუქციის ნაკადში დასაჭრელად. სათანადო ზომებად დაჭრილი მზა პროდუქცია მიეწოდება თანამედროვე ღონის მქონე მაცივარს, რომლის შემდეგ ცივად ჭრის მაკრატელზე წარმოების სათანადო სიგრძისა და წონის პაკეტების დამზადება, რის შემდეგ მზა პროდუქცია ეგზავნება მომხმარებელს.


სხვადასხვა დიამეტრის (NN32,28,25;22,20,18;16;14,12მმ) არმატურის გლინვა ხორციელდება მოყვანილი სქემის მიხედვით:



გლინვის პროცესი პროფილებისთვის NN 32, 28, 25 მმ მთავრდება X-ე გალზე, NN 22, 20, 18 მმ – XII გალზე, N16 მმ – XIV გალზე, NN14, 12 მმ – XVI გალზე, ე.ი. მხოლოდ NN14 და 12 მმ გლინვისას მონაწილეობს უწყვეტი გლინვის მთლიანი სისტემა. სხვა შემთხვევაში გაციების დაწყებამდე ფიქსირდება პაუზები (ყველაზე მცირე 16 მმ-ის დროს) ~ 3-4 წამი, რომელიც საკმარისია მეტადინამიკური რეკრისტალიზაციის განხორციელებისთვის (შევნიშნავთ, რომ ამ პროცესს არ სჭირდება ინკუბაციის პერიოდი).

XX საუკუნის 70-იან წლებიდან ტექნიკურ ლიტერატურაში გამოჩნდა პუბლიკაციები, რომლებმაც ძირეულად შეცვალეს არსებული წარმოდგენები ცივ და ცხელ პლასტიკურ დეფორმაციებზე დიდხანს ასე განმარტავდნენ: თუ დეფორმაცია სრულდება ამ ლითონის (შენადნობის) რეკრისტალიზაციის ტემპერატურაზე დაბლა მაშინ საქმე გვაქვს ცივ პლასტიკურ დეფორმაციასთან, ხოლო რეკრისტალიზაციის ტემპერატურაზე მაღლა განხორციელებული დეფორმაცია იყო ცხელი პლასტიკური დეფორმაცია. აღმოჩნდა, რომ შესაძლებელია დეფორმაცია სრულდებოდეს სოლიდუსთან ახლოს, მაგრამ დეფორმაციის გარკვეულ ზღვრამდე პლასტიკური დეფორმაცია ხორციელდება (სრულდება) განმტკიცებით. აღებულ სისტემას არ შეუძლია უწყვეტად შთანთქოს ან გამოასხივოს

ენერგია. დიაგრამას აგებულს ჭეშმარიტ კოორდინატებში “S-e” (“ძაბვა-დეფორმაცია”) გააჩნია “კუზი“-მაქსიმუმი მით მკვეთრად გამოხატული, რაც უფრო დაბალია დეფორმაციის ტემპერატურა და მაღალია დეფორმაციის სიჩქარე. აღებულ პირობებში თუ დეფორმაცია სრულდება $e_{კრ}$ -მდე, მაშინ პლასტიკური დეფორმაცია სრულდება განმტკიცებით (დიაგრამაზე oa მონაკვეთი)



სურ. 1. ცხელი პლასტიკური დეფორმაციის მრუდი კოორდინატები “S-e” (სქემა)

როდესაც $e > e_{კრ}$ (დიაგრამაზე ab მონაკვეთი) იწყება, ე.წ. “დარბილების” პროცესები: დინამიკური პოლიგონიზაცია და დინამიკური რეკრისტალიზაცია. დეფორმაციის გაზრდით განმტკიცებისა და “დარბილების” პროცესებს შორის მყარდება გარკვეული წონასწორობა (დიაგრამაზე bc შტო). შევნიშნავთ, რომ ცხელი პლასტიკური დეფორმაციის ნებისმიერ სტადიაზე დეფორმირებული ლითონი ხასიათდება დისლოკაციების გაზრდილი სიმკვრივით, რომელიც წარმოადგენს თერმოდინამიკურ სტიმულს, რომლის ხარჯზე ვითარდება პროცესები დეფორმაციის დამთავრების შემდეგ. ეს პროცესებია: სტატიკური “მობრუნება”, სტატიკური რეკრისტალიზაცია და მეტადინამიკური რეკრისტალიზაცია. აღნიშნული გვქონდა, რომ მეტადინამიკური რეკრისტალიზაცია სრულდება მაშინვე, რადგან მას არ აქვს ინკუბაციის პერიოდი, ამიტომ აღნიშნულ სახეებიდან მას აქვს პრაქტიკისათვის დიდი მნიშვნელობა. ასევე მნიშვნელოვანია არსებული განმარტებები თერმომექანიკურ

დამუშავებაზე. თერმომექანიკური დამუშავება წარმოადგენს [1] სხვადასხვა თანმიმდევრობით ჩატარებულ პროცესების “დეფორმაციის”, “გახურებისა” და “გაციების” ერთობლიობას, რაც რა თქმა უნდა განაპირობებს კრისტალური წყობის დეფექტების სიმკვრივის გაზრდას და როგორც შედეგი, განაპირობებს მომდევნო სტრუქტურულ ცვლილებებს. ასევე, ყურადსაღებია მომდევნო განმარტება [2]: “თერმომექანიკური დამუშავება თერმული დამუშავების სახეა, რომელიც მოიცავს პლასტიკურ დეფორმაციას, კრისტალური წყობის დეფექტების სიმკვრივის გაზრდის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას, ასეთ დეფორმირებულ მატრიცაში სრულდება ფაზური $\alpha \rightarrow \alpha'$ გარდაქმნა თერმულ დამუშავებისას. მაშასადამე უფრო ეფექტურია დისლოკაციებისა და სხვა სახის კრისტალური წყობის დეფექტების სიმკვრივის გაზრდა დამუშავების არა რომელიმე ეტაპზე, არამედ მაშინ, როცა დეფორმირებულ მატრიცაში სწრაფი გაცივებით განხორციელდება გარდაქმნა $\alpha \rightarrow \alpha'$ ”.

ჩვენი პოზიციის საფუძველია XX საუკუნის 30-იან წლებში ევროპელების მიერ (განსაკუთრებით გერმანელების) ჩატარებული ფართომასშტაბიანი კვლევების შედეგები. აღნიშნულს, რა თქმა უნდა, უნდა დაემატოს ჩვენ მიერ ლაბორატორიულ პირობებში პრეციზიულად ჩატარებული კვლევების შედეგები [3]. სისტემატურად იყო გამოყენებული ოსცილოგრაფირების მეთოდი. ვიწვრდით ლითონის საერთო წნევას გლინებზე, ბრუნვათა რიცხვს (გლინვის სიჩქარეს) და საჭიროების შემთხვევაში ტემპერატურას (ლითონის) დამუშავების მთლიან ციკლში (გახურება, დეფორმაცია, გაცივება). გახურება წარმოებდა ელექტრო-ლუმელში, რომელიც მიდგმული იყო მუშა უჯრაზე. სპეციალური გეომეტრიის მქონე ნიმუშები, რომლებსაც გავლილი ჰქონდათ წინასწარი თერმული დამუშავება (ორმაგი მოწვა ან მოწვა+გაუმჯობესება) ხურდებოდა თაროებზე. სათანადო დაყოვნების შემდეგ გასაგლინი ნიმუში იღებოდა სპეციალურ ღარში. მცირე დაყოვნების შემდეგ იღებოდა დაწყვილებული კარები და სპეციალური ბიგარის საშუალებით გახურებული ნიმუში მიეწოდებოდა გლინებს. გლუვ კასრზე დეფორმირებული ლითონი ვარდებოდა ავზში, სადაც სპეციალური ექსპერიმენტების გარდა, გვქონდა გამდინარე წყალი. ჩვენს მიერ შესწავლილი იყო, ძირითადად, სხვადასხვა კლასის ფოლადები. გამოყენებული იყო აგრეთვე, როგორც სამოდელო შენადნობი, ღურალუმინი. აღებულ მასალაზე (ფოლადზე) შეისწავლებოდა ფართომასშტაბიანი წინასწარი ექსპერიმენტების შემდეგ, მხოლოდ გლინვის სიჩქარის გავლენა მაღალტემპერატურულ თერმომექანიკურ დამუშავების დროს (მომდ). გავლილ ზოლებიდან სათანადო თერმული დამუშავების შემდეგ (აღნიშნული არ ეხება ღურალუმინს, ქრომონიკელიან უჟანგავ ფოლადებს და სხვას, რომელთა სისალე წრთობის შემდეგ უმნიშვნელოდ იცვლება). მზადდებოდა ნიმუშები

მექანიკური გამოცდების ჩასატარებლად. შეისწავლებოდა სტრუქტურა, ტარდებოდა ფრაქტოგრაფიული ანალიზი და სხვა. ფრანკისა და ჰერცის ცდების მსგავსად (ე.წ. “ლაქვანგვის პრინციპი”) ჩვენს მიერ დაფიქსირებულია დიაგრამაზე “მექანიკური თვისებები – გლინვის სიჩქარე” სიმტკიცის მაჩვენებლების (σ_s , σ_{ϕ}) ორი ზრდადი მაქსიმუმი, მესამე ნავარაუდევია (სურ. 2). ჩვენს ექსპერიმენტებში ($t_{\text{დოვ}}=800-1000^{\circ}\text{C}$; $\epsilon=10-50\%$; $V=1.5$ მ/წმ) ვცადეთ საერთო წნევების მონაცემების ანალიზით დაგვედგინა “კუზი” (მაქსიმუმი) a წერტილი, ხოლო $a-b$ უბანზე გადასვლა გაგვეხორციელებინა გლინვის სიჩქარის გაზრდით. მიღებული შედეგები არასტაბილური იყო. სწორედ ამ პერიოდში (1970-იანი წლები) “МИСиС”-ში, პროფესორ მ.ლ.ბერნშტეინთან ათვისებული იყო ყოფილი აუსტენიტის მარცვლების გამომჟღავნების მეთოდი – ნიმუშების (შლიფების) მოწამვლის მეთოდი. პიკრინის მჟავის გაჯერებული წყალხსნარი, რომელსაც დამატებული ჰქონდა 0.5-4.0% “სინთოლის” ფხვნილი, ხურდებოდა $30-70^{\circ}\text{C}$ -ზე. ასეთ არეში ვათავსებდით შლიფებს, დაყოვნების ხანგრძლივობა შეადგენდა 30-120 წამს. ამის შემდეგ შლიფების გაპრიალებული ზედაპირები იწმინდებოდა მაუდის ნაჭერზე. მკვეთრი ბადის მისაღებად საჭირო იყო აღნიშნული პროცესის რამდენჯერმე გამეორება. სურათებზე 3, 4, 5 მოტანილია (შესაბამისად) “დეფორმაციის სიჩქარის გავლენა ფოლად 50XΦА-ს დარტყმით სიბლანტეზე მომდ-ის დროს” ნიმუშების სხვადასხვა ტემპერატურებზე ($+20^{\circ}\text{C}$; -40°C ; -120°C ; -196°C) გამოცდისას (სურ.3). სურ.4-ზე (ა, ბ, გ, დ, ე, ვ) ზემოთ აღნიშნული მეთოდის გამოყენებით მიღებული სტრუქტურები (ყოფილი აუსტენიტის მარცვლების საზღვრები) ფოლად 50XΦА-ს სხვადასხვა რეჟიმით დამუშავებისას (ა-ჩვეულებრივი წრთობა, ბ-მომდ $V=1.8$ მ/წმ, გ-მომდ $V=3.5$ მ/წმ, დ- მომდ $V=6$ მ/წმ, ე- მომდ $V=11.4$ მ/წმ, ვ- მომდ $V=14.1$ მ/წმ); სურ.5-ზე (ა, ბ) მოცემულია რაოდენობითი ანალიზის შედეგები მიღებული იმავე ფოლადზე და იგივე რეჟიმებზე. მოყვანილი ჰისტოგრამები აადვილებს ოპტიმიზაციის საკითხების გადაჭრას. ეს მაშინ, როცა აღებულ რეჟიმებზე ($t^{\circ}\text{C}$, E %) გვაქვს ხუთ სიჩქარეზე ჩატარებული მომდ-ა. სხვანაირად, $V=11.4$ მ/წმ დროს მიღებულია შედეგები $\sigma_{\phi}=2350-2400$ ნ/მმ², $\sigma_s = 1980$ ნ/მმ², $\alpha_1 = 120$ ჯ/სმ², $\psi = 35\%$ და სხვა, რომელთა პრაქტიკაში რეალიზაცია თხოულობს ახალი დგანის კონსტრუირებას.

ალბათ, მოკლედ მოყვანილი ექსკურსი საკმარისია იმისათვის, რომ ჩვენ კონკრეტულად ავღნიშნოთ: უკეთეს შემთხვევაში, თუ არ არსებობს მოცემულ შენაღობზე (ფოლადზე) “S-e” დიაგრამა, დაფიქსირდება მომდ დროს პლასტიკურობის მახასიათებლების “გადაყვანა” სიმტკიცის მაჩვენებლებში (რა თქმა უნდა, არმატურის გამძლეობის გაუარესების ხარჯზე). ეს იქნება საშუალო

დონის რეზულტატი. “S-e” დიაგრამის არსებობის შემთხვევაში საჭიროა მოენახოთ სტაბილური გზები სასურველი რეჟიმების შესარჩევად. საინტერესოა განვიხილოთ თდ ძაბვის აღმავალ შტოდან (1. სურ.1-დან), σ_a შტოზე ჩატარებულ პლასტიკურ დეფორმაციას მოაქვს განმტკიცება, რომელსაც ემატება $\tau \rightarrow \alpha$ გარდაქმნით გამოწვეული განმტკიცება. საბოლოოდ, სიმტკიცის მაჩვენებლები იქნება მაღალი, ხოლო პლასტიკურობის დაბალი. განვიხილოთ წრთობა 3-ე უბნიდან (დიაგრამის BC-შტო სურ1). ამ უბანზე, როგორც ცნობილია, დამყარებულია განმტკიცებისა და “ღარბილების” პროცესებს შორის გარკვეული დინამიკური წონასწორობა. მარცვლები დეფორმირებულია, მაგრამ მათი ზომები თითქმის უცვლელია. შპს “ქართული ფოლადის” სორტსაგლინავი დგანის მაგალითზე, დიამეტრები NN14,12 მმ. ამ ნომრების გლინვისას ჩართულია 16-ვე გალი, ე.ი: ღრმად დეფორმირებული მზა პროდუქცია ყოველგვარი პაუზების გარეშე ხვდება გამაცივებელ სისტემაში. ჩვენ დაწვრილებით შევისწავლეთ არმატურები N14 და N12 მმ მთმდ-ის შემდეგ, მიღებული შედეგები “საშუალო”, თუმცა დაცულია მთმდ-ს რეკომენდირებული ბევრი პირობა. სხვანაირად, ზემოთ მოყვანილი მთმდ-ის განმარტებები არ არის სრულყოფილი. NN14,12 მმ-ის გლინვისას დეფორმაციები მაღალია ($M_{N14}=65$, $M_{N12}=89$) გაცივების პროცესი იწყება პაუზების გარეშე. თუ განვიხილავთ “საშუალო” (გასაშუალებულ) შედეგებს ისინი “კარგია”; საკმარისია ავავოთ ჰისტოგრამები მაჩვენებლებზე σ_B , σ_L , δ_7 , E_T და სხვა, მაშინ ნათელი გახდება მთავარი (ამის კარგი მაგალითია ფოლადი 50XΦA მიღებული მონაცემები, დეფორმაციის სიჩქარის ცვლილებისას – სურ. 2,3,4,5): მხოლოდ პრეციზიული ხერხებით შეიძლება მიღებულ იქნეს სტაბილური შედეგი. 2-ე მაგალითი წრთობა ab-უბნიდან (სურ.1). თუ დავუშვებთ, რომ პოლიგონიზაციის პროცესები ჩატარებულია სრულად, მაშინ მთმდ-ის შემდეგ გვექნება სიმტკიცის მაჩვენებლების მნიშვნელოვანი ზრდა პლასტიკურობის მაღალი დონის შენარჩუნებით. თუ აღნიშნული პირობები იქნება სტაბილურად მართვადია, მაშინ მთმდ-ის ძირითადი ამოცანა იქნება ამოხსნილი. ჩვენ დეფორმაციის “რბილად” გასაზრდელად გამოყენებული გვექონდა გლინვის სიჩქარის ზრდა, სწორედ ამ ფაქტორის ცვლამ მიგვიყვანა ფოლად 50XΦA – ზე რეკორდული სიმტკიცის $\sigma_B = 2400$ მიღებამდე და სხვა.

ყველაფერმა, ზემოთ აღნიშნულმა მკვლევარები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ (გასული საუკუნის 80-იანი წლები) სტაბილური შედეგების მისაღებად თავი უნდა შევიკავოთ მთმდ-ის გამოყენებისაგან (დასაშვებია პრეზიციული მეტალურგიის გამოყენებით მიღებული შედეგები, მაგალითად, ფრაგმენტირებული აუსტენიტის სწრაფი გაცივებით მიღებული მონაცემები!) და უნიფიცირებული არმატურის B500W ვაწარმოოთ თერმული დამუშავების გარეშე ფოლადის კარგი

შედულებადობით ($C \leq 0.22\%$, $CE \leq 0.43\%$), ე.ი. აღნიშნული ამოცანა უნდა გადაიჭრას რეგლამენტირებული ქიმიური შედგენილობის მქონე ფოლადის ცხელი პლასტიკური დეფორმაციით. აღნიშნული ავალდებულებს ტექნოლოგ ლითონმცოდნეებს შექმნან ახალი კომპოზიციები და მათი დამუშავების ახალი მეთოდები. ამ მხრივ წარმატებებია გაზისა და ნავთობის სატრანსპორტო მილების, ფირმა SMA – Demag-ის ახალი ტექნოლოგიებში (კერძოდ, კონტროლირებული გლინვა სწრაფი, $V=20^{\circ}C/წმ$ გაცივებით; დეფორმაციას აუსტენიტის სტაბილურ არეში მოსდევს წრთობა ბენიტზე).

ჩვენს სტრატეგიულ დასკვნას (-ებს) ასეთი სახე ექნება (ექნებათ)

საჭიროა შემუშავდეს კომპოზიცია (ფოლადის ქიმიური შედგენილობა) და “ხელმისაწვდომი” კონტროლირებული გლინვის მეთოდი, რომელთა გამოყენებით სტაბილურად იქნება მიღებული ფრაგმენტირებული აუსტენიტი წრთობის წინ, რაც თავის მხრივ განაპირობებს სიმტკიცის მაჩვენებლების ზრდას პლასტიკურობის მაღალ დონეზე შენარჩუნებით.

თუ ჩატარებული საქარხნო ექსპერიმენტების შედეგად გაიზრდება სიმტკიცისა და პლასტიკურობის მახასიათებლები, მაშინ ეს იქნება ტექნოლოგ-ლითონმცოდნეების წარმატებული შედეგი.

ვფიქრობთ “ახალ ფენომენს”, მის სრულ “გახსნას” ბევრის გაკეთება შეუძლია ამ მიმართულებით. კერძოდ, ის ძალზე მარტივია, არ მოითხოვს (ნაკლებად მოითხოვს) ტექნიკურ ცვლილებებს, ამ მხრივ კარგი მაგალითებია: 1) B500W-ს შესრულება “ახალი ფენომენის” მეშვეობით. იმისათვის, რომ იყოს ეს ეფექტი აუცილებელია გვქონდეს რაფინირებული და სელექტირებული ფოლადი 3მმ ($C=0.17-0.22\%$; $Si=0.25-0.40\%$; $Mn=0.65-0.80\%$; $S \leq 0.01\%$; $P \leq 0.01\%$) + “შლეიფი” $< Ti=0.01-0.015\%$; $N=0.008-0.013\%$; $V=0.08-0.13\%$ $>$ + ტექნოლოგიური პროცესი – არმატურის გლინვა სორტსაგლინავ დგანზე, კერძოდ B500W წარმოება თდ-ის გარეშე, კარგი შედეგადობით ($C \leq 0.22\%$, $CE \leq 0.43\%$). 2) მილების გაჭოლვის პროცესი ფოლად 10XH3MΦT-დან წარმოებული სამართულების მედეგობის გაზრდა (რეკორდული მაჩვენებელი 800-900 მილი) და ახალი ფოლადიდან 08XH3,5DMΦT წარმოებული სამართულების მედეგობის გაზრდა (რეკორდული მაჩვენებელი 1000, 1500, 1700 მილი). მეორე კომპოზიცია იძლევა ტრადიციული თერმული დამუშავების შემდეგ (დაკომპაქტებული ორმაგი მოწვა ნორმალიზაციით) გლობულიარულ ბენიტს. არსებობს მონაცემები, რომ კომპოზიციის გამოყენება შეიძლება, როგორც საჯავშნე მასალა. 3) “ახალი ფენომენის” ეფექტი გამოძლავნებულია აგრეთვე ფოლად 40ΦT გლინვით მილსაგლინავ აგრეგატ “140”-ზე, მილების რედუცირებისას. მიღებული გვაქვს შედეგები ($\sigma_{\text{ღ}}=7506/\text{მმ}^2$) რომელიც

საშუალებას მოგვცემს, მარაგნაკეთის გამოყენებით (“ნორმალიზაცია ნაკადში”) სტაბილურად მივიღოთ $\sigma_{\text{დ}} \geq 760 \text{ ნ/მმ}^2$, სიმტკიცის “M” ჯგუფის მაღალმტკიცე სატუმბ-კომპრესორო მილები, თერმული დამუშავების გარეშე (ეს კი, უდავოდ კონკურენტუნარიან) პრაქტიკამ დაგვანახა, რომ “შლეიფი” $\langle \text{Ti}=0.01-0.015\%; \text{N}=0.008-0.013\%; \text{V}=0.08-0.13\% \rangle$ უნდა მონაწილეობდეს ყველა კომპოზიციაში, რომლებიც ღნება ელექტრორკალურ ღუმელში (სადაც სპონტანურად მიიღება $\text{N}_2 \rightarrow \text{N} + \text{N}$). თუ გვექნება შეძენილი ტიტანიანი ფეროსილიციუმი, მაშინ “შლეიფის” გამოყენება შეიძლება ყველა ღუმელში, სადაც ტარდება ღნობის პროცესი. აღნიშნულის გამო ყველა ელექტრორკალურ ღუმელში გამოღნობილ ლითონს, რომელიც ჩატარებულია სამსხმელო საამქროში, დამატებული აქვს $\text{Ti}=0.01-0.02\%$ და $\text{V}=0.08-0.13\%$. ეს შენადნობებია: შემომგლინავი დგანების სამართულების დასამზადებელი ბენიტური თუჯი (350C1H01DH5MΦT), შენადნობი (200X20DH5ΦT) ავტომატდგანის სამართულების დასამზადებლად, ლეგირებული ფოლადი (160X16DH5ΦT) მილსაგლინავი დგანების სახანავების საწარმოებლად და სხვა. კონტროლის გასაძლიერებლად, ჩვენი პროექტით, მთავარი მექანიკოსის სამსახური ამზადებს კოკილებს, რომლებშიც ყველა ნადნობიდან (სამსხმელო საამქრო) ჩამოისხმება ნიმუშები, რომლებიც გაივლიან იგივე თერმულ დამუშავებას, რასაც გადის ძირითადი ლითონი. ჩამოსხმული ნიმუშები და თღ-ის შემდეგ გადაეცემა ცენტრალურ ლაბორატორიას, სადაც ჩატარდება ნადნობის ძირფესვიანი კვლევა. იმავდროულად სორტსაგლინავ საამქროში ჩატარდება გაჭიმვაზე გამოცდები ტაივანის 100 ტონიან გამომცდელ მანქანაზე. ყველა შედეგი (ჩანაწერები ტექნოლოგიურ პროცესზე, ქიმიური შედგენილობა, მიკროანალიზის შედეგები, გაჭიმვაზე გამოცდების შედეგები თავისი დიაგრამებით, სისალეზე გამოცდების შედეგები, მილსაგლინავი დგანების ინსტრუმენტის საწარმოო გამოცდების შედეგები და სხვა) თავს მოიყრის ცენტრალურ ლაბორატორიაში, ჩატარდება ანალიზი და გაკეთდება დასკვნები. ეს კი საწინდარია იმისა, რომ რით არის განპირობებული საარმოო ნადნობზე არსებული ექსტრემალური შედეგები (კარგი და ცუდი). სხვანაირად, როგორ შეიძლება კარგი შედეგის “დაკანონება” და ცუდის აღმოფხვრა.

რაც შეეხება სიჩქარის ეფექტს რადგან პერიოდულ ლიტერატურაში ცოტაა მონაცემები, რომელთა გამოყენება შეიძლებოდა საფუძვლად, ამიტომ ჩვენ ასე ვფიქრობთ ამოვხსნათ პრობლემური ამოცანა. საბაზისოდ გამოვიყენებთ ჩვენი ექსპერიმენტის შედეგებს, ხოლო კვლევის მეთოდებს გავაუმჯობესებთ. საგლინავ დგანს ექნება იგივე სახე, ოღონდ იქნება გაცილებით მძლავრი და იმუშავებს მუდმივ ღნზე. ეს მოგვცემს საშუალებას ერთჯერადად განვახორციელოთ მოჭიმვა $\epsilon \geq 50\%$ და ექსპერიმენტები ჩავატაროთ ტოლი ბიჯით ($I=2\text{მ/წმ}$, $V_{\text{max}}=16\text{მ/წმ}$; $II=1\text{მ/წმ}$, $V_{\text{max}}=16\text{მ/წმ}$;

III=1მ/წმ, $V_{max}=30მ/წმ$) და სისტემატურად უნდა გაკონტროლდეს (დაფიქსირდეს): ლითონის საერთო წნევა გლინებზე, გლინვის სიჩქარე, საკონტროლო ექსპერიმენტებზე – ნიმუშის ტემპერატურა, პერიოდულად უნდა განხორციელდეს გაგლინული ნიმუშების სწრაფი გაცივება. ჩვეულებრივი წრთობისათვის გამოვიყენებთ ჩვენთვის უკვე ცნობილ მეთოდს. პარალელური ექსპერიმენტების რაოდენობა ≥ 5 -ზე, ვიმუშავეთ კვადრატ 16 მმ და ა.შ. უფრო ღრმა ანალიზი დაგვჭირდება საკვლევი მასალების შერჩევისას (არ უნდა დაიკარგოს ემპირიკით მიღებული სიახლეები!). მოსაფიქრებელია გამოსაცდელი ნიმუშის გეომეტრიული ზომები, ხომ არ სჯობს მაქსიმალურად ავარიდოთ თავი გაჭიმვას გამოსაცდელი ნიმუშების (მრგვალი) ჩარხვას. სამაგიეროდ გავაფართოვოთ დარტყმით სიბლანტეზე და ბზარმდეგობაზე გამოსაცდელი ნიმუშების რაოდენობა. მოკლედ საფიქრალი და გასაკეთებელი ძალიან ბევრია. სტიმულის მომცემია: ტოლ მანძილით დაცილებული ზრდადი მაქსიმუმები, რომელიც მსგავსია ფრანკისა და ჰერცის “დაქვანტვის ეფექტის”. ბოლოს აღნიშნული “სახვალის საქმეა”, მაგრამ მისი საფუძვლიანი დაწყება აუცილებელია, რადგან დეფორმაციის სიჩქარე სტრუქტურის ერთ-ერთი აქტუალური ინსტრუმენტი. სადღეისოდ, სორტსაგლინავ საამქროში გლინვის სიჩქარის ცვლილების შესაძლებლობაა გარკვეულ დიაპაზონში, მაგრამ მანამდე არსებობს “უფრო-სადღეისო საქმეები”, რომელთა გადაუწყვეტლობა “დააკონსერვებს” ამ კარგად დაწყებულ მიმართულებას. საჭიროა:

1) დუბლექს პროცესით წარმოებული ფოლადი უნდა იყოს სრულიად განჟანგული, რომელსაც დაემატება “შლეიფი” $<Ti + N + V>$ და ყველა პროფილზე (NN32-12მმ) დაფიქსირდება B500W–ს მიღების შესაძლებლობები. პარალელურად დაგროვდება იგივე ფოლადების მონაცემები თდ-ს შემდეგ. უკვე არსებულ მასალაზე (არმატურა $\sigma_{\text{დ}} \geq 500\text{ნ/მმ}^2$) დაიგეგმება და ჩატარდება ექსპერიმენტი ფოლადების საკონსტრუქციო სიმტკიცის ($a_{0.25}=a_{\text{ფ}}+a_{\text{გ}}$; T50; ბზარმდეგობა JIC; σ_{-1} და სხვა) დასადგენად. შესასწავლი იქნება აგრეთვე მოშვების ტემპერატურის გავლენა არმატურის მექანიკური თვისებების მახასიათებლებზე. დადებითი შედეგების შემთხვევაში, ჟურნალ “Металлург”–ში გაიგზავნება ცნობა, რომ შპს “რუსთავის ფოლადმა” აითვისა B500W არმატურის წარმოება, ე.წ. “ახალი ფენომენის” გამოყენებით და მზად არის მომხამრებელს მიაწოდოს პროფილების (NN 32,28,25; 22,20,18; 16;14,12) სასურველი რაოდენობა. 2) ჩატარდეს სრულიად განჟანგულ ფოლადზე, რომელიც გაიგლინება ახალი სქემით (N32მმ-ს გლინვა XIV გალიდან), ახალი ექსპერიმენტი – გამოიცდება “შლეიფის” ახალი ვარიანტი $<Ti=0.030-0.045\%; N =0.008-0.013\%>$ წინასწარი გათვლებით, აღნიშნულმა კომპლექსმა უნდა დაგვაახლოოს მიზანთან - B500W

მიღებასთან. საკუთარ (საქარხნო) ექსპერიმენტებზე დაყრდნობით აღნიშნულთან ერთად, უნდა გაუმჯობესდეს არმატურის კოროზიამდებლობა. 3) პარალელურად ვაწარმოოთ ზონდირება რა შესაძლებლობებია შპს “რუსთავის ფოლადის” მთავარი მექანიკოსის განყოფილებაში საჭირო დანადგარის კონსტრუირება-დამზადებითვის.


მასალა, კვლევის მეთოდები, შედეგები და მათი განხილვა

ძირითადი ექსპერიმენტები ტარდებოდა სელექტირებულ ფოლად 3 მშ ($C=0.17-0.22\%$; $Si=0.25-0.40\%$; $Mn=0.65-0.80\%$; $S \leq 0.02\%$; $P \leq 0.02\%$), რომელიც მიიღებოდა ღუპლექსის პროცესით (დნობა ელექტრო-რკალურ 15ტ ღუმელში, ხოლო რაფინირება ციცხვ-ღუმელში). ტრადიციულად დნობები ტარდებოდა არსებული ტექნოლოგიური ინსტრუქციების გამოყენებით. სხვა შემთხვევაში არსებულს ემატებოდა, მაგალითად “შლეიფი” $<Ti=0.01-0.02\%$; $N =0.008-0.013\%$; $V=0.08-0.13\%>$ დნობის პროცესის ბოლოში. აღნიშნული არ არის რთული განსახორციელებელი, რომ არ არსებობდეს პრობლემები უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარზე. ჩინელი კოლეგების გამოცდილებით მშვიდი ფოლადის განჟანგვა წარმოებს მხოლოდ ორი ელემენტით $<Si + Mn>$, მესამე ელემენტი ალუმინი ამოღებულია ხმარებიდან. არსებული გეგმით უჩდ-ს უნდა ჩაუტარდეს რეკონსტრუქცია, რაც საშუალებას მოგვცემს კვადრატ 100მმ-დან გადავიდეთ კვადრატ 120მმ-ის ჩამოსხმაზე. არსებობს დამაჯერებელი ვარაუდი, რომ აღნიშნული ღონისძიება საშუალებას მოგვცემს აღვადგინოთ განჟანგვა (მშვიდი ფოლადის) სამი ელემენტით $<Si+Mn+Al>$. ეს კი მოგვცემს საშუალებას გამოვიყენოთ “შლეიფი”, რომელიც ჩვეულებრივი გლინვის დროს, თდ-ს გარეშე, განაპირობებს “ახალ ფენომენს”: დენადობის ზღვრის მნიშვნელობა ორჯერ მეტად იზრდება სელექტირებულ ფოლადის შემთხვევაში, პლასტიკურობის მაღალი დონეზე შენარჩუნებით. შედუღებადობის პრობლემას “საველე პირობებში” აგვარებს ტრადიციული შეზღუდვა ნახშირბადისა და მალეგირებელი ელემენტების ($C \leq 0.22\%$; $CE \leq 0.43\%$). ყურადსაღებია შედუღების საერთაშორისო ცენტრის რეკომენდაციები: თუ $C > 0.18\%$, მაშინ $\frac{Mn+Si}{6}$, ხოლო თუ $C \leq 0.18\%$, მაშინ $\frac{Si}{30}$. მოკლედ, ასეთი მიდგომა გამორიცხავს არასასურველ პროცესებს ფოლადის შედუღების დროს.


NN 25,18,16მმ, ცალხაზად ნაჩვენები იქნა, რომ ამ ფოლადის გამოყენებით, თდ-ს გარეშე, მიიღება B500W–სთვის საჭირო მახასიათებლები. რა თქმა უნდა გასაკეთებელია სორტული საამქროს სრული ნომენკლატურა (NN 32;28;(25);22;20;(18);(16);14;12მმ) პროფილების საკონსტრუქციო სიმტკიცეთა

დადგენით ($a_{0.25}(a_{\beta}+a_{\gamma})$; T50; მზარმდეგობა $-J_1C$; დაღლილობა-O-1; თვისებათა მედეგობა მოშვების ტემპერატურის მიხედვით და სხვა.), მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ შეიძლება გაკეთდეს განაცხადი, რომ შპს “რუსთავის ფოლადის” მიერ ათვისებული იქნა ISO-ს სტანდარტის მიხედვით B500W-ს წარმოება, რომ საწარმო მზად არის მომხმარებელ მიაწოდოს B500W ტიპის არმატურის საჭირო რაოდენობა.

ჩვენს წინაშე დგას სერიოზული წინაღობა (პრობლემა), რომლის დაუძლევლად პრეციზიული მეტალურგიის მეთოდების გამოყენება აზრს კარგავს. აღნიშნულის კარგი მაგალითია არასრულად განყანგული ფოლადის მიკროლევირების საკითხები, მათ რიცხვში “შლეიფის” გამოყენების საკითხი და სხვა. ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდი, რომლის საწარმოო აპრობაცია დამთავრების სტადიაში (დაწვრილებითი ცნობები იხილეთ ჩვენს მომდევნო შეტყობინებაში) ნაჩვენებია, რომ ალუმინისა და ტიტანის ეკონომიური გამოყენებით შესაძლებელია მიღებული იქნეს სრულად განყანგული სელექტირებული მშვიდი ფოლადი 3მმ გამიზნული 100მმ-ს ჩამოსასხმელად. ეს კი ასევე საწინდარია იმისა, რომ ამუშავდეს “შლეიფი” ($Ti=0.01-0.02\%$; $N=0.008-0.013\%$; $V=0.08-0.13\%$) და გავავრძელოთ B500W გამოშვება. აღნიშნულთან ერთად, თითქმის პარალელურ რეჟიმში, ვმუშაობთ გლინვის ახალი სქემების ათვისებაზე-გამოყენებაზე. სურ. 6 მოცემულია გლინვის ახალი სქემები (სურ. 6ა - №1 სქემა, ხოლო სურ. 6ბ-№2 სქემა)



სურ. 6 ა. პროფილების NN32, 28, 25 მმ გლინვის ახალი სქემა - №1



სურ. 6 ბ. პროფილების NN22, 20, 18 მმ გლინვის ახალი სქემა - №2

მასშტაბური ექსპერიმენტებით აპრობირებულია სქემა №1 პროფილები N28მმ და N25მმ სრულად, რაც შეეხება N32 დაიწყო მისი აპრობაცია 05.03.2015. მიღებული შედეგი N28მმ უკვე გამოქვეყნებულია [4]. წარმოდგენილ ნაშრომში ძირითადად გაშუქებულია N25მმ-ზე მიღებული

შედგები. როგორც გვქონდა აღნიშნული, გლინვის პირველი სქემის შემთხვევაში დამამთავრებელი გალები IX-X, დაკალიბრების შეუცვლელად, გადატანილია XIII-XIV გალების ნაცვლად (ერთი შეხედვით: დამამთავრებელი გალების მიახლოებაა: გამაცივებელ სისტემასთან, თუმცა ამ პროცესს აქვს სხვა გააზრება). სიჩქარით $V \approx 4\text{მ/წმ}$ მუშაობა გაუჭირდათ გალებს. $V \approx 8\text{მ/წმ}$ გლინვის სიჩქარემ გამოასწორა გლინვის პროცესი, მაგრამ წინ დაგვხვდა გადაულახავი (ჯერჯერობით!) წინააღმდეგობა: გამაცივებელმა სისტემამ ვერ უზრუნველყო ნაგლინის სათანადო სიჩქარით გაცივება. ვეებთ გამოსავალს ამ ჩიხიდან. ~3-4 წმ. შუალედის არსებობა გლინვის დამამთავრებიდან გაცივების დაწყებამდე ქმნის ყველა პირობას, რომ განვითარდეს მეტადინამიკური რეკრისტალიზაცია. ამ დროს სტრუქტურათა ფორმირების საკითხებში მონაწილეობას იღებს ახალი დეფორმაციის ულუფები, მიღებული XIII-XIV გალებზე, რომელთაც მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვთ აღნიშნულ პროცესებში. ჯერ-ჯერობით დაფიქსირებულია რღვევის ჯამური-ტოტალური ენერჯის ნაზრდი მით მეტი, რაც უფრო დიდია პლასტიკური დეფორმაციის სიდიდე XIII-XIV გალებზე.

სურ. 7 ა, ბ, გ მოცემულია NN1-16 უჯრედების-გალების კალიბრება (სურ. 7ა – მოცემულია NN1-6 გალების კალიბრება, სურ. 7ბ – მოცემულია NN7-12 გალების კალიბრება, სურ. 7გ მოცემულია NN13-16 გალების კალიბრება). VI გალზე მიიღება პროფილი, რომელიც თავის-თავში აერთიანებს, როგორც კვადრატს ასევე წრეს. მისი ტრანსპორტირება და მასზე ოპერაციების (მაგალითად “თავების მოჭრა”) ჩატარება შეიძლება. VIII-ზე მიიღება იგივე გეომეტრიის მქონე პროფილი (დიაგონალობის ფარდობა VI გალზე შეადგენს $48.1X47.4\text{მმ}$, ხოლო VIII-ზე $32.8X32.4\text{მმ}$), რომელიც “კვებავს” პროფილებს NN25,28,32მმ აქედან N25მმ შემთხვევაში საჭირო ხდება “ზედმეტი ლითონის” მოცილება, ხოლო N32მმ გლინვისას პრობლემატურია კალიბრების შევსება*), ეს გლინვის ახალი-პირველი სქემის შემთხვევაში, რაც შეეხება გლინვის ახალ მეორე სქემას**), პროფილების N18,20,22მმ გლინვა სრულდება საკმარისად დიდი დატვირთვის პირობებში. ძალზედ საინტერესო იქნება მიღებული ახალი და ძველი სქემების შედარებისას რღვევის ჯამური ენერჯის კუთხით ($E_T^{N18} = E_T^{XIV} - E_T^{XII} = A$; $E_T^{N20} = E_T^{XIII} - E_T^{XII} = B$; $E_T^{N22} = E_T^{XIV} - E_T^{XII} = C$; ჩვენი ვარაუდით (არსებულ ექსპერიმენტულ მონაცემებზე დაყრდნობით) უნდა გვქონდეს ასეთი უტოლობა $A > B > C$ თუ ზემოთ მოყვანილი ჩვენი ჰიპოთეზა გაამართლებს (ე.ი. რაც უფრო მაღალია დეფორმაციის სიდიდე მით უფრო დიდია ΔE_T -ს სიდიდე), რომლის საფუძველია სოლიდური საქარხნო ექსპერიმენტების შედეგები, მაშინ გლინვის ახალი მეორე სქემის დროს ამ კუთხით სტრუქტურის ფორმირებისათვის უკეთესი პირობებია შექმნილი.

N 25მმ გლინვისას XIII-XIV გალებიდან გამოჭიმვის კოეფიციენტის მნიშვნელობა შეადგენს 2.16, ნგრევის ტოტალური ენერჯის ცვლილება $E_T^{N25} = E_T^{XIV} - E_T^X = 30006.მ$ (სურ.8 ა.ბ.გ.დ.ე).

აღნიშნული E_T^{N25} მნიშვნელობა შესაბამისობაშია $\mu_{N25}=2.16$; (1.69)-სთან.

ტრადიციული სქემით X უჯრიდან გლინვისას და არსებული რეჟიმებით თერმომექანიკური დამუშავების შედეგად გვექნება:

1) სიმტკიცის ზღვარი $\sigma_B = 6756/მმ^2$; დენადობის ზღვარი $\sigma_L = 5506/მმ^2$ ფარდობითი წაგრძელება $\delta_7 = 18\%$; რღვევის ტოტალური ენერჯია $E_T^X = 100006.მ$; რღვევის კუთრი ტოტალური ენერჯია $a_o^T = 2100$ ჯ/სმ²;

გამოჭიმვის კოეფიციენტის მნიშვნელობა $\mu = \frac{F_o}{F_x}$ იცვლება.

*) NN25,28,32მმ შემთხვევაში:

N25მმ 2.16 - 1.69

N28მმ 1.72 - 1.35

N32მმ 1.32 - 1.03

**) NN18,20,22მმ შემთხვევაში:

N18მმ 2.57 - 1.94

N20მმ 2.08 - 1.63

N22მმ 1.72 - 1.35

2) გლინვა შემოთავაზებული სქემით XIV უჯრიდან-გალიდან კალიბრების შეუცვლელად, სიმტკიცის ზღვარი $\sigma = 6506/მმ^2$; დენადობის ზღვარი $\sigma_L = 5506/მმ^2$; ფარდობითი წაგრძელება $\delta_7 = 21\%$; რღვევის ტოტალური ენერჯია $E_T^{XIV} = 13000$ ნ.მ; რღვევის კუთრი ტოტალური ენერჯია $a_o^T = 2500$ ჯ/სმ². თუ შევადარებთ ახალ (XIV გალიდან გლინვას) ძველს (X გალიდან გლინვას)

გვექნება ასეთი სურათი $\Delta\sigma = \sigma_B^{XIV} - \sigma_B^X = 650-675 = -256/მმ^2$; $\Delta\sigma_L = \sigma_L^{XIV} - \sigma_L^X = 550-550=0$;

$\Delta\delta_7 = \delta \frac{XIV}{7} - \delta \frac{X}{7} = 21 - 18 = 3\%$; $\Delta E \frac{N25}{T} = E \frac{XIV}{T} - E \frac{X}{T} = 13000-10000=30006.მ$;

$\Delta a_o^T = a_o \frac{XIV T}{o} - a_o \frac{X T}{o} = 2500-2100=400$ ჯ/სმ². მიღებული შედეგები თავსდება თერმული დამუშავების

თეორიისა და პრაქტიკის ფარგლებში. X გალიდან გლინვისას, არსებული ჰაუზის (~ 4წმ) გავლენით

წრობის დაწყებამდე, მეტადინამიკური რეკრისტალიზაციის გავლენით თანდათანობით ისპობა ცხელი

პლასტიკური დეფორმაციისას მიღებული – წარმოქმნილი ფრაგმენტები აუსტენიტის მარცვლებში.

ასეთი სტრუქტურა თერმოდინამიკურად კარგად ემორჩილება გადაცივებას მომდევნო $\lambda \rightarrow \dot{\lambda}$

გარდაქმნას (რაოდენობრივად ის პოვებს σ_B -ს ზრდაში თავის ადგილს $\Delta\sigma_B = -256/მმ^2$). სხვა

მახასიათებლები, განსაკუთრებით ენერჯიული (E_T, a_o^T) განიცდიან პლასტიკური დეფორმაციის ახალი

ულუფის გავლენას, რასაც ადგილი აქვს XIII-XIV გალებზე. აღნიშნულ შედეგებს დაამშვენებდა

მეტალოგრაფიული ანალიზის შედეგები, მაგრამ მაინც წინ გადაიდგა ნაბიჯი, რომელმაც ცალსახად აჩვენა, რომ ცხელი პლასტიკური დეფორმაცია, როგორც ძლიერი ინსტრუმენტი სტრუქტურათა ფორმირების საქმეში, უნდა იყოს გამოყენებული არა ბრმად, არამედ კვალიფიციურად, ჰარმონიულად მიკროლევირებასთან ერთად, ჩვენს შემთხვევაში “ახალ ფენომენტან” ერთად. N28მმ-ის გლინვისას XIII-XIV გალებიდან გამოჭიმვის კოეფიციენტის მნიშვნელობა ტოლია $\mu_{XIII-XIV}^{N28} = 1.72$, ნგრევის ტოტალური ენერჯის ცვლილება შეადგენს $\Delta E_T = E_T^{XIV} - E_T^X \approx 19006.6$ [4]. N32მმ-ის გლინვისას $\mu_{XIII-XIV}^{N32} = 1.32$, ე. ი. თუ ზემოაღნიშნულს ჩავთვლით კანონზომიერად, მაშინ ნგრევის ტოტალური ენერჯია უნდა შემცირდეს, ჩვენი გათვლებით ≈ 1000 ნ.მ-მდე. თუ დავუბრუნდები გლინვის ახალ მეორე სქემას, მაშინ ის უფრო მართვადი უნდა იყოს ვიდრე პირველი. იმისათვის, რომ ჩატარებულ იქნეს პრეციზიული ექსპერიმენტები აუცილებელია მოგვარებული იყოს დეფორმაციებისა და დეფორმაციის სიჩქარეების საკითხები. ეს მოგვცემს საშუალებას ტექნოლოგიური პროცესები გავხადოთ სტაბილურად მართვადი. იდეალურ შემთხვევაში, ფრაგმენტირებული აუსტენიტის გაცივება სხვადასხვა სიჩქარით მოგვცემს საშუალებას ავარჩიოთ სასურველი დიაპაზონი, სადაც გვექნება მაღალი სიმტკიცე, შეხამებული შეუმცირებელ პლასტიკურობასთან. თუ დაფიქსირდა ორივე ფაქტორის (სიმტკიცე+პლასტიკურობა) ზრდა, ეს იქნება უმაღლესი რანგის შედეგი. მიზანშეწონილია სამუშაოები ჩატარდეს ასეთი თანმიმდევრობით:


- 1) სრულად განჟანგული, სელექტირებული ფოლადის 3მმ-ის მიღება;
- 2) მაქსიმალურად ეკონომიურად იქნეს გამოყენებული ტიტანი და განსაკუთრებით ვანადიუმი (“შლეიფი” $\langle Ti=0.01-0.015\%; N=0.008-0.014\%; V=0.08-0.13\% \rangle$) B500W-ს საწარმოებლად პროფილებზე NN32,28,25;22,20,18;16;14,12მმ;
- 3) აირჩეს პროფილები სრული კვლევის ჩასატარებლად, საკონსტრუქციო სიმტკიცის დასადგენად;
- 4) გაგრძელდეს სამუშაოები დეფორმაციის (გლინვის) ახალი სქემების (№1, №2) შესწავლის ორივე რეჟიმზე (თერმული დამუშავების გარეშე და თერმული დამუშავებით!); აუცილებლად გაისინჯოს NN22,20,18 (სქემა №2), მათი ყოველმხრივი შესწავლით; ასევე საჭიროა განმეორდეს ექსპერიმენტები პროფილებზე NN28,25,32მმ (სქემა №1); გაისინჯოს ახალი “შლეიფი” $\langle Ti = 0.030-0.045\%; N=0.008-0.014\% \rangle$ გლინვის ახალ სქემებთან (№1, №2) ერთად; ყველა საჭირო მახასიათებლის შესწავლა კოროზიამდეგობის ჩათვლით;

*) ძალიან საინტერესო იდეა გაუჩნდა ბატონ ნუგზარ მულაძეს (მთავრდება მოსამზადებელი სამუშაოები). N18მმ-ის გლინვა განხორციელდეს შემდეგნაირად: გამოჭიმვის კოეფიციენტი


μ_{XI-XII}^{N18} 2.57(1.94) გადანაწილებულია გალებზე XI-XII – XIII-XIV, ე.ი. გლინვა დამთავრდება XIV გალზე. ასეთი სქემა ემსახურება №18მმ გლინვის გამარტივებას, იმავდროულად აქვს “სხვა” დატვირთვაც. XII – XIII გალებს შორის არსებობს სხვადასხვა დანიშნულების შუალედი “რამაც” (მეტადინამიკურმა რეკრისტალიზაციამ) უნდა გამოიწვიოს სტრუქტურული ცვლილებები. ამ მდგომარეობაში იმოქმედებს დეფორმაციების ახალი ულუფა განხორციელებული XIII-XIV გალებზე. საქმე გვექნება, ალბათ, მართვად მომდ-სთან ველოდებით ძალიან საინტერესო შედეგებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **Бернштейн М. Л., Займовский В. А., Капуткина Л. М.** Термомеханическая обработка стали. Москва: Металлургия, 1983.
2. **Новиков И. И.** Теория термической обработки металлов. Москва: Металлургия, 1986.
3. **Копалеишвили В. П.** Управление процессами структурообразования при производстве горячекатаных бесшовных стальных труб с целью повышения их качества. Диссертация на соискания ученой степени доктора технических наук. Тбилиси 1989г. Том I 350с., том II (графическая часть) 189с.
4. №28 არმატურის გლინვა XIV უჯრედიდან X-ის ნაცვლად და მისი გავლენა მზა პროდუქციის თვისებების მახასიათებლებზე შპს “რუსთავის ფოლადის” პირობებში **ვ. კოპალეიშვილი, ნ. მუმლაძე, თ. ლოლაძე** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი, ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №1 (26) 2013, თბილისი, გვ. 50-64).




სურ. 2. დეფორმაციის სიჩქარის (გლინვის სიჩქარის) გავლენა ფოლად 50XΦA-ს მექანიკური თვისებების მახასიათებლებზე მომდ-ის დროს, გახურების ტემპერატურა 880 °C, მოშვების 200 °C.



სურ. 3. დეფორმაციის სიჩქარის (გლინვის სიჩქარის) გავლენა ფოლად 50XΦA-ს დარტყმით სიბლანტეზე, ნიბუშების სხვადასხვა ტემპერატურებზე გამოცდისას.



ა. ჩვეულებრივი წრთობა



ბ. მიმღ I სიჩქარით $V=1,8$ მ/წმ




გ. მიმღ II სიჩქარით $V=3,5$ მ/წმ



დ. მიმღ III სიჩქარით $V=6$ მ/წმ




ე. მიმღ IV სიჩქარით $V=11,4$ მ/წმ




ვ. მიმღ V სიჩქარით $V=14,1$ მ/წმ



სურ. 4 ა, ბ, გ, დ (ა – ჩვეულებრივი წრთობა, ბ – მიმღ I სიჩქარით ($V=1,8$ მ/წმ); გ – მიმღ II სიჩქარით ($V=3,5$ მ/წმ); დ – მიმღ III სიჩქარით ($V=6,0$ მ/წმ); ე – მიმღ IV სიჩქარით ($V=11,4$ მ/წმ); ვ – მიმღ V სიჩქარით ($V=14,1$ მ/წმ)) ფოლად 50XΦA–ს ყოფილი აუსტენიტის მარცვლები: გახურების ტემპერატურა 920°C , მოშვების გარეშე $\times 450$.




სურ. 5 ა.ბ. (ა – ჩვეულებრივი წრთობა, მიმდ I სიჩქარით; მიმდ II სიჩქარით. ბ – მიმდ III სიჩქარით; მიმდ IV სიჩქარით; მიმდ V სიჩქარით) მეტალურგაფიული კვლევებით მიღებული ფოლადი 50XΦA–ს სტრუქტურების (ყოფილი აუსტენიტის მარცვლები) რაოდენობრივი ანალიზის შედეგები, წარმოდგენილი პისტოგრამის სახით.





სურ. 7 ა - №№1-16 უჯრების გალების კალიბრება.





სურ. 7 ბ - №№7-12 გალების კალიბრება.



სურ. 7 გ - №№13-16 გალების კალიბრება.




სურ. 8 ა, ბ ჰისტოგრამები. N25მმ არმატურის გლინვა X გალიდან და შემოთავაზებული სქემით – XIV გალიდან (α – რღვევის ტოტალური ენერგია E_T ნ.მ; β – რღვევის კუთრი ტოტალური ენერგია a_0^T ჯ/სმ²).



ა

ბ



გ

სურ. 8 გ, დ, ე ჰისტოგრამები. N25მმ არმატურის გლინვა X გალიდან და შემოთავაზებული სქემით – XIV გალიდან (გ – სიმტკიცის ზღვარი σ_B ნ/მმ²; დ – დენადობის ზღვარი σ_d ნ/მმ²; ე – ფარდობითი წაგრძელება δ_7 %).

**REBAR ROLLING WITH USE OF NEW XLLL-XLV STAND ROLLING
SCHEMES FOR THE PURPOSE OF REBAR QUALITY
IMPROVEMENT AT "RUSTAVI STEEL"**

**V. Kopaleyshvili, N. Mumladze, Z. Tabatadze, M. Tabagari,
O. Barbakadze, R. Bakradze**

Summary

Today at LLC Rustavi Steel are realized properties of selected killed steel 3SP in the quenching-self tempering mode. After Heat Treatment strength indicators (σ_B , σ_T) are increasing due to ductility. Reinforcing steel A500C is similar to the ISO offered unified steel B500W, when the yield strength $\sigma_T \geq 500 \text{ H} / \text{mm}^2$ is reached without Heat Treatment, after hot rolling. And also, indicators $C \leq 0,22\%$, $CE \leq 0,43\%$ are providing good weldability in field conditions. Thus, only one condition isn't satisfied: necessary results have to be reached without application of Heat Treatment, but by hot rolling. It is shown that total destruction energy of the given steel is much more after rolling, than after Heat Treatment. The standards, acting in the former CIS countries aren't attentive to these facts.

Except noted, the condition of the current task becomes hardly solved if to consider uneven change of structure and properties on rolling length. After Heat Treatment noted defects are fixed in finished production. The extensive program of rolling shop (for example, at production of rebar: NN 32, 28, 25; 27, 20, 18; 16; 14, 12 mm) complicates solution of these tasks. It should be noted that the rolling line is evenly loaded only during NN-14, 12mm diameters rolling. During NN32, 28, 25mm rolling process of receiving of finished production ends on the X-th stand, and during rolling NN 22, 20, 18 the finished production received on stand XII.

The pauses from finished rolling up to cooling starting is $\sim 3-4$ sec, which is quite enough for the course of softening processes, like "metadynamic recrystallization" (recrystallization without the incubatory period). The named processes promote undesirable structural changes, taking into account noted by us, offered two new schemes of rolling, the scheme No. 1 for the NN32, 28, 25mm profiles, and No. 2 for NN 22, 20, 18mm. Two finishing stands (for the first scheme stands IX-X, and for the second - stands XI-XII) are transferred, without change of roll calibration, on the place of stands XIII-XIV.

According to plant test results (rebar N28mm 1000 tons, and N25mm – 900 tons) total destruction energy in accordance with the new scheme: No. 1 it is much bigger, than at the old scheme

$(\Delta E_T^{N28} = E_T^{XIV} - E_T^X = 1900 \text{ H.მ.}; \Delta E_T^{N25} = E_T^{XIV} - E_T^X = 3000 \text{ H.მ.})$

By the received results it is visible that new deformation levels (along with old) bring fragmentation during austenite structure forming, which tangibly increase total destruction energy and also, the higher is a coefficient of extract on the stands XIII-XIV, the more is the effect.

It is new and it is necessary to investigate in details observed processes and effects, i.e. it is necessary to create conditions for large-scale research of the matter (apparently, it will demand engine replacement for stands XIII, XIV, XV, XVI on more powerful, modernization of the existing calibration, etc.)

We are sure that the mentioned will give us possibility to create stably controlled High Temperature Heat Treatment, i.e. treatment new strategy.

As a result the plant will have the production with required indicators of strength properties without decreasing ductility indicators.

ПРОКАТКА АРМАТУРЫ ИСПОЛЬЗОВАНИЕМ НОВЫХ СХЕМ ПРОКАТКИ ИЗ XLLL-XLV КЛЕТЕЙ С ЦЕЛЬЮ УЛУЧШЕНИЯ ЕЕ КАЧЕСТВА В УСЛОВИЯХ «РУСТАВИ СТИЛ»

**В. Копалейшвили, Н. Мумладзе, З. Табатадзе, М. Табагари,
О. Барбакадзе, Р. Бакрадзе**

Резюме


Сегодня в условиях ООО «Рустави Стил» реализуется свойства селективной спокойной стали Зсп в режиме закалки-самоотпуском. После ТО прочностные показатели (σ_b , σ_T) растут за счет пластичности. Арматурная сталь А500С похожа на предложенную ISO унифицированной стали В500W, когда предел текучести $\sigma_T \geq 500 \text{ Н/мм}^2$ достигается без ТО, после горячей прокатки. И еще, показатели $C \leq 0,22\%$, $SE \leq 0,43\%$ обеспечивают хорошую свариваемость в полевых условиях. Таким образом, не выполнено только одно условие: необходимые результаты должны достигаться без применения ТО, горячей прокаткой. Показано, что тотальная энергия разрушения взятой стали после прокатки заметно больше, чем после проведения ТО. Стандарты действующие в бывших странах СНГ не внимательны к этим фактам.

Кроме отмеченного, состояние решаемой задачи становится труднорешаемым если учесть, еще вопрос неравномерного изменения структуры и свойств по длине раската. После ТО отмеченные недостатки фиксируются в готовой продукции. Обширная программа проката цеха (например, при производстве арматуры: NN32, 28,25; 22,20,18;16;14,12 мм) усложняет решения этих задач. Следует отметить, что прокатная линия равномерно загружено, только при прокатке диаметров NN-14,12мм. При прокатке NN32,28,25мм процесс получения готовой продукции завершается на X-ой клетки, а при NN22,20,18 мм готовая продукция получается на XII клетки. Паузы от завершения прокатки до начала охлаждения составляет ~3-4сек, что вполне достаточно для протекания смягчающих процессов типа метадинамической рекристаллизации (рекристаллизация без инкубационного периода). Названные процессы способствуют нежелательным структурным изменениям, с учетом отмеченного нами предложены две новые схемы прокатки профилей, схема №1 для профилей NN32,28,25мм, а №2 для NN22,20,18мм. Завершающие прокатки две клетки (для первой схемы IX-X клетки, а для второй - XI-XII клетки) переносятся, без изменения калибровки валков, на места клеток XIII-XIV. По результатам заводских опытов (N28мм прокатаны 1000тонн, а N25мм - 900тонн) тотальная энергия разрушения по новой схеме: №1 гораздо больше, чем при старой схеме

$$(\Delta E_T^{N28} = E_T^{XIV} - E_T^X = 1900 \text{ Н.м}; \quad \Delta E_T^{N25} = E_T^{XIV} - E_T^X = 3000 \text{ Н.м.})$$

По полученным результатам видно, что новые степени деформации (наряду со старым) вносят при формировании структуры аустенита фрагментацию, которые ощутимо повышают тотальную энергию разрушения и ещё, чем выше коэффициент вытяжки на клетях XIII-XIV, тем больше этот эффект. Это ново и следует исследовать детально наблюдаемые процессы и эффекты, т.е. необходимо создавать условия для масштабного исследования данного вопроса (по-видимому, это потребует замены двигателей на клетях XIII, XIV, XV, XVI на более мощных, модернизацию существующей калибровки и др.) Мы уверены, что отмеченное позволит создать стабильно управляемую ВТМО, т.е новую стратегию обработки. В результате завод будет иметь продукцию с необходимыми показателями прочностных свойств, без уменьшения показателей пластичности.

GTU
Transport and Mechanical
Engineering Department
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№2 (33)  2015
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

უპკ 629.113

ნავთობსადენი და გლობალური ეკოპოლიტიკა

თ. გელაშვილი, გ. არჩვაძე, ე. გეგეშიძე, რ. ცხვარაძე, ი. ჩხეტია, ვ. ჯაჯანიძე
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, კოსტავას №77,
თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: ნაშრომში განხილულია თანამედროვეობის ერთ-ერთი უმწვავესი ეკოლოგიური პრობლემის - თხევადი ნახშირწყალბადების მოპოვების, მოხმარებისა და ქვეყნებს შორის განაწილების საკითხები, რაც გლობალური ეკოლოგიური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კასპიისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონების როლის შეფასებას გლობალიზაციის პროცესებში, რომელთა აქტუალობაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია კასპიის ნავთობის ევროპისაკენ ტრანსპორტირების აუცილებლობით. არსებული მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით, შეფასებულია ეკოპოლიტიკური რისკები საქართველოსათვის

საკვანძო სიტყვები. ენერგორესურსები, ენერგოუსაფრთხოება, ეკოლოგიური უსაფრთხოება, ნავთობი, ტრანსპორტირება, ნავთობსადენი, ტანკერი.

შეჯავალი

გლობალური ეკოპოლიტიკა გულისხმობს სახელმწიფოების მხრივ ისეთი საერთაშორისო-პოლიტიკური და საგარეო-ეკონომიკური ძალისხმევის გატარებას, რომელიც მიმართული იქნება მსოფლიოში არსებული ბუნებრივი რესურსების დაზოგვისა

და ქვეყნებს შორის მათი რაციონალური განაწილებისაკენ [1]. ნავთობი ამ სტრატეგიაში ერთ-ერთ მთავარ და, სამწუხაროდ, ხშირად ეკოლოგიურად სრულიად დესტრუქციულ როლს თამაშობს. ამას მრავალი ფაქტორი განაპირობებს; მათ შორის ის არაჯანსაღი კომერციული და პოლიტიკური იმპერესებიც, რაც, ყველაფერთან ერთად, ტექნიკურ პროგრესსაც აფერხებს. ეს თავისთავად პრობლემაა, მაგრამ გასულ საუკუნეში თავი იჩინა ნავთობის უზომო მოპოვებით, მოხმარებითა და ტრანსპორტირებით გამოწვეულმა ეკოლოგიურმა კრიზისმაც. ამრიგად, ნავთობი და მისი ტრანსპორტირება ის სფეროებია, სადაც ძალზე მკაფიოდაა გამოხატული კავშირი ეკოლოგიასა და გეოპოლიტიკას შორის.

ძირითადი ნაწილი

გეოპოლიტიკის ფაქტორად ნავთობი გასული საუკუნის პირველი ნახევრიდან ჩამოყალიბდა. II მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ტრანსპორტის ბუმის გამო ნავთობმა *მსოფლიო სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში* წამყვან პოზიციაზე გადაინაცვლა, მისი მარაგი სახელმწიფოთა უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორიც გახდა. „რეიგანომიკის მამა“ პ. რობერტსი იმასაც კი აღნიშნავს, რომ „საკმარისია რუსეთმა *NATO*-ს ქვეყნებს ნავთობი აღარ მიჰყიდოს და ეს ორგანიზაცია დაიშლება“ [2]. მართლაც, ნავთობის მარაგის მიხედვით *NATO*-ს წევრი 28 ქვეყნიდან მხოლოდ ხუთია ენერგეტიკულად დამოუკიდებელი, ზუსტად მესამედს კი ნახშირწყალბადების

ცხრილი 1

ნავთობის მსოფლიო მარაგები 2014 წლისათვის (ბარელებში)

ქვეყანა	მარაგი, მლრდ.ბ.	% მსოფლ. მარაგიდან	რამდენი წ. ეყოფა	მოპოვება ათ,ბ/დღ.	% მს. მოპ.-ან	მოხმარება ათ. ბ/დღ.	% მს. მოხ.-ან
ვენესუელა	298, 3	17,7	>100	2630	3,3	771	0,9
საუდის ა.	265,9	15,8	63	11 565	13,1	3 075	3,2
ირანი	157,0	9,3	90	3 558	4,0	2 002	2,2
ერაყი	150,0	8,9	--	3 141	3,7	--	--
კანადა	147,3	8,3	>100	3 943	4,4	2 385	2.8
ქუვეითი	101,5	6,0	89	3 126	3,7	484	0,5

ემირატები	97,8	5,8	74	3 646	4,3	773	0,9
რუსეთი	93,0	5,5	24	10 788	12,9	3 313	3,7
ლიბია	48,5	2,9	>100	988	1,1	--	--
აშშ	44,0	2,4	12	10 003	10,8	18 887	19,8
ნიგერია	37,1	2,2	44	2 322	2,7	--	--
ყაზახეთი	30,0	1,8	48	1 786	2,0	287	0,3
ჩინეთი	18,1	1,1	12	4 180	5,0	10 756	12,0
მსოფლიო	1 687,9	100,0	53	86 808	100,0	91 331	100,0

სააკუთარი მარაგი არ გააჩნია ([3], იხ. აგრ. ცხრ. 1). აქედან გამომდინარეობს ჩვენთვის მეტად საყურადღებო დასკვნა: ალიანსს (და ევროკავშირსაც) ენერგო-დამოკიდებული ქვეყნების წევრად მიღება ამ ეტაპზე არ აწყობს.

ნავთობის მარაგის მნიშვნელობის ასეთი გაზვიადების გამო, იგი თანდათან იმპერიული პოლიტიკის ნაწილად იქცა. ამ მხრივ ერთ-ერთი აპრობირებული სქემა ასეთია: აგერ უკვე თითქმის ნახევარი საუკუნეა, დაჟინებით მუსირებს აზრი, თითქოს დედამიწაზე ნავთობის მარაგი „50 წელიწადში ამოიწურება“ (იხ. თუნდაც ცხრ. 1). ამ ფონზე რომელიმე სადაო ტერიტორია უმაღლესად ნავთობით მდიდარ (*Oil-rich*) და, ამიტომაც რომელიმე თანამედროვე იმპერიისათვის „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან“ ზონად, რასაც ზოგჯერ სამხედრო ჩარევა მოსდევს. მაგ., სულ ახლახანს ასე შეირაცხა სამხრეთ-აღმოსავლეთი უკრაინა (დონბასი) „ფიქალით უმდიდრეს რეგიონად“; წარსულში ასევე მოხდა ფოლკლენდის, სამხრეთ-ჩინეთის ზღვის, ან სამხრეთ კურილიის კუნძულების შემთხვევაშიც. ჩანს, ასევეა კასპიის რეგიონთან მიმართებითაც. რომელსაც მავანნი „მეორე სპარსეთის ყურედ“ ხატავენ - აქედან გამომდინარე ყველა შესაძლო შედეგით.

სინამდვილეში კასპიის ნავთობის მარაგის მოცულობა სადაოა. მაგ., აშშ-ს ენერგეტიკული სააგენტოს (*EIA*) სტატისტიკური დეპარტამენტი მას ფრიად ფართო დიაპაზონში (17-33 მლრდ. ბარელი) აფასებს, რაც მეტყველებს, რომ შეფასებებში პოლიტიკური შემადგენელიც არსებობს. ამ მხრივ საგულისხმოა „თურქული ენერგოდიპლომატია“: ეს ქვეყანა ენერგორესურსების მიწოდების გაზრდის თაობაზე, ერთის

მხრივ, მოლაპარაკებას აწარმოებს რუსეთთან (2014წ. დეკემბერი), ამის შემდეგ კი ევროკავშირის დელეგაციასაც უთანხმდება „სამხრეთის (კასპია-საქართველო-თურქეთი - ავტ.) სატრანსპორტო დერეფნის“ აღდგენაზე. ანუ კასპიის „უსაზღვრო შესაძლებლობებისა“ ბოლომდე თურქეთსაც არ სჯერა. ასეა თუ ისე, ცხადია: კასპიის შელფი ნავთობით მართლაც მდიდარი უნდა იყოს, ამიტომ იგი არის და კიდევ დიდ ხანს დარჩება გეოპოლიტიკის ფაქტორად. შემთხვევითი არაა, რომ „კასპიის ქვეყნებმა“ (რუსეთი, ირანი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, თურქმენეთი) 2014წ. ბოლოს განაცხადეს: რეგიონის სრულუფლებიანი პატრონები სწორედ ისინი არიან და აქ უცხო ქვეყნების ინტერესებს არ დაუშვებენ. ამ მიზნით რუსეთმა და ირანმა სულ ახლახანს სამხედრო კავშირიც კი შეკრეს.

ამრიგად, მოგვწონს ჩვენ ეს თუ არა, კასპიისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონების გეოპოლიტიკური ფუნქცია ძლიერ არის დამოკიდებული რუსეთ-დასავლეთის ტრადიციულ მეტოქეობაზე, რომლის არსიც რესურსებისათვის ბრძოლაა: ე. კეისი ჯერ კიდევ საუკუნის წინ მიუთითებდა, რომ დასავლეთისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია რუსეთის, განსაკუთრებით კი დასავლეთ ციმბირის, ბუნებრივი სიმდიდრეების ათვისება [4]. ეს საკითხი დღესაც აქტუალურია, რადგან რუსული ნავთობისა და გაზის რეალური ალტერნატივა ევროპისათვის კვლავ არა ჩანს და ეს უკრაინის მაგალითზეც ნათლად გამოიკვეთა: გასულ ზამთარში ამ ქვეყანას მაინც მოუწია რუსული საწვავის შეძენა, თანაც შუამავლის (და სპონსორისაც!) როლი სწორედ ევროკავშირმა იკისრა.


ცხადია, დასავლეთისათვის იდეალური გამოსავალი იქნებოდა, საკუთარი კონტროლი დაეწესებინა რუსეთის ენერგეტიკაზე, მაგრამ ეს უკანასკნელი ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგება. მეტიც: 2007წ., მიუნხენში, ვ. პუტინმა „ერთპოლუსიანი მსოფლიოს დასასრული და დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების სურვილიც“ დააანონსა ექსპერტთა ზრით, სწორედ ამან გამოიწვია მორიგი დაპირისპირება ორ სამყაროს შორის, რომლის პირველი გამოვლინება იყო რუსეთ-საქართველოს 2008წ. ომი. [5]. თანამედროვე დასავლური სტრატეგიის არსი კი ბ. ობამამ ასე განმარტა: რუსეთთან პირდაპირი სამხედრო დაპირისპირება გამორიცხებულია, მაგრამ ამ ქვეყანამ „დიდი საფასური უნდა გადაიხადოს ევროპაში აგრესიისათვის“. ცხადია, აქ ლაპარაკია „ეკონომიკური ომზე“

და, რადგან რუსეთის ფედერალური ბიუჯეტის 50,5% ნახშირწყალბადების გაყიდვით ივსება [6], ბუნებრივია ვიფიქროთ: ამ ომში ნავთობს კვლავ განსაკუთრებული როლი განეკუთვნება. ასეთი ვარაუდი მით უფრო ლოგიკური ჩანს, რომ სწორედ ნავთობის მაღალმა ფასმა მისცა რუსეთს საშუალება, არა მარტო საგარეო ვალების უმეტესობა გაესტუმრებინა, არამედ ოქროსა და ვალუტის მნიშვნელოვანი რეზერვიც დაეგროვებინა, რომელთა მოცულობითაც იგი ამჟამად ევროპაში მხოლოდ შვეიცარიასა და ევროპის გაერთიანებულ ბანკს ჩამორჩება, აშშ-ს კი მნიშვნელოვნად უსწრებს [7]. შესაბამისად, დასავლეთის „ახალი სტრატეგია“ რუსეთისათვის ნავთობის გაყიდვით მიღებული ზემოქმედების შეზღუდვისაკენ უნდა იყოს მიმართული.

სწრაფი გადაწყვეტილებების მისაღწევად და ადამიანური ფაქტორის გავლენის შესამცირებლად საკრედიტო შეფასების პროცესში, ავტომატური საკრედიტო რისკის შეფასების სისტემები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. Lahsasna-მა (2009) შექმნა და გამოიკვლია საკრედიტო ქულის მინიჭების საკრედიტო-სკორინგული მოდელები გერმანული და ავსტრიული საკრედიტო მონაცემების გამოყენებით. შემოთავაზებული მოდელები და მოდელირების მეთოდები საშუალებას აძლევს მომხმარებლებს შეასრულოს დამატებითი ანალიზი, როგორცაა მომხმარებლის ატრიბუტების განსაზღვრა, რომლებიც გავლენას ახდენენ საკრედიტო ანდერრეიტინგ-გადაწყვეტილებებზე და ამ ატრიბუტების რაოდენობრივი მნიშვნელობების სავარაუდო მიახლოებაზე.

აღიარებენ რა, რომ საფინანსო ანგარიშებში წარმოდგენილი მონაცემები შეიძლება არ იყოს

ზუსტად შესადარებელი საბუღალტრო აღრიცხვიანობის განსხვავების გამო და შეიძლება შეიცავდეს "აღწერილ ცვლადს" Cheng et al. (2006) ამტკიცებდნენ, რომ დაკვირვებული სიდიდე შეიძლება უკეთესი იყოს განვიხილოთ, როგორც არამკაფიო მოვლენა, მაგრამ არა შემთხვევითი. ამგვარად, გამოიყენებოდა ინტერვალი ნაცვლად ფინანსური ცვლადების ერთი მნიშვნელობისა. მათ ააგეს ადრეულ გაფრთხილების მოდელი ფინანსური სიძნელებისათვის არამკაფიო რეგრესიის გამოყენებით, როგორც ალტერნატივა ცნობილი მეთოდებისა, კერძოდ დისკრიმინანტული (discriminant), ლოგიტ-გარდაქმნა(logit) და ხელოვნური ნეირონული ქსელის ანალიზი, Matsatsinis et al. (2003) აღმოაჩინეს, რომ ხშირად გამოიყენება წრფივი პროგრამირების არამკაფიო მეთოდი საკრედიტო ბარათის მფლობელის ქცევის პროგნოზირებისათვის. Cherubini და Lunga (2001) აღნიშნავენ, რომ ფასწარმოქმნის დროს ალბათური ზომები შეიძლება არ იყოს ზუსტად ცნობილი და იყენებდნენ არამკაფიო ზომებს განუსაზღვრელობის შესამცირებლად. ავტორები ასეთ მიდგომას იყენებდნენ რისკის ლიკვიდურობის რაოდენობრივი შეფასებისთვის.

Yu et al. (2009) მიერ შემოთავაზებული იყო მრავალკრიტერიული გადაწყვეტილებების ანალიზის ინსტრუმენტი საკრედიტო რისკის შესაფასებლად არამკაფიო ლოგიკის თეორიის გამოყენებით. Reveiz და Leon (2009) სწავლობდა ოპერაციულ რისკებს არამკაფიო ლოგიკური დასკვნის სისტემის (FLIS) გამოყენებით.

Brotons და Terceno (2011) მიერ გამოყენებული იყო არამკაფიო ლოგიკა იმუნიზაციის სტრატეგიის შესასწავლად და რისკების შესარბილებლად. Huang et al. (2009), სწავლობდა ალბათობას საბოლოო გაკოტრების სადაზღვევო რისკების ფარგლებში. De Andres Sanchez და Gomez (2003) იყენებდნენ არამკაფიო რეგრესიის მეთოდებს საპროცენტო განაკვეთების დროითი სტრუქტურის ანალიზისთვის. Lazzari და Moullia-მ (2012) შეისწავლა ზოგიერთი პარამეტრები, რომლებიც აღწერდნენ კარდიოვასკულური(გულსისძარღვთა) რისკებს და შეიმუშავა დიაგნოსტიკური მოდელი არამკაფიო ლოგიკის ჩარჩოებში. Derrig და Ostaszewski (1996) შეისწავლეს საკუთრების დაზღვევის საგადასახადო ტვირთი არამკაფიო რიცხვების გამოყენებით.

საინტერესო მიდგომები იყო შემოთავაზებული ეკონომიკის სფეროში Horgby (1999) არამკაფიო "თუ-მაშინ" წესების გამოყენებით. Caleiro-m (2003) ჩაატარა საინტერესო კვლევა და ანალიზი ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლისთვის, როგორცაა უმუშევრობის დონე, არამკაფიო ლოგიკის გამოყენებით. Blavatsky (2011) სწავლობდა რისკების პრობლემებს, როდესაც შედეგები არ შეიძლება იყოს გაზომვადი ფულად გამოსახულებაში. Ng et al. (2002) დაადგინა არამკაფიო მიკუთვნებულობის ფუნქცია

სახელმწიფო შესყიდვების შემთხვევებისთვის. ეს მიდგომა შემდგომ განავრცო Xu et al. (2011). Sun და van Kooten (2005) მიერ გამოყენებული იქნა არამკაფიო ლოგიკა გარემოსდაცვითი საკითხების ანალიზის დროს (FRUM) ფარგლებში. Cai et al. (2009) შეიმუშავა არამკაფიო შემთხვევითი ინტერვალთა პროგრამირების (FRIP) მოდელი ენერგომენეჯმენტის სისტემების დაგეგმვის თვალსაზრისით, განუსაზღვრელობის შემთხვევაში. Tucha და Brem (2006) მიერ შემოთავაზებული იყო საერთაშორისო სატრანსპორტო ფასების და რისკ მოდელის ანალიზის რაოდენობრივი მიდგომა, არამკაფიო ლოგიკის გამოყენებით. Lin et al. (2008) მიერ წარმოდგენილი იყო ჰიბრიდული მოდელი სავალუტო კრიზისების წარმოშობის პროგნოზირებისათვის ნეირო არამკაფიო მოდელირების მოყენებით. Gulick (2010) ჩაატარა კვლევა ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიებისათვის კაპიტალის განაწილებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებაზე. Leon და Machado (2011) მიერ შემოთავაზებული იყო ინდექსი საფინანსო ორგანიზაციების კომპლექსური ანალიზისათვის, რომლის ფორმირებაც განხორციელდა არამკაფიო ლოგიკის გამოყენებით. Caetano და Caleiro (2005) შეისწავლეს, თუ როგორ გავლენას ახდენს კორუფცია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიღების გადაწყვეტილებებზე. Sveshnikov და Bocharnikov (2009) მიერ შემუშავებული იყო მოდელი საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკური რისკების შესასწავლად. Magni et al. (2006) მიერ გაკეთდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზი არამკაფიო ლოგიკის გამოყენებით. Smimou (2006) მიერ ჩატარებული იყო ემპირიული კვლევა კანადის სასაქონლო ბაზრის ფარგლებში, არამკაფიო რეგრესიის მეთოდის გამოყენებით. Giovanis (2009) გააგრძელა არამკაფიო რეგრესიის ფარგლებში ოთხი ძირითადი საფონდო ბირჟების საქმიანობის ანალიზი. Su and Fen (2011) ააგეს სავაჭრო სტრატეგიის რისკების მართვის მოდელი არამკაფიო სისტემების გამოყენებით.

ამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში, საფონდო ბაზრების როგორც განვითარებადი, ასევე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში დაიკვირვება ფინანსური კრიზისების რაოდენობის და მათი მასშტაბების მნიშვნელოვანი ზრდა. ეკონომიკური კრიზისი, რომელიც 2007 წელს დაიწყო, მხოლოდ აშშ ინვესტორები აზარალა ათობით ტრილიონი დოლარით. ეს გვიჩვენებს, რომ ფასიანი ქაღალდების ემიტენტების ფინანსური ანალიზისა და ფინანსურ-ეკონომიკური სისტემების პროგნოზირების არსებულმა თეორიებმა, თავისი თავი პრაქტიკულად ამოწურა. აქედან გამომდინარე, რომ განხორციელდეს დასაბუთებული ეკონომიკური პროგნოზები არსებულ პირობებში, აუცილებელია მნიშვნელოვნად გადაიხედოს ეკონომიკური და მათემატიკური მოდელირების არსებული მეთოდები.

თუ შესაძლებელია რომ გაიზარდოს მოდელის ეფექტურობა და ადეკვატურობა დღევანდელ

ვითარებაში მისი გართულების გზით, მაშინ არ ღირს დარჩენა რეგრესიის მოდელების დონეზე ეკონომიკური და მათემატიკური მოდელირების თეორიაში. თუმცა, მათემატიკური მოდელის აგებისას ყოველთვის ღირს დავიცვათ წესი: დაახლოებით თანაბარი (ერთნაირი) მოდელირების ცდომილების მქონე ორ მოდელს შორის უნდა აირჩეს ისეთი, რომელსაც აქვს შედარებით მარტივი კონფიგურაცია.

აღსანიშნავია, რომ აუცილებელია ფინანსური და ეკონომიკური ანალიზის დროს დაინერგოს ისეთი ეკონომიკური და მათემატიკური ინსტრუმენტები, რომელიც ერთის მხრივ, სრულად გაითვალისწინებენ ბიზნესის მართვის არსებულ რეალობას, ხოლო მეორეს მხრივ დაეფუძნება ეკონომიკური მეცნიერების ისეთ თანამედროვე მიმდინარეობებს, რომელთაგან ერთერთს წარმოადგენს არამკაფიო ლოგიკის თეორია. არამკაფიო ლოგიკა არის სწორედ ის ინსტრუმენტი, რომლის დახმარებითაც შეიძლება წარმატებით გადაიჭრას პრაქტიკულად ნებისმიერი ეკონომიკური ამოცანა.

როდესაც ტრადიციული მიდგომები არ იძლევა ხარისხობრივ მაჩვენებლებთან მუშაობის საშუალებას, ასეთ შემთხვევებში შეიძლება დახმარება გაგვიწიოს არამკაფიო ლოგიკის თეორიამ, რომელიც წარმოადგენს მოსახერხებელ ინსტრუმენტს, რომ მივაწოდოთ სასაქონლო ბაზრის განვითარების მიღებული საექსპერტო წესები მათემატიკური ფორმით და უზრუნველვყოთ როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი მაჩვენებლების ავტომატური მოწესრიგება.

ამრიგად, შეიძლება იმის მტკიცება, რომ არამკაფიო ლოგიკის მეთოდები იძლევა ნებისმიერი სოციალური და ეკონომიკური სისტემების მოდელირების საშუალებას და ისეთებისაც კი, რომლებსაც არ აქვთ მეტნაკლებად სრული სტატისტიკა, ან იმ შემთხვევაში, როდესაც ინფორმატიულ ფაქტორებს შორის გვაქვს მხოლოდ ხარისხობრივი მაჩვენებლები. გარდა ამისა, არამკაფიო ლოგიკის მეთოდებით აგებულ მოდელებს აქვთ უნარი მოერგონ და განიცადონ ადაპტაცია ცვალებადი ეკონომის პირობებში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდა ბაზრებისთვის, რომლებიც აქტიურად ვითარდებიან. ამიტომ, არამკაფიო ლოგიკა არის მძლავრი ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება დამაჯერებლად დამკვიდრდეს ეკონომიკურ მეცნიერებაში და ეფექტურად იყოს გამოყენებული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების სფეროში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **წერეთელი გ.**, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების საფუძვლები და მათი ეკონომიკაში გამოყენების ზოგიერთი პრაქტიკული ასპექტი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, "მეცნიერება", თბილისი, 1999.
2. **Вентцель Е.С.** Исследование операций. Задачи, принципы, методология. М., "Наука", 1968.

3. **Дюгерти К.**, Введение в Эконометрику: Пер. с англ. "ИНФРА-М., "Наука", 1997.
4. **Клейнер Г.Б.**, Производственные функции, М., "Финансы и статистика", 1986.
5. **Голенко В.И.**, Статистические методы сетевого планирования и управления. М., .."Наука", 1969.
6. Shang Kailan, n Zakir Hossen. "Applying Fuzzy Logic to Risk Assessment and Decision-Making" November 2013, ©2013 Casualty Actuarial Society, Canadian Institute of Actuaries, Society of Actuaries, All Rights Reserved.
7. Li, Aihua, Yong Shi, Jing He and Yanchun Zhang. "A Fuzzy Linear Programming-Based Classification Method." International Journal of Information Technology and Decision Making 10, no. 6 (2011): 1161–74.
8. Zadeh, Lotfi A. "Fuzzy Sets." Information and Control 8 (1965): 338–53.
9. Lahsasna, Adel. "Evaluation of Credit Risk Using Evolutionary-Fuzzy Logic Scheme." Master's diss., Faculty of Computer Science and Information Technology, University of Malaya, 2009.
10. Cheng, Wen-Ying, Ender Su and Sheng-Jung Li. "A Financial Distress Prewarning Study by Fuzzy Regression Model of TSE-Listed Companies." Asian Academy of Management Journal of Accounting and Finance 2, no. 2 (2006): 75–93.
11. Matsatsinis, M., K. Kosmidou, M. Doumpos and C. Zopounidis. "A Fuzzy Decision Aiding Method the Assessment of Corporate Bankruptcy." Fuzzy Economic Review 3, no. 1 (2003): 13–23.
12. Cherubini, Umberto, and Giovanni Della Lunga. "Liquidity and Credit Risk." Applied Mathematical Finance 8, no. 2 (2001): 79–95.
13. Yu, Lean, Shouyang Wang and Kin Keung Lai. "An Intelligent-Agent-Based Fuzzy Group Decision-Making Model for Financial Multicriteria Decision Support: The Case of Credit Scoring." European Journal of Operational Research 195, no. 3 (2009): 942–59.
14. Reveiz, Alejandro, and Carlos Leon. "Operational Risk Management using a Fuzzy Logic Inference System." Borradores de Economia 574 (2009): 9–24.
15. Brotons, Jose M., and Antonio Terceno. "Return Risk Map in a Fuzzy Environment." Fuzzy Economic Review 16, no. 2 (November 2011): 33.
16. uang, Tao, Ruiqing Zhao and Wansheng Tang. "Risk Model with Fuzzy Random Individual Claim Amount." European Journal of Operational Research 192, no. 3 (2009): 879–90.
17. Jorge *De Andrés Sánchez and*; Antonio Terceño *Gómez*. Article first published online: 17 NOV 2003. DOI: 10.1046/j.0022-4367.

18. Lazzari, Luisa L., and Patricia I. Moulia. "Fuzzy Sets Application to Healthcare Systems." *Fuzzy Economic Review* 17, no. 2 (2012): 43–58.
19. Derrig, Richard, and Krzysztof Ostaszewski. "Hedging the Tax Liability of a Property-Liability Insurance Company." Center for Financial Institutions Working Paper 96-30, Wharton School Center for Financial Institutions, University of Pennsylvania, Philadelphia, May 1996.
20. Horgby, Per-Johan. "An Introduction to Fuzzy Inference in Economics." *Homo Oeconomicus* 15, (1999): 543–59.
21. Caleiro, Antonio. "A Subjective Versus Objective Economic Measures: A Fuzzy Logic Exercise." Economics Working Paper 11, University of Evora, Department of Economics, Portugal, 2003.
22. Blavatsky, Pavlo R. "Probabilistic Risk Aversion with an Arbitrary Outcome Set." *Economics Letters* 112, no. 1 (July 2011): 34–37.
23. Ng, S. Thomas, Duc Thanh Luu, Swee Eng Chen and Ka Chi Lam. "Fuzzy Membership Functions of Procurement Selection Criteria." *Construction Management and Economics* 20, no. 2 (2002): 285–96.
24. Xu, Yelin, Yujie Lu, Albert P. C. Chan, Mirosław J. Skibniewski and John F. Y. Yeung. "A Computerized Risk Evaluation Model for Public-Private Partnership (PPP) Projects and Its Application." *International Journal of Strategic Property Management* 16, no. 2 (2012): 277–97.
25. Cai, Y.P., G. H. Huang, Z. F. Yang and Q. Tan. "Identification of Optimal Strategies for Energy Management Systems Planning Under Multiple Uncertainties." *Applied Energy* 86, no. 4 (April 2009): 480–95.
26. Lin, Chin-Shien, Haider A. Khan, Ying-Chieh Wang and Rwei-Yuan Chang. "A New Approach to Modeling Early Warning Systems for Currency Crises: Can a Machine-Learning Fuzzy Expert System Predict the Currency Crises Effectively?" *Journal of International Money and Finance* 2no. 7 (2008): 1098–1121.
27. Gulick, Gerwald van. "Game Theory and Applications in Finance." PhD thesis, Tilburg University, Netherlands, 2010.
28. Leon, Carlos, and Clara Machado. "Designing an Expert Knowledge-Based Systemic Importance Index for Financial Institutions." *Borradores de Economia* 669 (2011).
29. Caetano, Jose Manuel Martins, and Antonio Caleiro. "Corruption and Foreign Direct Investment: What Kind of Relationship is There?" Economics Working Paper 18, University of Evora, Department of Economics, Portugal, 2005. <http://hdl.handle.net/10174/8434>.

30. Sveshnikov, Sergey, and Victor Bocharnikov. "Modeling Risk of International Country Relations." MPRA Working Paper 15745, Munich Personal RePEc Archive, 2009.
31. Magni, Carlo Alberto, Stefano Malagoli and Giovanni Mastroleo. "An Alternative Approach to Firm Evaluation: Expert Systems and Fuzzy Logic." International Journal of Information Technology and Decision Making 5, no. 1 (2006): 195–225.
32. Smimou, Kamal. "Estimation of Canadian Commodity Market Risk Premiums Under Price Limits: Two-Phase Fuzzy Approach." Omega 34, no. 5 (2006): 477–91.
33. Giovanis, Eleftherios. "Bootstrapping Fuzzy-GARCH Regressions on the Day of the Week Effect in Stock Returns: Applications in MATLAB." MPRA Working Paper 22326, Munich Personal RePEc Archive, 2009.

НЕЧЕТКИЙ АНАЛИЗ И ПЕРСПЕКТИВА ЕГО ПРИМЕНЕНИЯ ПРИ РЕШЕНИЙ ЭКОНОМИЧЕСКИХ ЗАДАЧ

Я. Аманаташвили, Т. Диасамидзе, Н. Елашвили, Д. Шанидзе

Резюме

В статье рассмотрены традиционные и нетрадиционные подходы в сфере экономоко-математического моделирования. В частности, рассмотрен аппарат нечеткого анализа и перспектива его применения при решении практических задач экономики. Рекомендованно что, при финансовом и экономическом анализе следует применять и внедрять такие экономические и математические инструменты, которые с одной стороны, в полной мере будут учитывать существующую реальность управления бизнесом, а с другой стороны будут основаны не таких современных направлениях, одной из которых является теория нечеткого анализа.


FUZZY ANALYSIS AND PROSPECT OF ITS APPLICATION IN THE SOLUTION OF ECONOMIC PROBLEMS

I. Amanatashvili, T. Diasamidze, N. Elashvili, D. Shanidze

Summary

The article deals with traditional and non-traditional approaches in the field of mathematical modeling housekeepers. In particular, we consider fuzzy analysis and prospect of its application in solving practical problems in the economy. Recommend that the financial and economic analysis should apply and implement such economic and mathematical tools, which on the one hand, will fully take into account the current reality of business management, on the other hand will be based not such modern directions, one of which is the theory of fuzzy analysis.

GTU
Transport and Mechanical
Engineering Department
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№2 (33)  2015
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

უაპ 338.4;338.48.

**მრეწველობა და მისი მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკის
განვითარებისათვის**

დ. შანიძე, ი. ამანათაშვილი, თ. დიასამიძე, ნ. ელაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77, 0175,
თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს მრეწველობის დარგები და მათი მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის. დასაბუთებულია, რომ მრეწველობის განვითარებისათვის საჭიროა ხელსაყრელი პირობების შექმნა, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება. აუცილებელია ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების მოზიდვა, რათა შეძლონ ყოველგვარი პრობლემების გარეშე გააფართოვონ საქმიანობა წარმოებასა და მომსახურების სფეროში. საჭიროა საბანკო სექტორის აქტიური ჩართულობა საინვესტიციო პროექტებში, სამეწარმეო ბიზნესის დაკრედიტებაში წარმოქმნილი პრობლემების და რისკ-ფაქტორების მინიმიზაცია, გამარტივებული დაკრედიტების სისტემის შექმნა, ნდობის ამაღლება საბანკო სექტორსა და სამეწარმეო სექტორებს შორის.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა, მრეწველობის მენეჯმენტი, საგადასახადო ვალდებულება, საბანკო დაკრედიტება.

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის ისევე, როგორც ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის, დიდი მნიშვნელობა აქვს მრეწველობის განვითარებას და მისი ხვედრითი წილის ზრდას ქვეყანაში წარმოებულ მთლიან შიდა პროდუქტში.

ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნის სამთავრობო სექტორი შეძლებისდაგვარად ცდილობდა მრეწველობის განვითარებას, მაგრამ ამ მხრივ, საგრძნობი წარმატება ვერ იქნა მიღწეული, ზოგ შემთხვევაში დაკლებული მცდელობის, ზოგჯერ კი არასწორი პოლიტიკის გამო.

ეკონომისტების ნაწილი საჭიროდ არ თვლის სახელმწიფოს ჩარევას მრეწველობის განვითარების საქმეში. ისინი თვლიან, რომ ბაზარი თვითონ დაარეგულირებს ყველაფერს. თუმცა, არ შეიძლება უარყოფითი სახელმწიფოს როლი ეკონომიკის განვითარებაში. მისი ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება ამ მხრივ არის სწორი და იურიდიულად გამართული სამართლებრივი ბაზის შექმნა, რომელიც არა მხოლოდ დაარეგულირებს სამრეწველო წარმოებაში არსებულ ურთიერთობებს, არამედ ხელს შეუწყობს მრეწველობის განვითარებას, გაამარტივებს ბიზნესის წარმოების გარემოს, დაიცავს თითოეული ბიზნეს-სუბიექტის ინტერესებს.

მნიშვნელოვანია, ქვეყანაში არსებობდეს ისეთი სამართლებრივი გარემო, რომელიც დაიცავს ადგილობრივ წარმოებას, ასევე მიმზიდველს გახდის საქართველოს ბაზარს სხვადასხვა მწარმოებლებისათვის, დაინტერესებს ინვესტორებს. კანონმა უნდა უზრუნველყოს სამრეწველო წარმოებაში დასაქმებული ყველა ადამიანის უფლებები, შექმნას თავისუფალი კონკურენციისთვის შესაფერისი გარემო, მეწარმე უნდა ენდობოდეს სახელმწიფოს და უნდა ჰქონდეს სამართლიანობის და დაცულობის შეგრძნება, რათა თავისუფლად მოახდინოს თვითრეალიზაცია.

პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოში კარგად იყო განვითარებული მრეწველობის ისეთი დარგები როგორცაა: მანქანათმშენებლობა, მეტალურგია, კვებისა და მსუბუქი მრეწველობა. კომუნისტური პარტიის მიერ წარმოებული სოციალური მშენებლობა ითვალისწინებდა მრეწველობის ინდუსტრიალიზაციას, მსხვილი წარმოების უპირატეს განვითარებას. ინდუსტრიალიზაციამ საქართველოში სერიოზულ წარმატებას ვერ მიაღწია, თუმცა ეკონომიკური ეფექტი უფრო დიდი იყო ვიდრე კოლექტივიზაციისა. ინდუსტრიალიზაციის პერიოდში მეტი ინტენსივობით ამუშავდა ჭიათურის მარგანეცის ქარხანა, ტყვარჩელის ქვანახშირის წარმოება, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. 1933 წელს ამუშავდა ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა. პირველი წარმატებები მოპოვებულ იქნა ქვეყნის ელექტროფიკაციაში. ძველი სამრეწველო სიმძლავრეების ამოქმედებამ და ახალი საწარმოების მშენებლობამ შესაძლებელი გახადა მუშახელის დასაქმება.

სამრეწველო წარმოება სახელმწიფოთა ეროვნული მეურნეობის უმნიშვნელოვანესი სფეროა. მსოფლიოს მაღალგანვითარებული ქვეყნების წინსვლის საფუძველს ეკონომიკის აღმავლობისადმი ყურადღება განაპირობებს. ამტომაც არის, რომ მრეწველობის მხრივ განვითარებული ქვეყნებში

მთლიანი ეროვნული პროდუქტის, ეროვნული და ბიუჯეტის შემოსავლების ნახევარზე მეტი სამრეწველო წარმოებაში იქმნება.

საქართველოს დღევანდელი მრეწველობა ღრმა ეკონომიკურ კრიზისში იმყოფება. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით 1990 წლიდან 2003 წლამდე სამრეწველო პროდუქციის მოცულობა შემცირებულია 12-ჯერ და მეტად. წარმოების მოცულობის ასეთი მკვეთრი დაცემის გამო საქართველოს უკვე არ განიხილავენ განვითარებული ინდუსტრიულ სახელმწიფოდ და იგი განვითარებადი - „მესამე სამყაროს ქვეყნების რიგში აღმოჩნდა. [1]


წარმოების მოცულობა დაეცა ეკონომიკის ყველა სექტორში, მაგრამ იგი ყველაზე საგრძნობია მრეწველობაში. აღნიშნული განაპირობებს მოსახლეობის შემოსავლების სიდიდესაც, რომელიც აგრეთვე დაცემულია. ჩვენთან მოქმედი სტატისტიკით შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი განსაზღვრულია 160,0-161,9 ლარით, საშუალო მომხმარებლისთვის 141,7-143.4 ლარით, საშუალოდ ერთი ოჯახისათვის კი – 268,7-271,6 ლარით, ერთ თვეზე გაანგარიშებით. [1]

საქართველოში არსებული საწარმოო სიმძლავრეები და წარმოებული პროდუქციის მოცულობაც 80-იანი წლებისათვის შეესაბამებოდა განვითარებული სახელმწიფოს ანალოგიურ მაჩვენებლებს. [2-4]

მრეწველობა საქართველოს ეკონომიკაში წამყვან დარგს წარმოადგენდა. საკმარისია ითქვას, რომ იგი აწარმოებდა ქვეყნის საერთო პროდუქციის 58-59 პროცენტს, ხოლო ამ დარგში დასაქმებულთა რიცხოვნობა მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის 38-40 პროცენტს შეადგენდა. ამჟამად საქართველოში მთლიანად მრეწველობა და ცალკეული საწარმოები მნიშვნელოვან სიძნელეებს განიცდიან, მრავალჯერ შემცირდა სამრეწველო წარმოების მოცულობა 1995-2000წ. ძირითადად აღინიშნებოდა კლების ტენდენციებით.

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა დღეს მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია ვიდრე წინა წლებში. აქედან გამომდინარე მრეწველობის მაჩვენებლებიც უკეთესია. 2013 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა მრეწველობის ყველა მაჩვენებლის მიხედვით. [1]

მრეწველობის დარგის ბრუნვის მოცულობა




საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით.[1] მრეწველობის სექტორის ბრუნვამ 2014 წელს შეადგინა 8637,1 მლნ. ლარი (ზრდა 7,4 %), ხოლო გამოშვების მოცულობამ კი 7633,1 მლნ. ლარი (ზრდა 4,6%).

2014 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელმა წინასწარი მონაცემებით, მიმდინარე ფასებში 29187,9 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 8,7 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა წინა წელთან შედარებით 4,8 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო დეფლატორი გაიზარდა 3,8 პროცენტით.

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში უდიდესი წილი უკავია ვაჭრობის (17,4 პროცენტი) და მრეწველობის (17,1 პროცენტი) სექტორებს. შემდეგ პოზიციებს იკავებენ ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (10,5 პროცენტი), სახელმწიფო მმართველობა (9,9 პროცენტი), სოფლის მეურნეობა (9,2 პროცენტი), მშენებლობა (7,3 პროცენტი), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომსახურების გაწევა (6,0 პროცენტი), დანარჩენი დარგები (22,6 პროცენტი).

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, მთლიანი ეროვნული შემოსავლის ზრდის დინამიკა ასეთია: [1,4]

მთლიანი ეროვნული შემოსავალი, მლნ. ლარი



* დაზუსტებული შეფასებები გამოქვეყნდება 2015 წლის 16 ნოემბერს.

მრეწველობის როლის შეფასებისას თანამედროვე საზოგადოებაში არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მომსახურების სფეროს ნაწილს უშუალო შეხება აქვს სამეწარმეო მომსახურებასთან და ეს ფუნქციები აღრე თვითონ სამრეწველო ფირმების მიერ ხორციელდებოდა. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს რომ ზუსტად მრეწველობის ზრდამ გახადა შესაძლებელი მომსახურების სფეროს წილის მატება მსოფლიო ეკონომიკაში. არსებობს მომსახურების სფეროს შიდა ინდუსტრიალიზაციის პროცესი. მაგალითად, როდესაც ორგანიზაცია, რომელიც ვაჭრობს ჩაითი ახდენს მის დაფასობას და შეფუთვას, ან როდესაც კომპიუტერებით მოვაჭრე ორგანიზაცია თავად აწარმოებს მათ აწყობას.

მსოფლიო ეკონომიკაში მეორადი სექტორის კლება არც თუ ისე საგრძნობია, თუ გავითვალისწინებთ ახალი ინდუსტრიული ქვეყნების სწრაფ განვითარებას მაგალითად ჩინეთის, ინდოეთის, მექსიკის, ბრაზილიის და ა.შ. უნდა ავლნიშნოთ რომ ქვეყნების უმეტესი ნაწილი ისევ ინდუსტრიული განვითარების საფეხურზე იმყოფებიან ან ეხლა უახლოვდებიან მას (აზიის და აფრიკის მეტნაკლებად განვითარებული ქვეყნები).

ეკონომიკა ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. თითოეული ჩვენგანი ვცხოვრობთ ეკონომიკურ გარემოში და შეგვაქვს ჩვენი წილი მის განვითარებაში. თითოეული ოჯახი აწარმოებს

საკუთარ ეკონომიკურ პროცესებს. საქართველოში ბიზნესში დასაქმებული ქართველი მეწარმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თუ როგორი იქნება ამ სფეროს სამართლებრივი უზრუნველყოფა. წარმატებული ბიზნესი დამოკიდებულია ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის გამართულობასა და გონივრულობაზე. ვინაიდან ყოველ დღიურად მეწარმეს შეიძლება წარმოემვას სხვადასხვა სახის ურთიერთობები პარტნიორებთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან, რაც აუცილებლად უნდა იქნეს მოქცეული სამართლებრივ ჩარჩოებში.

ყველას აქვს უფლება თავისუფლად ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. ეს უფლება საქართველოს კონსტიტუციით არის განსაზღვრული ხოლო სხვადასხვა კანონები არეგულირებენ სამეწარმეო საქმიანობიდან გამომდინარე ურთიერთობებს ისე, რომ ეს მთავარი უფლება იყოს დაცული. კანონი სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ განსაზღვრავს ნორმებს რომლებიც უნდა დაიცვან სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმართველობის და მმართველობის ორგანოებმა მეწარმის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებისას.

ბიზნესის სფეროში დასაქმებული პირისათვის მნიშვნელოვანია არსებობდეს ისეთი კანონები რომლებიც გაუადვილებს საქმიანობას და შექმნის მისი ბიზნესისათვის ხელსაყრელ გარემოს. ეკონომიკის განვითარება დამოკიდებულია ქვეყნის შიგნით წარმოებული პროდუქციის მოცულობის ზრდაზე, რათქმა უნდა მნიშვნელოვანია მისი სტიმულირება სახელმწიფოს მიერ, რაც სამართლებრივი ბაზით უნდა იყოს უზრუნველყოფილი. იმისათვის რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა მრეწველობის დარგში შეიცვალოს და წარმატებით განვითარდეს აუცილებელია სახელმწიფოს მეტი მონაწილეობა და დახმარება ამ დარგის განსავითარებლად. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ რომ ამ სფეროს აქვს განვითარების პერსპექტივა.

მნიშვნელოვანი საკითხია განვსაზღვროთ თუ რამდენად შეესაბამება საქართველოში არსებული სამრეწველო წარმოების სამართლებრივი რეგულირება მსოფლიო საკანონმდებლო ნორმებსა და სტანდარტებს. საქართველოში მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის დამყარების უპირველესი დაბრკოლება არის საგადასახადო სისტემა, რომელიც თითქოსდა საკმაოდ ლიბერალურია, ვინაიდან ცენტრალური ბიუჯეტის გადასახადები სახეობების მიხედვით საკმაოდ მცირეა. მოქმედებს ექვსი სახის გადასახადი: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებითი ღირებულების გადასახადი, აქციზი, იმპორტის გადასახადი და ქონების გადასახადი. მაგრამ მთავარი პრობლემა რომელსაც აწყდება მეწარმე არის გადასახადების ადმინისტრირება.[5]

საგადასახადო კოდექსში შევხვდებით გადასახადის გადახდევინების წესის შესახებ არსებულ მუხლებს, რომელის შინარსი საკმაოდ ბუნდოვანია. რა თქმა უნდა მათი განმარტება ხდება არა მეწარმის. არამედ სახელმწიფოს სასარგებლოდ.

ავლნიშნეთ რომ მნიშვნელოვანია მსოფლიო ბაზარზე გასასვლელად წარმოებულ იქნას კონკურენტუნარიანი პროდუქცია, ასეთი პროდუქციის წარმოება მხოლოდ თავისუფალი ეკონომიკის პირობებშია შესაძლებელი, რაც შესაბამისი საკანონმდებლო აქტით უნდა იქნას უზრუნველყოფილი. მიუხედავად იმისა რომ ბოლო წლებში საქართველოში ბიზნესის კეთების გასაადვილებლად სხვადასხვა კანონებში შევიდა მთელი რიგი ცვლილებები ეს საკმარისი არ აღმოჩნდა სამრეწველო ბიზნესის ასაყვავებლად. მნიშვნელოვან შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს ანტიმონოპოლიური კანონის და შესაბამისი სამსახურის გაუქმება. ამ კანონის გაუქმებას მოჰყვა საქართველოში ფარმაცევტულ წარმოებაში მონოპოლიების შექმნა ბაზარი თითქმის სრულად გადანაწილდა სამ მწარმოებელზე რამაც რათქმუნდა შეზღუდა კონკურენცია, იგივე შეიძლება ითქვას საწვავის შემომტან საწარმოებზე, აქაც გაჩნდნენ მონოპოლისტი კომპანიები. თუმცა, შეიძლება ითქვას რომ დღეს უკვე მიმდინარეობს მუშაობა ამ კანონის აღსადგენად, რაც ხელს შეუწყობს თავისუფალი კონკურენტული გარემოს შექმნას. ძალიან მნიშვნელოვანია საარბიტრაჟო სასამართლოების არსებობა ვინაიდან, ჩვეულებრივი სასამართლო წარმოება მოითხოვს დიდ დროსა და რესურსებს. საარბიტრაჟო სასამართლოები ბიზნესის სფეროში წარმოქმნილი დავების გადასაწყვეტად კარგი გამოსავალია.

დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ ინსტიტუტებს არ შეუძლიათ, რა თქმა უნდა, მართლმსაჯულების განხორციელება. ეს ფუნქცია ჩვენში იმპერატიულად ეკუთვნის მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ სასამართლოებს, მაგრამ არბიტრაჟმა, განსაკუთრებით კი ამ ეტაპზე, როცა ვითარდება საბაზრო ეკონომიკა და ხშირ შემთხვევაში დროში გაწელილი პროცესები ზიანს აყენებენ მეწარმეთა საქმიანობას და იწვევენ არასასურველ შედეგებს, დიდი როლი უნდა შეასრულოს.

ასევე განსახილველია საქართველოს სამეწარმეო ბიზნესის სამართლებრივი უზრუნველყოფის საერთო მიმართულებები.

საქართველოში სამეწარმეო ბიზნესის წარმოების განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში. სახელმწიფოს მოვალეობაა ამ მიმართულებით შექმნას ხელსაყრელი პირობები, როგორც მცირე, ისე საშუალო და მსხვილი საწარმოებისათვის. პირობების შექმნა კი შესაძლებელია შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნით და არსებული სამართლებრივი ნორმების გაუმჯობესებით. ძირითადი პრობლემური საკითხები ამ მიმართულებით არის საგადასახადო

სისტემა, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა, კერძო არბიტრაჟის არ არსებობა, სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო და ასე შემდეგ.

მნიშვნელოვანია რეფორმების გატარება, ინოვაციები, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა, სატრანზიტო პოტენციალის გამოყენება, სოფლის მეურნეობის განვითარება, ენერჯეტიკის განვითარება - ეს არის სექტორი რომელიც სხვა სექტორების განვითარებას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ინდუსტრიული სექტორის განვითარებას.

სრულყოფილი კონკურენციის ქვეშ იგულისხმება ისეთი ბაზარი, რომლის ფუნქციონირების პირობებს მომხმარებელი განსაზღვრავს. კერძოდ, იწარმოება ის, რაც სჭირდება მყიდველს და საქონელი იყიდება მაქსიმალურად შესაძლებელ დაბალ ფასებში. ბაზარი იმით არის ეფექტური, რომ წარმოების ან გასაღების რაიმე კონკრეტულ ცვლილებებს არ შეუძლია გააუმჯობესოს მომხმარებლის ან გამყიდველის მდგომარეობა სხვა რომელიმეს უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩაყენების გარეშე. ცნობილია, რომ ბაზრის ეკონომიკური კანონები ფიასკოს განიცდიან, თუ მათ არ შეუძლიათ უზრუნველყონ საზოგადოების მაქსიმალური კეთილდღეობა და ისეთ შედეგებამდე მივყავართ, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სფეროებზე, ხშირ შემთხვევაში ხდება ბაზრის ან მისი რომელიმე ნაწილის მონოპოლიზება. მონოპოლიზებული ბაზარი კი რადიკალურად განსხვავდება კონკურენციული ბაზრისაგან; განსხვავებულია რესურსებისა და შემოსავლების განაწილება და საზოგადოების კეთილდღეობისადმი მიდგომაც კი. კერძოდ, მონოპოლიზების დროს, როგორც წესი, ხორციელდება სიმდიდრის გადაღინება მომხმარებლიდან გამყიდველისაკენ, მცირდება პროდუქციის წარმოება, კლებულობს წარმოებაში სიახლეთა დანერგვის მოტივაცია და სწრაფვა ეფექტიანობის გაზრდისაკენ.

კონკრეტულ სასაქონლო ბაზრებზე ეკონომიკური კონცენტრაციის ზრდის პარალელურად მატულობს მონოპოლიზების დონე, უარესდება კონკურენციის ხარისხი და შესაბამისად, ბიზნესის გარემოც. განსაკუთრებით მტკივნეულად რეაგირებენ ბაზრის მონოპოლიზების მიმართ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, რომელთა უდიდესი ნაწილი არასწორი საფასო პოლიტიკისა და შექმნილი ბარიერების გამო კარგავს საშუალებას განაგრძოს მეწარმეობა და იძულებული ხდება დატოვოს ბაზარი; შემთხვევითი არაა, რომ 1890 წელს აშშ-ში პირველი ანტიტრესტული კანონი, შერმანის აქტის სახელწოდებით, კონგრესმა სწორედ მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა და ფერმერთა ზეწოლით მიიღო, რომელიც თავის მხრივ გამოიწვია ამ უკანასკნელთა საფუძვლიანმა ეჭვმა და შიშმა თავიანთი ბიზნესის პერსპექტივების თაობაზე მსხვილი მონოპოლიური გაერთიანებების

შექმნისა და თავისუფალი ფასწარმოქმნის მონოპოლიურით, ხოლო კონკურენციული ბიზნესგარემოს დისკრიმინაციულით შეცვლის გამო.

ანტიმონოპოლიური სამსახური საქართველოში ჯერ კიდევ 1992 წლიდან ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებობდა[6]. 1997 წელს ის დამოუკიდებელ ორგანოდ ჩამოყალიბდა. ანტიმონოპოლიური სამსახური “მონოპოლიური საქმიანობის და კონკურენციის შესახებ” კანონის აღსრულებაზე იყო პასუხისმგებელი.

კონკურენციის სფეროში ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ ხორციელდებოდა მონოპოლისტი კომპანიების საბაზრო ქცევის მონიტორინგი, რათა მონოპოლისტებს დომინირებული მდგომარეობა ბოროტად არ გამოეყენებინათ. რადგან როგორც ძველი, ისე ახალი, ანუ 2012 წელს მიღებული კანონები კრძალავს არა თავად მდგომარეობას, არამედ მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. მაგალითად, კონკრეტული ბიზნესი შეიძლება იყოს ძალზედ წარმატებული, კარგი სტრატეგია ჰქონდეს, ჰყავდეს ბევრი მომხმარებელი, შესაბამისად, მან შეიძლება დაიკავოს ბაზრის 80%. ამ შემთხვევაში კანონს აინტერესებს არა ის, რომ კომპანიას ბაზრის დიდი წილი უჭირავს, არამედ ის, რომ მან ეს მდგომარეობა ბოროტად არ გამოიყენოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისეთი მაღალი ფასი, ან განსაკუთრებული პირობები არ დააწესოს რაც მომხმარებელს პრობლემას შეუქმნის.

2005 წელს ანტიმონოპოლიური სამსახური გაუქმდა და სანაცვლოდ მკვეთრად შეზღუდული ფუნქციების მქონე “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო” შეიქმნა, რომელიც 7 კაცისგან დაკომპლექტდა. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელისუფლების არგუმენტი იყო, რომ საქართველო პატარა ბაზარია და რეგულირება არ სჭირდება.

ევროკომისიის ფაქტების დამდგენმა მისიამ 2008 წელს საქართველოში კონკურენტული გარემოს შეფასების შემდეგ განსაკუთრებულ აქცენტი ანტიმონოპოლიურ რეგულირებაზე გააკეთა. ამის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ 2010 წელს “კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია” შეიმუშავა. “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” კანონი საქართველოს პარლამენტმა 2012 წლის მაისში დაამტკიცა. ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობაზე მუშაობა და კონკურენციის შესახებ პოლიტიკის რეფორმა ერთ-ერთი პრიორიტეტული სფერო იყო საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ შეთანხმებაზე მოლაპარაკების დასაწყებად.

მეწარმეობის განვითარება შეუძლებელია ხელსაყრელი საგადასახადო სისტემის არსებობის გარეშე. ეკონომიკაში გადასახადის ოპტიმალური მოცულობის განსაზღვრა და სწორი პოლიტიკის ჩამოყალიბების პრობლემა საზოგადოების განვითარებასთან ერთად არათუ მოიხსნა არამედ გარკვეულწილად გამწვავდა.

1998 წლიდან 2004 წლამდე მოქმედებდა პირველი საგადასახადო კოდექსი რომლის მიხედვითაც თავიდან განსაზღვრული იყო 18 გადასახადი ხოლო მოგვიანებით დაემატა 3 სახის გადასახადი და სულ საქართველოში 1998-2004 წლებში არსებობდა 21 სახის გადასახადი.[5]

2005 წლის პირველი იანვრიდან მოქმედი საგადასახადო კოდექსი ახალმა საგადასახადო კოდექსმა ჩაანაცვლა. ადრე არსებული 21 გადასახადიდან დარჩა მხოლოდ 6 სახის გადასახადი. შემცირდა ზოგიერთი გადასახადების განაკვეთები და დაბეგვრის ობიექტები. 2010 წლის 17 სექტემბერს საგადასახადო კოდექსში ახალი ცვლილებები შევიდა რომელიც ამოქმედდა 2011 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს, აწესრიგებს საქართველოს საბაჟო საზღვარზე მგზავრის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის, გადასახადის გადამხდელისა და უფლებამოსილი ორგანოს სამართლებრივ მდგომარეობას, განსაზღვრავს საგადასახადო სამართალდარღვევის სახეებს, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, უფლებამოსილი ორგანოსა და მისი თანამდებობის პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს, საგადასახადო დავის გადაწყვეტის წესს, არეგულირებს საგადასახადო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საგადასახადო სისტემა მაშინ ფუნქციონირებს ოპტიმალურად, როდესაც ის აგებულია ისეთ პრინციპებზე, როგორიცაა: სამართლიანობა, თანასწორობა, ეკონომიკური ეფექტიანობა, სიმარტივე და განსაზღვრულობა. აუცილებელია ამპრინციპების პატივისცემა და აქედან გამომდინარე, მათი უპირობო შესრულება.

ამრიგად, მრეწველობის განვითარებისათვის საჭიროა ხელსაყრელი პირობების შექმნა, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება. აუცილებელია მოვიზიდოთ ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორები, რათა შეიძლოს ყოველგვარი პრობლემების გარეშე გააფართოვონ საქმიანობა წარმოებასა

და მომსახურების სფეროში. საჭიროა საბანკო სექტორის აქტიური ჩართულობა საინვესტიციო პროექტებში, სამეწარმეო ბიზნესის დაკრედიტებაში წარმოქმნილი პრობლემების და რისკ-ფაქტორების მინიმიზაცია, გამარტივებული დაკრედიტების სისტემის შექმნა, ნდობის ამაღლება საბანკო სექტორსა და სამეწარმეო სექტორებს შორის, რადგან საქართველოს საბაზრო ეკონომიკა გარდამავალ პერიოდში იმყოფება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სტატისტიკური ინფორმაცია. www.geostat.ge/.
2. 2013 წლის მიმოხილვა. საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა. ეკონომიკის პოლოტიკური კვლევის ცენტრი. 2013.
3. თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ., გეგია დ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. ფონდი ღია-საზოგადოება საქართველო. 2011.
4. ც. ძოწენიძე, საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის ეკონომიკური პრობლემები და პერსპექტივები. სადისერტაციო ნაშრომი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2013.
5. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2013. <https://matsne.gov.ge/>
6. ლელა წიკლაური, თავისუფალი კონკურენცია versus მონოპოლია. 2010, www.gfsis.org

ЗНАЧЕНИЕ ПРОМЫШЛЕННОСТИ ДЛЯ РАЗВИТИЯ ЭКОНОМИКИ ГРУЗИИ

Д. Шанидзе, Я. Аманаташвили, Т. Диасамидзе, Н. Елашвили

Резюме

В статье анализируются отрасли промышленности и их значение для развития экономики Грузии. Доказано, что, для промышленного развития, необходимо создание благоприятных условий, улучшение бизнес-среды. Необходимо привлечение местных и иностранных

инвесторов для того, чтобы иметь возможность расширить свою деятельность без каких-либо проблем в области промышленной и производственной деятельности. Требуется активное участие банковского сектора в инвестиционных проектах, минимизация проблем и риск-факторов возникающих в деле кредитования предпринимательских предприятий. Следует свести к минимуму проблемы и факторы риска. Необходимо создание упрощенной системы кредитования, повышение доверия между банковским и бизнес секторами.


THE VALUE OF THE INDUSTRY FOR THE DEVELOPMENT OF THE GEORGIAN ECONOMY

D. Shanidze, I. Amanatashvili, T. Diasamidze, N. Elashvili

Summary

The article analyzes the industry and their significance for the development of the Georgian economy. It is proved that, for industrial development, it is necessary to create favorable conditions, improving the business environment. It is necessary to attract local and foreign investors in order to be able to expand their activities without any problems in the field of industrial and manufacturing activities. It requires the active participation of the banking sector in investment projects, minimizing problems and risk factors arising in the lending business enterprises. It should minimize the problems and risks. It should be a simplified system of credit, increasing the confidence between the banking and business sectors.

GTU
Transport and Mechanical
Engineering Department
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№2 (33)  2015
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

უპკ 658.652

**სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური
სინქარის გაზრდის რეკომენდაციები**

ვ. ხარიტონაშვილი, დ. აშოთია

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, კოსტავას №77,
თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: სატრანსპორტო ლოგისტიკური სისტემის მიწოდების ჯაჭვში, მოცემულ საექსპლუატაციო პირობებში ავტოსატრანსპორტო საშუალების დასაშვები მაქსიმალური სინქარის დონის შენარჩუნების პირობებში საშუალო ტექნიკური სინქარის გაზრდის პრობლემის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საშუალო ტექნიკური სინქარის გაზრდის ძირითადი რეზერვის წყაროს წარმოადგენს ავტოსატრანსპორტო საშუალების საექსპლუატაციო თვისებებისა და მოძრაობის უსაფრთხოების კოეფიციენტის გაზრდა სავალი პირობებისა და მოძრაობის ორგანიზაციის სრულყოფით, აგრეთვე მძღოლის ფსიქოლოგიური გადამზადება.

საკვანძო სიტყვები: ავტოსატრანსპორტო საშუალება, ტექნიკური სინქარე, მოძრაობის რეჟიმები.

შეჯამება

ლოგისტიკურ სისტემის მიწოდების ჯაჭვში ავტოსატრანსპორტო (ას) საშუალების ეფექტიანობა დამოკიდებულია საექსპლუატაციო პირობებზე. ას საშუალებას, რომელსაც ზოგად შემთხვევაში გააჩნია ეფექტიანობის მაღალი მაჩვენებელი, შეიძლება კონკრეტულ მარშრუტზე იყოს ნაკლებად ეფექტიანი. თუ განვიხილავთ „მძღოლი - ავტოსატრანსპორტო საშუალება – გზა - გარემო“ სისტემის

ელემენტებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ მეწარმე - გადამზიდველს არ შეუძლია მოახდინოს ზემოქმედება კლიმატურ პირობებზე, საგზაო მოძრაობის ორგანიზაციასა და გზის საექსპლუატაციო პარამეტრებზე. როგორც ჩანს, მოცემულ საექსპლუატაციო პირობებში გადამზიდველს შეუძლია სატრანსპორტო პროცესის ეფექტიანობის გაზრდა მხოლოდ რაციონალური ას საშუალებისა და მისი მოძრაობის რეჟიმების შერჩევით.


ძირითადი ნაწილი

მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილების ძირითად პირობას წარმოადგენს ლოგისტიკური სისტემის მიწოდების ჯაჭვში ას საშუალების მიერ შესრულებულ სატრანსპორტო მუშაობის მოცულობა განსაზღვრულ დროში, რაც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საშუალო ტექნიკურ სიჩქარეზე.

ამჟამად სატვირთო ას საშუალების მოძრაობის მაქსიმალურმა სიჩქარემ მყარ საფარიან საავტომობილო გზებზე მიაღწია 90...110 კმ/სთ და შემდგომი მისი გაზრდა დამოკიდებულია საგზაო პირობების გაუმჯობესებასთან და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების (სსშ) რისკების შემცირებასთან. გარდა ამისა, მოძრაობის სიჩქარის გაზრდა მოითხოვს ძრავასა და ტრანსმისიის მაღალ ხვედრით სიმძლავრეს. ძრავასა და ტრანსმისიის კონსტრუქციის სრულყოფა იწვევს ას საშუალების საექსპლუატაციო თვისებების (წვეითი და სამუხრუჭო დინამიკა, გამავლობა და სხვა) გაზრდას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს საშუალო ტექნიკური სიჩქარის მიახლოებას მაქსიმალურ სიჩქარესთან. ამრიგად, არსებობს საფუძველი, რომ ას საშუალების მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარის v_{max} გაზრდის გზით მისი საშუალო ტექნიკური სიჩქარის v_{st} რაციონალური ზღვრები არ არის ამოწურული.

ამჟამად სატვირთო ას საშუალების მაქსიმალური სიჩქარის გამოყენების კოეფიციენტი ($\eta_v = v_{st} / v_{max}$) არის ზღვრებში 0,60...0,66 ალბათობით 95% და 0,585...0,675 ალბათობით 99%. ანუ $\eta_v = 0,60 \div 0,66 (0,585 \div 0,675)$.

ანთროპოცენტრიზმის კონცეფციის თანახმად ნებისმიერი ტექნიკური სისტემის, მათ შორის ას საშუალების, ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს ადამიანი (მძღოლი). მოძრაობის რეჟიმებში მისი ფუნქციონირების მოდელი შეიძლება წარმოვიდგინოთ ნახ. 1-ზე მოცემული სქემის მიხედვით.



ნახ. 1. ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობის ანტროპოცენტრული სისტემის კონცეპტუალური მოდელი

როგორც ნახ.1-დან ჩანს, მძღოლის კავშირი გარემოსთან არის ორმხრივი. მათი ურთიერთქმედების შედეგად ხორციელდება ას საშუალების მოძრაობა და ეს ურთიერთქმედება ყოველთვის ექვემდებარება მართვას, ანუ მძღოლი ყოველთვის დომინირებს მოძრაობის უზრუნველყოფის სისტემაზე. გარემოს ზემოქმედება მძღოლზე ცალმხრივია და ზემოქმედებს მის ფსიქო-ფიზიოლოგიურ მანსიათებელზე. სრულად დეტერმინებულ საწყის პირობებში წონასწორობის უნარი განისაზღვრება სისტემის პარამეტრებით [2,3].


ას საშუალების მოძრაობის უზრუნველყოფის სისტემის პოტენციური შესაძლებლობის რეალიზება იზღუდება, როგორც საგზაო და გარემო, ისე მძღოლის ფაქტორით. მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარიდან საშუალო სიჩქარეზე გადასვლის შედეგი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ეკვიფინალური თეორიის საფუძველზე, რომლის თანახმად ჩაკეტილ სისტემისაგან განსხვავებით, ჩვენ შემთხვევაში, მაქსიმალური სიჩქარე განხილულ უნდა იქნეს, როგორც მისი მაქსიმალური დონე, რომელიც უზრუნველყოფს საგზაო პირობებისა და მოძრაობის მარშრუტის თავისებურების განსაკუთრებულ შერწყმას, რაც უზრუნველყოფს ას საშუალების ტექნიკური შესაძლებლობების სრულად რეალიზებას. გარდა ამისა, მაქსიმალური სიჩქარის რეალიზების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ას საშუალების საექსპლუატაციო თვისებები, მძღოლის ჩვევები, ცოდნა და გამოცდილება, მისი ფსიქოლოგიური თავისებურება და ფიზიოლოგიური მდგომარეობა. ეკვიფინალური მე თოდის გამოყენება საშუალებას იძლევა წარმოდგენილ იქნეს საშუალო ტექნიკური სიჩქარის და მოკიდებულება მაქსიმალური სიჩქარისაგან (ნახ. 2).

მაქსიმალური სიჩქარისაგან მოძრაობის საშუალო სიჩქარის დამოკიდებულების ანალიზური ინტერპრეტაცია გამოისახება მარტივი ფორმით

$$v_{st} = v_{\max} \eta_v \quad (1)$$

როგორც ნახ. 2-დან ჩანს, საშუალო ტექნიკური სიჩქარე ყალიბდება მაქსიმალური სიჩქარიდან შეზღუდვების შემოღებით, რაც დაკავშირებულია მოძრაობის უსაფრთხოების, ას საშუალებისა და მძღოლის მახასიათებლების მიხედვით. ამავე დროს, უსაფრთხოების პირობით მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვები განპირობებულია გზის საექსპლუატაციო პარამეტრებით, აგრეთვე სატრანსპორტო ნაკადში სხვა საგზაო მონაწილე ას საშუალებების მოძრაობით გამოწვეული შეფერხებებით.

აღნიშნული შეზღუდვები შეიძლება დახასიათებულ იქნეს შესაბამისი კოეფიციენტებით – მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარის შემცირება (სხვაობა $v_{\max} - v_{st}$) უსაფრთხოების პირობით (K_u), მძღოლის არასაკმარისი ჩვევებით, ცოდნითა და გამოცდილების გამო უსაფრთხო მოძრაობის სიჩქარით (K_g), ას საშუალების საექსპლუატაციო თვისებებით (K_3), მძღოლის ფსიქოლოგიური თვისებებისა



ნახ. 2. ას საშუალების საშუალო ტექნიკური სიჩქარის ხარისხობრივი დამოკიდებულება მისი მაქსიმალური სიჩქარისაგან

- 1 – მაქსიმალური სიჩქარე; 2 – სიჩქარე მოძრაობის უსაფრთხოების პირობით;
- 3 – სიჩქარე მძღოლის ფსიქოლოგიური მახასიათებლის შეზღუდვის მიხედვით;
- 4 – სიჩქარე მძღოლის ფსიქო-ფიზიოლოგიური მდგომარეობით შეზღუდვის გათვალისწინებით;
- 5 – სიჩქარე მძღოლის ჩვევებისა და გამოცდილების შეზღუდვის გათვალისწინებით;
- 6 – ას საშუალების საექსპლუატაციო თვისებები;
- 7 – მოძრაობის საშუალო სიჩქარე

(K_f) და მუშაუნარიანობის შემცირების (K_{mu}) გამო მოძრაობის სიჩქარის შემცირებით.

აღნიშნული კოეფიციენტების ნამრავლით მიიღება მაქსიმალური სიჩქარის გამოყენების ინტეგრალური კოეფიციენტის სიდიდე

$$\eta_v = K_u K_g K_3 K_f K_{mu} \quad (2)$$

ცხადია, რომ აღნიშნული კოეფიციენტები შეიძლება იცვლებოდეს ნულიდან ერთამდე. თუ ნებისმიერი ერთ-ერთი მათგანი იქნება ერთის ტოლი, ეს მიუთითებს შესაბამისი შეზღუდვის არ არსებობაზე, ხოლო რომელიმე კოეფიციენტის მნიშვნელობის ნულთან მიახლოება – მოძრაობის საშუალო სიჩქარეზე შესაბამისი ფაქტორის სრულ გავლენაზე. მაგალითად, როცა $K_{mu} \rightarrow 0$, მაშინ η_v და შესაბამისად საშუალო ტექნიკური სიჩქარე აგრეთვე მიისწრაფის ნულისაკენ.

K_u და K_g კოეფიციენტების ფიზიკური არსი არ მოითხოვს განმარტებას. კოეფიციენტი K_3 ახასიათებს ას საშუალების საექსპლუატაციო თვისებების დონეს (ძრავასა და ტრანსმისიის სრულყოფა, წვეთი დინამიკა - უზრუნველყოფს გაქანების მანძილისა და დროის შემცირებას, სამუხრუჭო დინამიკა - უზრუნველყოფს შენელების დროის შემცირებას, გამავლობა - უზრუნველყოფს გზის უსწორობისა და ქანობების გადალახვის და მოძრაობის საჭირო ზოლში ჩაწერვისა და მოძრაობის შესაძლებლობას გაუარესებულ და დეფორმირებულ გრუნტიან საგზაო პირობებში და სხვა თვისებებით.

კოეფიციენტი K_f ახასიათებს მძღოლის ფსიქიკურ მარაგს მოძრაობის სიჩქარის თვალსაზრისით, კერძოდ, სხვადასხვა საგზაო პირობებში მძღოლი უზრუნველყოფს მაქსიმალურ სიჩქარეზე რამდენადმე ნაკლებ მაქსიმალურად უსაფრთხო ტექნიკურ სიჩქარეს, რომლის მარაგის სიდიდე დამოკიდებულია მძღოლის ფსიქოლოგიურ და ემოციურ თვისებებზე. ამ თვალსაზრისით მძღოლები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: რომლებიც უშვებენ არსებით რისკებს $K_f = 0,1 \div 1,18$ და რომლებსაც გააჩნიათ რისკების აცილების უნარი $K_f = 0,86 \div 0,9$. პირველი ჯგუფის მძღოლთა რაოდენობა არ აღემატება $3 \div 5\%$, შესაბამისად მეორე ჯგუფისა - $95 \div 97\%$.

K_{mu} წარმოადგენს დროის ფუნქციას და განისაზღვრება მძღოლის გამძლეობით, მისი ფსიქოფიზიოლოგიური მდგომარეობით და ა.შ. ამ კოეფიციენტის სტაბილურობა უზრუნველყოფილია მძღოლის შრომისა და დასვენების პირობებით, აგრეთვე ას საშუალების სამართავად დაშვების წინ მისი მდგომარეობის კონტროლით.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მოძრაობის საშუალო ტექნიკური სიჩქარის დამოკიდებულება მაქსიმალური სიჩქარისაგან შეიძლება გამოისახოს ფორმულით:

$$v_{st} = v_{\max} K_{mu} K_3 K_f \sum_{i=1}^n K_{ui} K_{gi} \frac{S_i}{S_{\Sigma}} \quad (3)$$

სადაც K_{ui} და K_{gi} არის შესაბამისად მოძრაობის სიჩქარის შემცირების კოეფიციენტი მოძრაობის უსაფრთხოებისა და მძღოლის ჩვევების, ცოდნისა და გამოცდილების მიზეზით i -ურ საგზაო პირობებში; S_i და S_{Σ} – შესაბამისად, i -ური საგზაო პირობების მანძილი და მარშრუტის საერთო მანძილი, კმ; n – საგზაო პირობების რაოდენობა მარშრუტზე.

სიჩქარის გამოყენების კოეფიციენტის ფორმულა მიიღებს სახეს:

$$\eta_v = K_{mu} K_f \sum_{i=1}^n K_u K_{\gamma} K_g \frac{S_i}{S_{\Sigma}} \quad (4)$$

აღნიშნული ხუთი კოეფიციენტიდან განმსაზღვრელ კოეფიციენტებს წარმოადგენს სამი – K_u, K_{γ} და K_g . კოეფიციენტი K_{γ} დამოკიდებულია ას საშუალების საექსპლუატაციო თვისებებზე. K_u კოეფიციენტი განისაზღვრება მოძრაობის პირობებით, ხოლო K_g – მძღოლის ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებით, რომელთა საერთო გავლენა ას საშუალების მოძრაობის საშუალო ტექნიკურ სიჩქარეზე შეადგენს 85...87%, ხოლო K_{mu} და K_f კოეფიციენტების გავლენა შეადგენს 13...15%. იმის გათვალისწინებით, რომ მძღოლის მუშაუნარიანობის შენარჩუნებისა და ჩვევების სრულად კომპენსირება შეუძლებელია, K_{mu} და K_f კოეფიციენტების გაზრდისათვის ღონისძიებების მაქსიმალური ეფექტი არ აჭარბებს 8...10%, ეს კი შეესაბამება საშუალო ტექნიკური სიჩქარის 12...16%-ით გაზრდის მარაგს.

ამრიგად, სატრანსპორტო ლოგისტიკურ სისტემის მიწოდების ჯაჭვში მოცემულ საექსპლუატაციო პირობებში ას საშუალების დასაშვები მაქსიმალური სიჩქარის ღონის შენარჩუნების პირობებში საშუალო ტექნიკური სიჩქარის გაზრდის პრობლემის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საშუალო ტექნიკური სიჩქარის გაზრდის ძირითადი რეზერვის წყაროს წარმოადგენს ას საშუალების საექსპლუატაციო თვისებებისა და მოძრაობის უსაფრთხოების კოეფიციენტის გაზრდა საგზაო პირობებისა და მოძრაობის ორგანიზაციის სრულყოფით, აგრეთვე მძღოლის ფსიქოლოგიური გადამზადება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Суменков Н.А. О проблеме повышения средней скорости движения грузовых АТС. Журнал “автомобильная промышленность” №2. М. Машиностроение, 2010. с.24-26.
2. Системный анализ и принятие решения. Словарь-справочник. Учеб.пособие для вузов. Под ред. В.Н.Волковой, В.Н.Козлова. М. Высш. шк., 2004, 616 с.

3. Волкова В.Н. Теория систем. Учеб. пособие / В.Н. Волкова, А.А. Денисов. М. Высш. шк., 2006, 511 с.

RESERVES OF INCREASE OF TECHNICAL SPEED OF CARGO VEHICLES

V. Kharitonashvili, D. Ashotia

Summary

By consideration of a chain of deliveries of logistichsky system, in the conditions given the eksplatatsionnykh, the analysis of a prblema of increase of average speed of the movement of the vehicle at preservation admissible the level of its maximum speed showed that the main reserves of significant increase in technical speed are pryvysheniye of operational properties of vehicles and coefficient of traffic safety due to improvement road uslovий and the organizations of traffic, and also psychological training of drivers.


РЕЗЕРВЫ ПОВЫШЕНИЯ ТЕХНИЧЕСКОЙ СКОРОСТИ ГРУЗОВЫХ АВТОТРАНСПОРТНЫХ СРЕДСТВ

В. Харитонашвили, Д. Ашотия

Резюме

При рассмотрении цепи поставок логистической системы, в данных эксплуатационных условиях, анализ прлблемы повышения средней скорости движения автотранспортного средства при сохранении допустимой уровня максимальной его скорости показал, что основными резервами значительного увеличения технической скорости являются pryvysheniya эксплуатационных свойств автотранспортных средств и коэффицента безопасности движения за счет улучшения дорожных условий и организации дорожного движения, а также психологическая подготовка водителей.

GTU
Transport and Mechanical
Engineering Department
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№2 (33)  2015
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
– გარემო კლიმატური ფაქტორები, რომლებიც უწყვეტად მოქმედებენ სარელსო წრედებზე და იწვევენ მრავალმხრივ პროცესებს ელემენტებში და ცვლიან მათ ძირითად პარამეტრებს.

ძირითადი ნაწილი


2008–2012 წლებში საქართველოს რკინიგზის სატ მოწყობილობების დაზიანებების სტატისტიკური მონაცემების ალბათობის თეორიის აპარატის მიხედვით დამუშავების შედეგად გამოვლინდა სარელსო წრედის ელემენტის მაიზოლირებელი პირაპირების, მკვებავი ძაბვის გამორთვის და დენის სიხშირის დაცემის მტყუნებები, რომლებსაც მტყუნების ყველაზე დიდი ალბათობები გააჩნიათ. სატ მოწყობილობების ყველაზე დაზიანებადი ელემენტების, მათ შორის სარელსო წრედების ელემენტების ფუნქციონირების ხარისხის შესაფასებლად აუცილებელია, გამოკვლულ იქნას და განსაზღვრული მოწყობილობების საიმედოობის რაოდენობრივი მაჩვენებლები, დაზიანებების სტატისტიკური მონაცემების ბაზაზე.

მაიზოლირებელი პირაპირების მტყუნებების უფრო დეტალური ანალიზისათვის სატ მოწყობილობების 5 წლის მტყუნებათა სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ავაგეთ მაიზოლირებელი პირაპირების მტყუნებების რაოდენობებისა და ხანგრძლივობების წელიწადის თვეების მიხედვით განაწილების ჰისტოგრამები: ნახ.: 1, 2.

როგორც ჰისტოგრამებიდან ჩანს მაიზოლირებელი პირაპირის შემთხვევისათვის გვაქვს ორი ცვლადი; დამოუკიდებელი ცვლადი-წელიწადის თვეები და დამოკიდებული ცვლადები-ჩვენთვის საინტერესო პარამეტრები, მაიზოლირებელი პირაპირის მტყუნებების რაოდენობები და მათი ხანგრძლივობები. ჩვენი ამოცანაა ვიპოვოთ ფუნქციონალური კავშირი დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის.



ნახ. 1. მაიზოლორებელი პირაპირის მტყუნებათა რაოდენობრივი განაწილება წელიწადის თვეების მიხედვით



ნახ. 2. მაიზოლირებელი პირაპირების მტყუნებების ხანგრძლივობების განაწილება წელიწადის თვეების მიხედვით

ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით ცხადია, რომ კავშირი ამ ორ ცვლადს შორის არის არაწრფივი, ანუ კავშირს აქვს შემდეგი სახე:

$$Y_{\text{reg}} = \sum_{n=0}^n a_n x^n \quad (1)$$

Y_{reg} - დამოუკიდებელი ცვლადის შეფასებული, ანუ რეგრესიული მნიშვნელობაა, შეფასებული გარკვეული კრიტერიუმით;

x - დამოუკიდებელი ცვლადი (წელიწადის თვე);

a_n - წარმოადგენს კოეფიციენტებს (რეგრესიის კოეფიციენტი), რომელთა მნიშვნელობების დადგენა ხდება უმცირეს კვადრატთა მეთოდით

$$\sum_{i=1}^{12} \left(Y_i - \sum_{n=0}^n a_n x_i^n \right)^2 = \min$$

თუ რამდენად გაამართლა რეგრესიულმა მოდელმა განისაზღვრება დეტერმინაციის კოეფიციენტით


$$R^2 = \frac{\sum_{i=0}^n (y_{\text{reg},i} - \bar{y})^2}{\sum_{i=0}^n (y_i - \bar{y})^2}$$

სადაც, y_i - ცდაზე დაშვებული დამოუკიდებელი ცვლადის მნიშვნელობაა i -ური თვისთვის;

\bar{y} - დამოუკიდებელი ცვლადის საშუალო მნიშვნელობაა.

დეტერმინაციის კოეფიციენტი R^2 იღებს მნიშვნელობას $[0;1]$ ინტერვალში. 1-ს იღებს იმ შემთხვევაში, როცა მოდელი ზუსტად აღწერს ყველა ემპირიულ მნიშვნელობას. თითოეული დაზიანებისათვის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე მიღებული ჰისტოგრამების და ემპირიული მონაცემების მიხედვით აგებულ იქნა დიაგრამები. როგორც ზემოთ აღწერილ მათემატიკურ აპარატშია შემოთავაზებული მაიზოლირებული პირაპირის რაოდენობებისა და ხანგრძლივობების ფუნქციონალურ დამოკიდებულებას წელიწადის თვეებზე (1) ფუნქციის, რეგრესიული მოდელის სახე აქვს. ყველა მტყუნების შემთხვევისათვის გამოთვლილ იქნა რეგრესიის კოეფიციენტები, რომელთა მნიშვნელობების დადგენა ხდება უმცირეს კვადრატთა მეთოდით; გამოთვლილ იქნა y დამოკიდებული ცვლადი i -ური თვისთვის, მტყუნებების საშუალო მნიშვნელობები \bar{y} და დეტერმინაციის კოეფიციენტის, R^2 კრიტერიუმის საშუალებით განისაზღვრა თუ რამდენად გაამართლა რეგრესიულმა მოდელმა, რამდენად ახლოსაა

სტატისტიკური მონაცემებით აგებული მრუდი ემპირიულ მრუდთან, რამდენად ემთხვევა შერჩეულ გამოსახულებას მათი ფუნქციისა და არგუმენტის დამოკიდებულებები.




ნახ. 3 მაიზოლირებელი პირაპირის მტყუნებათა რაოდენობრივი განაწილება
წელიწადის თვეების მიხედვით

ნახ. 3-ზე ნაჩვენებია სტატისტიკური და ემპირიული მონაცემებით აგებული მრუდები მაიზოლირებელი პირაპირის მტყუნებათა რაოდენობრივი განაწილება თვეების მიხედვით შემთხვევისათვის. გაირკვა, რომ დამოუკიდებელი ცვლადის წელიწადის თვეების და დამოკიდებული ცვლადის, მაიზოლირებელი პირაპირის მტყუნებათა ფუნქციონალურ დამოკიდებულებას აქვს შემდეგი ფუნქციის სახე:

$$y=0.031x^4 - 0.804x^3 + 6.312 x^2 - 15.09x + 23.97$$

$$R^2 = 0.666$$



ნახ. 4. მაიზოლირებელი პირაპირების მტყუნებების ხანგრძლივობების განაწილება წელიწადის თვეების მიხედვით

ნახ. 4-ზე ნაჩვენებია სტატისტიკური და ემპირიული მონაცემებით აგებული მრუდები მაიზოლირებელი პირაპირების მტყუნებების ხანგრძლივობების განაწილება წელიწადის თვეების მიხედვით შემთხვევისათვის. გაირკვა, რომ დამოუკიდებელი ცვლადის წელიწადის თვეების და დამოკიდებული ცვლადის, მაიზოლირებელი პირაპირის მტყუნებათა ხანგრძლივობების ფუნქციონალურ დამოკიდებულებას აქვს შემდეგი ფუნქციის სახე:

$$y = - 0.111x^6 + 4.230x^5 - 58.90x^4 + 364.9 x^3 - 1001 x^2 + 1303x + 166.8$$

$$R^2 = 0.782$$

დასკვნა

ამდენად, გაირკვა რომ, მაიზოლირებელი პირაპირის დაზიანებისათვის მტყუნებათა რაოდენობებისა და ხანგრძლივობების ფუნქციონალურ დამოკიდებულებას წელიწადის თვეებზე რეგრესიული ფუნქციის სახე აქვს. მაიზოლირებელი პირაპირის შემთხვევისათვის განსაზღვრული განტოლებები, გამოთვლილი რეგრესიის კოეფიციენტები და R^2 კრიტერიუმები, შესაძლებელია სატ მოწყობილობების ექსპლოატაციის დროს გამოყენებულ იქნას კონკრეტულ თვეში მოსალოდნელი მტყუნებების შესახებ ინფორმაციის მიღებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **Мухигулашвили Н.И.** Повышение качества обслуживания рельсовых цепей. – Дис. на соискание ученой степени канд. техн. наук, - Ростов-на-Дону, 1991. 289 с.
2. **Брылеев А.М., Кравцов Ю.А., Шишляков А.В.** Теория, устройство и работа рельсовых цепей. – М.: Транспорт, 1978. – 388 с.
3. **Аркатов В.С., Кравцов Ю.А., Степенский Б.М.** Рельсовые цепи, анализ работы и техническое обслуживание. – М.: Транспорт, 1990. – 294 с.
4. **Мухигулашвили Н.И., Мухин Л.В.** К вопросу разработки математического аппарата рельсовых цепей при повреждении изолирующего стыка. – Труды ГТУ, 1990, № 7(363), - С. 90-92.
5. **Мухигулашвили Н.И., Швалов Д., Прокопец В.** Методика синтеза устройств контроля исправности изолирующего стыка.- Журнал научных трудов РГУПС «Вестник» №4, 2007. ст. 38.
6. **Г. Корн, Т. Корн** Справочник по математике для научных работников и инженеров – М.: «Наука», 1984г.

**ИССЛЕДОВАНИЕ ИМЕЮЩИХ НАИБОЛЬШУЮ ВЕРОЯТНОСТЬ К
ПОВРЕЖДЕНИЮ ЭЛЕМЕНТОВ УСТРОЙСТВ ЖЕЛЕЗНОДОРОЖНОЙ
АВТОМАТИКИ И ТЕЛЕМЕХАНИКИ**

Н. Мухигулашвили, В. Купрадзе, Г. Бенашвили

Резюме

Рельсовые цепи осуществляют не только контроль свободности и единости железнодорожных участков, но также обеспечивают исправное функционирование других хозяйств железной дороги. Таким образом, от их надёжной работы во многом зависит процесс перевозок. Для оценки качества функционирования элементов рельсовых цепей необходимо исследовать и определить количественные показатели надёжности устройства основываясь на базе статистических данных. Для более подробного анализа неисправностей изолирующих стыков по статистическим и эмпирическим данным устройств железнодорожной автоматики и телемеханики в течении 5 лет построены количественные кривые отказ изолирующих стыков и для случая распределения количества отказов по месяцам. Были исследовано и определено, что функциональная зависимость независимых переменных по месяцам года и зависимой переменной отказов изолирующих стыков имеет значение регрессивной функции.


**RESEARCH OF HAVING HIGHEST FAILURES PROBABILITY OF
RAILWAY AUTOMATICS AND TELEMECHANICS DEVICES ELEMENTS**

N. Mukhigulashvili, V. Kupradze, G. Benashvili

Summary

The track circuits are carried out not only railway spans control on freeness and continuity, but also provide the proper operation of the other facilities of railway. Thus, on reliable operation of them are highly dependent transportation process. For evaluation of functioning quality of track circuit's elements is necessary to research and determine quantitative indicators for devices reliability grounded on failures statistical data base. For more detailed analysis of faults of insulating joints on statistical and empirical data of the railway automation and telemechanics devices during 5 years were constructed failure curves of insulating joints and for case of monthly distribution of failures quantity. Was investigated and determined that functional dependency of independent variables by months of the year and the dependent variable of insulating joints failures has value of a regression function.

GTU
Transport and Mechanical
Engineering Department
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№2 (33)  2015
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

უპკ 629.113

**თბილისი-რუსთავის სატრანსპორტო კავშირის
განსაკუთრებული თავისებურებები და აქრსკექტივები**

ნ. ნავაძე, დ. ლეკვიშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77, 0175,
თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: თბილისსა და რუსთავს შორის სატრანსპორტო კავშირი ძირითადად კერძო მფლობელობაში მყოფი მსუბუქი ავტომობილებით და მიკროავტობუსების სამარშრუტო ხაზებით ხორციელდება, ეს უკანასკნელი აუცილებელი სატრანსპორტო კავშირურთიერთობიდან გამომდინარე უდიდეს მნიშვნელობას იძენს, მარშრუტი სტაბილური მგზავრთდაძაბულობით და შესაბამისად გარანტირებული შემოსავლების და სოლიდური მოგების მიღების თვალსაზრისით, ფიზიკური თუ იურიდიული გადამყვანები პირების და შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების დიდ ინტერესს იწვევს და თავისი მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე ხასიათდება განსაკუთრებული თავისებურებებით, ის ფაქტი, რომ მარშრუტების ფუნქციონირება, მათი დაწესების და მუშაობაზე ნებართვის გაცემის წესი კანონით რეგულირდება, და, რომ მოძრაობის საერთო ინტერვალი დაახლოებით 1 წუთია, ნამდვილად წარმოადგენს განსაკუთრებულს და იშვიათ შემთხვევას.

საკვანძო სიტყვები: მარშრუტი, სამარშრუტო ხაზი, ინტერვალი, სიჩქარე, ეკოლოგია, გადატვირთვა, სიხისტე, მიკროავტობუსი, ეპიურა, უთანაბრობა, საწვავი.

შესავალი

საქართველოს დამოუკიდებლობამდე პერიოდში „თბილისი-რუსთავის“, „რუსთავი-თილისის“ მარშრუტებზე მასიური ტევადობის ავტობუსები („ლაზი“, „იკარუსი“) მუშაობდნენ, რომლებიც ქალაქებს ერთმანეთთან ძირითადად 2-2 ცენტრალური ადგილიდან აკავშირებდნენ, მარშრუტების მომსახურეობა კი ხელიდან ხელში გადადიოდა. იყო პერიოდი, როცა მას მთლიანად თბილისის სატრანსპორტო სამსახური ემსახურებოდა, იყო პირიქითაც და იყო პარიტეტულ საწყისებზეც, რაც აშკარად მიუთითებს მარშრუტის მნიშვნელობასა და მისდამი დიდ ინტერესზე.

საავტობუსო მარშრუტებს ძირითადად ანსხვავებენ ტერიტორიული ნიშნის და მანძილის მიხედვით, რის საფუძველზეც კლასიკური განმარტებით ყალიბდება: საქალაქო, საგარეუბნო, სარაიონო, სარაიონთაშორისო, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისო) მარშრუტები. რუსთავი თბილისის მარშრუტი არ განეკუთვნება არცერთ მათგანს და წარმოადგენს სრულიად არაორდინალურ სპეციფიკურ მარშრუტს.

სწორედ აღნიშნული სპეციფიკური განსხვავება გახდა საფუძველი იმისა, რომ კანონში „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“, პირველი მუხლის მე-11-ე პუნქტში და ამავე კანონის 5² მუხლის მე-2-ე ქვეპუნქტში კონკრეტულად ასახულიყო განმარტება ორი ქალაქის თბილისისა და რუსთავის დამაკავშირებელი მარშრუტით მგზავრთა გადაყვანის და გადაყვანაზე ნებართვის გაცემის თაობაზე, რაც უიშვიათეს გამონაკლისს წარმოადგენს კანონმდებლობისათვის.

ძირითადი ნაწილი

დღეისათვის რუსთავს თბილისთან აკავშირებს მიკროავტობუსების 11 მარშრუტი, რომელიც რუსთავის 9 მჭიდროდ დასახლებულ უბანსა და თბილისის 8 საკვანძო ადგილს შორის, მარშრუტზე ჩართული 300 და ხაზზე ყოველდღიურად მომუშავე 200 მიკროავტობუსით აწარმოებს მგზავრთა გადაყვანებს, აღნიშნული და თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზაზე მოძრავი სამარშრუტო მიკროავტობუსების ცხრილში-1 მოტანილი 8 მარშრუტის საექსპლოატაციო და სამარშრუტო მაჩვენებლების გაანალიზებაც საკმარისია იმის დასადგენად, რომ: ადგ-ილი აქვს უნიკალურ შემთხვევას,

ორი ქალაქის დამაკავშირებელ საავტომობილო მარშრუტებზე ინტერვალი საშუალოდ 7-8 წთ-ია, ხოლო ყველა მარშრუტზე ერთად მოძრაობის საერთო საშუალო ინტერვალი დაახლოებით 1წუთია. ბუნებრივია, რომ აღნიშნული ხელს უწყობს ავტომაგისტრალის კიდევ უფრო გადატვირთვას.

მარშრუტის ნომერი	მანძილი (კმ)	რეისის დრო (წთ)	ბრუნვების რაოდენობა (1მ-ა)	პიკური ინტერვალი (წთ)	მგზავრობის ღირებულება (ლარი)	დაწყება-დამთავრება	
						რუსთავი	თბილისი
N1	29	35	4	10-11	1,3	05:00-21:00	06:10-23:30
N2	36	42	3-4	6-7	1,3	04:45-20:00	06:00-21:30
N3	33	39	4	8-9	1,3	06:00-21:00	07:00-22:30
N4	27	31	4-5	9-10	1,3	05:15-21:30	06:20-22:30
N5	32	37	3-4	8-9	1,3	04:55-22:00	06:20-00:00
N6	31	40	4	3-4	1,3	06:30-23:45	07:30-00:50
N7	43	55	3-4	9-10	1,8	05:30-21:30	07:10-23:00
N8	34	45	3-4	7-8	1,5	07:00-19:00	08:00-21:00

ცხრ. 1. მარშრუტების ზოგიერთი საპასპორტო და საექსპლუატაციო მაჩვენებლები.


აღნიშნულ ფაქტს განსაკუთრებულ დატვირთვას აძლევს ის გარემოებაც, რომ თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზაზე, რომელიც საქართველოს „რუსთავი-თბილისის“ ავტომაგისტრალის საშუალებით აზერბაიჯანთან და სომხეთთან აკავშირებს დღე-ღამეში დაახლოებით 12 000 ავტომობილი მოძრაობს, იმის მიუხედავად, რომ გზის გამტარუნარიანობა მხოლოდ 9000 ავტომობილია.

აღნიშნული მაგისტრალის 22-კილომეტრიან მონაკვეთზე - დაზიანებული გზის გამო მაქსიმალური სიჩქარე 80 კმ/სთ-ია. სამთავრობო პროექტით ამჟამად მიმდინარეობს გზის მშენებლობა - მოდერნიზაციის სამუშაოები, რომელიც ითვალისწინებს პირველი კატეგორიის გზის აშენებას, სადაც მაქსიმალური სიჩქარე 120 კმ/სთ იქნება და გამტარუნარიანობა დღე-ღამეში 44 000 ავტომობილს მიაღწევს. ფაქტი თავისთავად უმნიშვნელოვანესია, თუმცა მან დღის წესრიგიდან არ უნდა მოხსნას „თბილისი რუსთავის“ სატრანსპორტო კავშირის უზრუნველსაყოფად საავტომობილო ტრანსპორტით მომსახურების დღევანდელი ფორმის ალტერნატიული ვარიანტების ძიების აუცილებელი და მნიშვნელოვანი საკითხები.


მაგისტრალზე ხშირია სამარშრუტო მიკროავტობუსების გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობა, რაც განსაკუთრებული ხიფათის შემცველია რადგანაც მიკროავტობუსების სალონში მგზავრთა შემთხვევითი განთავსება იწვევს მისი სიმძიმის ცენტრის გადანაცვლებას, რაც საბურავებზე დატვირთვის მნიშვნელოვან გადანაწილებას იწვევს და აუარესებს მის საექსპლუატაცი თვისებებს. იგი ამცირებს აქტიურ უსაფრთხოებას და ზრდის საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების ალბათობას. აღნიშნულმა კი არა ერთხელ გამოიწვია ამ მაგისტრალზე ლეტალური შედეგებით დამთავრებული ავტოსატრანსპორტო შემთხვევა.

პრესპექტივაში განსახილველ საკითხთა შორის ჩვენ მოვიაზრებთ მიკროავტობუსების მასიური ტევადობის ავტობუსებით ჩანაცვლებას და შესაბამისად ათეულობით მგზავრის რამოდენიმე ავტობუსის ნაცვლად ერთი ავტობუსით გადაყვანას, რომლის განხორციელებაც პერიოდულად არის შესაძლებელი, თუ იქნება პოლიტიკური ნება და ჩანაცვლების სურვილი, რითაც, რაც მთავარია დიდად არ გაიზრდება მოძრაობის ინტერვალი. მგზავრობის საფასური და მაგისტრალის გადატვირთვა კი საგრძნობლად შემცირდება.

მარშრუტების თავისებურობის დამახასიათებელი მნიშვნელოვან ფაქტორია მარშრუტებზე დღე-ღამის განმავლობაში მგზავრთნაკადების არაორდინალური ცვალებადობა (იხილეთ ცხრილები: 2; 3.), ეპიურებზე კარგად ჩანს, რომ იგი განსხვავებულია და ყველაზე უფრო დიდი ქალაქებისათვის დამახასიათებელი რადილური მარშრუტის სახეს უახლოვდება. დილის პიკი იწყება ადრე (7-8 სთ.) და იგი შემჭიდროებულია დროში, საღამოს პიკი კი ბევრად გაშლილია. მთავარი სპეციფიკური მახასიათებლები კი ის არის, რომ პიკი ცალმხრივია და შებრუნებული, მაქსიმალური მგზავრთნაკადი დილით არის რუსთავიდან თბილისისკენ, საღამოს თბილისიდან რუსთავისკენ. დილის პიკი თბილისიდან ფაქტიურად არ ფიქსირდება.



ცხრ. 2. მგზავრთნაკადის ეპიურა დღე-ღამის საათების მიხედვით რუსთავიდან თბილისისკენ.



ცხრ. 3. მგზავრთნაკადის ეპიურა დღე-ღამის საათების მიხედვით თბილისიდან რუსთავისკენ

ეს ის შემთხვევაა, როდესაც აუცილებელი ხდება მარშრუტებზე მოძრავი შემადგენლობის ტიპის და რაოდენობის რეალურ პირობებთან შესაბამისობით განსაზღვრა და იმ კიდურა ადგილიდან მუშაობის დაწყების აუცილებლობა, სადაც განსაკუთრებული მგზავრთ დამაბულობა შეიმჩნევა. ჩვენ შემთხვევაში თვალნათლივ ჩანს, რომ მუშაობის რუსთავიდან დაწყებას და შესაბამისად რუსთავში რიცხული ავტობუსების და რუსთაველი მძღოლებით მარშრუტების უპირატესად დაკომპლექტების საკითხს ალტერნატივა არ აქვს. რაც თავის მხრივ მკვეთრად შეამცირებს ე.წ. “ნულოვან“ გარბენს და შესაბამისად გაზრდის ეკონომიკურ ეფექტს.

ნაშრომში აღნიშნული მოძრავი შემადგენლობის ასეთი დიდი რაოდენობა მარშრუტებზე გარდა იმისა, რომ სატრანსპორტო მაგისტრალზე ქმნის სიმჭიდროვეს და ზრდის სატრანსპორტო ნაკადს, მკვეთრად აუარესებს ეკოლოგიურ მდგომარეობას როგორც საავტომობილო გზის მიმდებარე ისე შესაბამისი ქალაქების ტერიტორიებზე, თბილისის მაგალითზე კი ასევე ხელს უწყობს ქუჩების კიდევ უფრო გადატვირთვას.

ადვილი წარმოსადგენია, როდესაც 100-მდე მგზავრის გადაყვანა ხდება ერთი მასიური ტევადობის ავტობუსის ნაცვლად 10 მიკროავტობუსით, მკვეთრად იზრდება საწვავის ხარჯი და იგი 3-4-ჯერ აღემატება ერთი ავტობუსის მიერ დახარჯული საწვავის რაოდენობას, რაც შესაბამისად მკვეთრად ზრდის გამონახობლქვი აირების რაოდენობას და აჭუჭყიანებს საავტომობილო ნაკადებით გაჯერებულ სატრანსპორტო მონაკვეთზე ისედაც ნორმატიულზე მეტად დაბინძურებულ ატმოსფეროს.

საინტერესოა, რომ სამარშრუტო ტაქსების მავნე ნივთიერებების გამონახობლქვი გზის 1კმ-ზე 2,6-ჯერ ნაკლებია ვიდრე მასიური ტევადობის ავტობუსების, მაგრამ თუ მოცემულ პარამეტრს, მგზავრების გადაყვანის რაოდენობის და ხარისხის მიხედვით განვსაზღვრავთ და ერთ მგზავრზე გამონახობლქვის გაანგარიშებას მოვახდენთ, აღმოჩნდება, რომ მასიური ტევადობის ავტობუსის საშუალო შევსებისას - 42 მგზავრი, ხოლო სამარშრუტო ტაქსის - 12, მავნე ნივთიერებების გამონახობლქვი (გ/მგზავრის) შეადგენს ავტობუსის - 7,91, ხოლო სამარშრუტო ტაქსისათვის - 10,42. რაც 1,3-ჯერ მეტია ვიდრე ავტობუსის. რაც სხვა მრავალ ფაქტორებთან ერთად ნათლად მიუთითებს მიკროავტობუსების მასიური ტევადობის სატრანსპორტო საშუალებებით ჩანაცვლების თაობაზე.

ამასთან ერთად; ვითვალისწინებთ, რა რუსთავისა და თბილისის მოსახლეობის ყოველდღიურ მჭიდრო, საქმიან საყოფაცხოვრებო ურთიერთობებს, რუსთავთან მდებარე ამიერკავკასიაში ყველაზე მძლავრი ავტომობილების სავაჭრო ცენტრის არსებობას, აღნიშნული ქალაქების დამაკავშირებელი გზის განფენილობას, მისი მაღალი სტანდარტებით რეკონსტრუქციის და კეთილმოწყობის სამუშაოების მიდინარეობას, საჭიროდ და აუცილებლად ვთვლით გამოყენებული იქნას აღნიშნული და სხვა საუკეთესო პირობები ხანგრძლივ პროგრამაზე გათვლილი ჩქაროსნული ტრამვაის ხაზის პროექტირებისა და მშენებლობისათვის.

საკითხის დადებითად გადაწყვეტას დიდად უნდა შეუწყოს ხელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსიდან ვაკის გავლით, ორთაჭალამდე 14 კილომეტრიანი ტრამვაის ახალი ხაზის მშენებლობის პერსპექტივამ და რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 20-იანვრის დადგენილებამ „თვითმმართველი ქალაქის რუსთავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“. რუსთავის ქალაქის და მის ახლო მდებარე დასახლებულ პუნქტებში საავტობუსო მარშრუტების ტრამვავით ჩანაცვლების თაობაზე.

დასკვნა

თბილისი-რუსთავის სატრანსპორტო კავშირის შემდგომი განვითარების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია:

1. განხილული იქნას:

ა). რუსთავი თბილისის დამაკავშირებელი გზის განფენილობის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, შესაბამისად თბილისში უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსიდან ორთაჭალამდე ტრამვაის ხაზის მშენებლობის, რუსთავში და მის შემოგარენში ავტობუსების ტრამვავით ჩანაცვლების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა და სხვა მრავალი არსებითად მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით, ხანგრძლივ პროგრამაზე გათვლილი თბილისისა და რუსთავის ჩქაროსნული ტრამვავით დაკავშირების მიზანშეწონილობის საკითხი.

ბ). მარშრუტებზე მუშაობის დროს განვითარებული სიჩქარეების კონტროლის და მისი ნორმების შესაბამისად წარმართვის უზრუნველსაყოფად მიკროავტობუსების მოძრაობის რეგისტრაციის ავტომატური მოწყობილობით აღჭურვის საკითხი.

2. პერიოდულად მოხდეს რუსთავი თბილისის მარშრუტებზე მიკროავტობუსების, მასიური ტევადობის ავტობუსებით ჩანაცლება, მარშრუტებზე მოძრაობის საშუალო ინტერვალის მაქსიმალურად შენარჩუნებით და მგზავრობის ღირებულების შემცირებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **И. В. Спирин.** Организация и управление пассажирскими автомобильными перевозками Москва, издательский центр „Академия“, 2007.
3. **ნ. ნავაძე, ვ. დოგრაშვილი, ბ. ჟვანია-**„მიკროავტობუსების მუშაობის ძირითადი მახასიათებელი ელემენტები და უარყოფითის შემცირების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები“.სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ N 2(18) 2010წ.
4. **ნ. ნავაძე, დ. ლეკვეიშვილი** - სამაგისტრო ნაშრომი „თბილისი-რუსთავის“ მიკროავტობუსების მარშრუტების ძირითადი მახასიათებლების დადგენა“. 2015წ.

ОСОБЕННОСТИ И ПЕРСПЕКТИВЫ ТРАНСПОРТНОЙ СВЯЗИ ТБИЛИСИ-РУСТАВИ

Н. Навадзе, Д. Леквешвили

Резюме

транспортная связь между Тбилиси и Рустави в основном осуществляется лёгкими автомобилями, находящимися в частной собственности и маршрутными линиями

микроавтобусов, эта последняя обязательная транспортная связь, исходя из отношений, приобретает большое значение, маршрут стабильными пассажиронапряжениями и в соответствии с точки зрения получения гарантийного дохода и солидарной прибыли, вызывает большой интерес физических или юридических лиц перевозчиков и соответствующих местных органов самоуправления и исходя из специфики своей работы характеризуется особыми свойствами. Тот факт, что функционирование маршрута, правила его установления и выдачи разрешения на работу законом регулируется, а общий интервал движения меньше минуты, действительно является особым и редким случаем.


SPECIAL PECULIARITIES AND PERSPECTIVES OF TBILISI-RUSTAVI TRANSPORT LINK

N. Navadze, D. Lekveishvili

Summary

Transport link between Tbilisi and Rustavi is mostly executed by route lines of light automobiles and minibuses being in private ownership. The latter gains the greatest importance with regard to requisite transport connections, route with stable passenger load and accordingly in view of gaining guaranteed incomes and solidary profit, physical or legal transporters are drawn great interest by persons and appropriate local self-governing bodies and is characterized with special peculiarities due to specification of its working. The fact that the operation of routes, rule for its establishment and issuance of working permit is governed by law, but total interval of movement is less than a minute, really is a special and rear occasion.

GTU
Transport and Mechanical
Engineering Department
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№2 (33)  2015
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

უპაკ 629.113.004

**მობილური მანქანებისა და მათი ავრეგატების
საგარანტიო რესურსების განსაზღვრის მეთოდი**

ვ. ლეკიაშვილი, გ. მარდალეიშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. მ. კოსტავას ქ. №77, 0175,
თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: მობილური მანქანების ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საიმედოობის მაჩვენებლების გამოვლენასა და ექსპლუატაციის პროცესში მათი მართვის პრინციპებისა და მეთოდების სრულყოფაზე. ამ მხრივ საყურადღებოა საგარანტიო რესურსის განსაზღვრა და კორექტირება კონკრეტული მოდელის მანქანისათვის განსაზღვრულ საექსპლუატაციო პირობებში. მოცემული განსაზღვრის მეთოდი ითვალისწინებს აგრეგატებისა და კვანძების მტყუნების განაწილების კანონზომიერებას ნამუშევრის მიხედვით და განპირობებულია სტანდარტით მოსალოდნელი მაღალი უმტყუნებლობის მაჩვენებლებით. იგულისხმება უმტყუნებო მუშაობის ალბათობა, რომელიც საგარანტიო ნამუშევრის პირობებში არ უნდა იყოს 0.95-ზე ნაკლები.

საკვანძო სიტყვები: მობილური მანქანები, საიმედოობა, უმტყუნებლობა, საგარანტიო რესურსი, მტყუნება, ნამუშევარი.

შესავალი

სატრანსპორტო საშუალებების და მანქანების ეფექტური ფუნქციონირების ერთ-ერთ და მთავარ პირობას წარმოადგენს მათი ტექნიკური მდგომარეობის უზრუნველყოფა ექსპლუატაციის პროცესში. ეს დაკავშირებულია მნიშვნელოვან მატერიალურ და შრომით ხარჯებთან. აღნიშნული ხარჯების ოპტიმიზირება განპირობებულია ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებათა კომპლექსის დამუშავებით, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მანქანათა აგრეგატებისა და

სისტემების საგარანტიო ნამუშევარი. იგი წარმოადგენს რესურსს, რომლის განმავლობაშიც მტყუნებას არ ექნება ადგილი დასაშვები-მაღალი ალბათობით. იგი დადგენილია დამამზადებლის მიერ და რეალიზებული უნდა იქნას ექსპლუატაციის პროცესში. საექსპლუატაციო პირობების სირთულისა და მასზე მოქმედი ფაქტორების გათვალისწინებით აღნიშნული მაჩვენებელი მოითხოვს კორექტირებასა და დაზუსტებას. ნაშრომში მოცემულია საგარანტიო რესურსის განსაზღვრის მეთოდი რესურსების განაწილების კანონზომიერების გათვალისწინებით.

პირითადი ნაწილი

როგორც ცნობილია, მტყუნების სტანდარტული განმარტების მიხედვით იგი წარმოადგენს მოვლენას, რომელიც გამოიხატება მანქანის აგრეგატის, მექანიზმის, დეტალის მუშაობის უნარის დარღვევით. მასში იგულისხმება ობიექტის ნაწილობრივი ან მთლიანი მუშაობის უნარის დაკარგვა, რომლის დროსაც მას არ შეუძლია შეასრულოს დაკისრებული ფუნქციები იმ პარამეტრებით, რომლებიც დადგენილია ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებით. ნებისმიერი კონსტრუქციული ელემენტი როგორც იდიალურადაც არ უნდა იქნას დაპროექტებული და დამზადებული, მკაცრად იყოს დაცული საექსპლუატაციო და შენახვის მოთხოვნები, ისინი მაინც განიცდიან ცვეთას და მოძველებას ნამუშევრის მიხედვით. ტექნიკური ცვეთის არსი ცნობილია, დეტალები იცვლიან ზომებს, გარეგან ფორმას და სხვა, მოძველება კი წარმოადგენს დროის განუწყვეტლივ ზემოქმედებას ნაკეთობაზე, რაც იწვევს მასში ფიზიკურ-ქიმიურ ცვლილებებს. სწორედ ცვეთა და მოძველება წარმოადგენს დეტალების ყველა პარამეტრის ცვლილების ძირითად მიზეზებს, რაც საბოლოოდ ცვლის მთლიანად მანქანის საექსპლუატაციო-ტექნიკურ მაჩვენებლებს. ტექნიკური მდგომარეობის ნებისმიერი პარამეტრის თანდათანობით ცვლილების პროცესი მიმდინარეობს მუდმივად, სანამ ეს ცვლილება არ გამოვა დასაშვები ზღვრებიდან. მაშასადამე, თანდათანობითი მტყუნების ფიზიკური არსი არის ცვეთისა და მოძველების გამო გამოწვეული ფიზიკურ-ქიმიური პროცესის შედეგი.

სულ სხვანაირია უეცარი მტყუნება. მის მიზეზს უმრავლეს შემთხვევაში წარმოადგენს უეცარი დატვირთვების კონცენტრაცია დეტალის შიგნით, ელემენტი გვიმტყუნებს მაშინ, როდესაც დატვირთვები გადააჭარბებს მის სიმტკიცეს. თანდათანობითი მტყუნებისგან განსხვავებით, უეცარი მტყუნება ხშირად ადვილი დასადგენია იმ თანდართული ძლიერი გამოხატული ნიშნის გამო, რომელიც გვიჩვენებს, თუ რომელმა ელემენტმა დაკარგა ფუნქციის ნორმალურად შესრულების უნარი თუნდაც ის აგრძელებდეს მუშაობას.

ტექნიკურ საშუალებათა დანიშნულებიდან გამომდინარე, აღნიშნულ მტყუნებათა რაოდენობრივი მაჩვენებლები სხვადასხვაა და დამოკიდებულია ექსპლუატაციის პირობებზე. ბუნებრივია, სტაციონარული დანადგარების პრაქტიკაში უფრო ხშირია თანდათანობითი მტყუნებები, ხოლო ისეთი მოძრავი ტექნიკური საშუალებებისათვის როგორებიცაა სხვადასხვა სახის მობილური მანქანები, რომლებიც სისტემატურად იცვლიან გარე სამყაროს ზემოქმედებას.

კონსტრუქციული აგრეგატების (დეტალების) ზღვრული მდგომარეობა დგება ზოგიერთი ეგზემპლარისათვის t_1 , მეორესათვის t_2 , მესამესათვის t_3 ნამუშევრის (დრო, გარბენა) შემდეგ და ა.შ. ამ ნამუშევრის მიხედვით საშუალო რესურსის განსაზღვრისათვის გამოიყენება ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის მეთოდები. ზღვრული მდგომარეობამდე ელემენტის მიღწევა სხვადასხვა ნამუშევარზე განიხილება როგორც შემთხვევითი მოვლენა, მაგრამ შემთხვევით სიდიდეებსაც აქვთ მიზეზებისა და შედეგების ურთიერთკავშირი. ე.ი. მათი წარმოქმნა გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება.

შემთხვევითი სიდიდეების განაწილების კანონი გულისხმობს ისეთ თანაფარდობას, რომელიც ამყარებს კავშირს შემთხვევითი სიდიდეების შესაძლო t_1 მნიშვნელობებსა და მათ შესაბამის ალბათობის სიმჭიდროვეს f_t შორის, ე.ი. განაწილების კანონი არის შემთხვევით სიდიდეებსა და მათი წარმოქმნის სიხშირეს შორის კავშირი.

შემთხვევითი სიდიდეების (ჩვენს შემთხვევაში ნამუშევარი) განაწილება ხასიათდება და განისაზღვრება შემდეგი მაჩვენებლებით: საშუალო მნიშვნელობა (მათემატიკური მოლოდინი) $t_{საშ}$; დისპერსია (საშუალო კვადრატული გადახრა) σ_t , ვარიაციის კოეფიციენტი (სიდიდეების გაბნევის ხარისხი) ν , რომელიც წარმოადგენს საშუალო კვადრატული გადახრისა და საშუალო მნიშვნელობის ფარდობას $\frac{\nu\sigma}{t_{საშ}}$

შემთხვევითი სიდიდეების ზღვრულ მდგომარეობამდე ნამუშევრის განაწილების კანონი დამოკიდებულია მტყუნებლების წარმოშობის მიზეზებზე. მაგალითად, კონსტრუქციის ელემენტების გაცვეთის შედეგად მწყობრიდან გამოსვლა კარგად შეესაბამება განაწილების ე.წ. ნორმალურ კანონს, ზღვრულზე მეტი დატვირთვებით გამოწვეული მტყუნებები (დარტყმები და ა.შ.) - ექსპონენციალურ კანონს, ლითონის დაძველებით გამოწვეული მტყუნებები-ვეიბულის კანონს და ა.შ. თითოეულ კანონს აქვს გარკვეული თვისებები, რომელთა პრაქტიკული გამოყენება იძლევა მტყუნებების და წინასწარ აუცილებელი ღონისძიებების შესრულების შესაძლებლობას.


მექანიკურ ნაკეთობათა, მათ შორის მობილური მანქანების საიმედოობის თეორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მტყუნებათა განაწილების ნორმალურ კანონს (გაუსის კანონი), რომლის ალბათობის სიმჭიდროვის მრუდს შემდეგი სახე აქვს (ნახ.1).

ეს კანონი ხასიათდება შემდეგი ძირითადი თვისებებით:

- სიმაღლე H განისაზღვრება ფორმულით

$$H = \frac{1}{\sigma/\sqrt{2\pi}}$$

- მისი აბსცისა შეესაბამება ნამუშევრის $t_{საშ}$ მნიშვნელობას, ხოლო ალბათობის სიმჭიდროვის ჯამი $t_{საშ}$ -დან მარჯვნივ და მარცხნივ 0.5-ის ტოლია;




ნახ. 1. მტყუნებათა განაწილების ნორმალური კანონი

ამ თვისებებიდან პირველი გვიჩვენებს, რომ საშუალო მნიშვნელობამდე და მის შემდეგ მწყობრიდან გამოდის ნაკეთობათა 50%. რაც მეტია საშუალო კვადრატული გადახრა, მით ნაკლებია სიმაღლე H და ამიტომ რაც უფრო გაწეულია მრუდი (მრუდი 1. ნახ#1), მით ნაკლებ ნამუშევარზე იწყებს მტყუნებას კონსტრუქციის ელემენტი. მეორე თვისებიდან გამომდინარეობს, რომ $t_{საშ} \geq 3\sigma$, ამიტომ ვარიაციის კოეფიციენტი $\nu=0.33$.

თუ გავითვალისწინებთ ნახაზზე მოცემული წინსწრების (ან ჩამორჩენის) S მნიშვნელობას, საშუალო რესურსისათვის გვექნება ერთი და იგივე მნიშვნელობები, ხოლო საგარანტიო გარბენისათვის $-t_\gamma = 0.95$, იგი შეიცვლება (შემცირდება ან გაიზრდება), t -ის შესაბამისი

მნიშვნელობით. ეს აისახება აგრეთვე უმტყუნებო მუშაობის ალბათობის მრუდზე და შესაბამის ინტერვალურ ალბათობებზე (ნახ. ა და ბ)



ნახ. 2. კონსტრუქციული ელემენტის საგარანტიო რესურსის განსაზღვრის მეთოდი

- ა. ერთნაირი საშუალო რესურსის მქონე ელემენტებისათვის;
- ბ. სხვადასხვა საშუალო რესურსის მქონე ელემენტებისათვის.

საგარანტიო ნამუშევრის დადგენის მოცემული მეთოდი საშუალებას იძლევა გაზარდოს მანქანების გამოყენების ეფექტურობა.

დასკვნა

საგარანტიო რესურსის განსაზღვრის მეთოდი საშუალებას იძლევა მოხდეს მისი დაზუსტება კონკრეტული მოდელის მობილური მანქანებისათვის, საექსპლოატაციო პირობების გათვალისწინებით. იგი წარმოადგენს საფუძვლის დამამზადებლისათვის კონსტრუქციული და ტექნოლოგიური გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელებისათვის, ხოლო ექსპლოატაციის პროცესში მატერიალურ-ტექნიკური ხარჯების სწორი დაგეგმვისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Стандарт Гост 13377-75. Надежность в технике М.1975.
2. ვ. ლეკიაშვილი - ავტომობილის საიმედოობა, სტუ. 2005. თბილისი.

**МЕТОД ОПРЕДЕЛЕНИЯ ГАРАНТИННОГО РЕСУРСА
МОБИЛЬНЫХ МАШИН И ИХ АГРЕГАТОВ**

В. Лекиашвили, Г. Мардалишвили

Резюме

Эффективность использования мобильных машин в значительной степени зависит от выявления показателей надежности и их управления в процессе эксплуатации. Особое внимание в этом направлении имеет определение оптимального гарантийного ресурса агрегатов машин и его корректирование с учетом условия эксплуатации. Данный метод определения учитывает закономерность распределения отказов агрегатов и узлов по наработке, это обусловлено стандартом ожидаемого высокого показателя безотказности. Подразумевается вероятность безотказной работы, которая в условиях гарантийного срока должна быть не менее 0.95.


**THE METHOD OF DETERMINING THE LABOR RESOURCES
MOBILE MACHINES AND THEIR AGREGATS**

V. Iekiasvili, G. Mardaleishvili

Summary

The efficiency of mobile machine largely depends on the reliability of the detection and exploitation of data management principles and methods for their client. Noteworthy in this regard to determine and correct the specific model for a resource guarantee for certain operationg conditions. The method involves determining the distribution of faults aggregates nodes according to the laws and standards is due to the expected high non-failure operation indicators. Implied probability fail to work, which is to guarantee the conditions must not be less than 0.95.

GTU
Transport and Mechanical
Engineering Department
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№2 (33)  2015
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

ОСОБЕННОСТЬ ПРОВЕДЕНИЯ ОЦЕНКИ МАШИН И ОБОРУДОВАНИЯ

Старинский Владислав Николаевич (доктор экономических наук, профессор Санкт-Петербургского государственного экономического университета);

Куприн Андрей Анатольевич (кандидат экономических наук, доцент кафедры экономики и управления Сосновоборского филиала российской академии народного хозяйства и государственной службы при Президенте РФ).

(Сосновоборский филиал Российской академии народного хозяйства и государственной службы при Президенте РФ //адрес Россия 188542 г. Сосновый Бор, ул. Красных Фортов, 43)

Резюме: *В статье рассматриваются вопросы влияния стоимости машин и оборудования на величину чистых активов и другие показатели финансово-экономической деятельности предприятия при принятии собственниками либо менеджерами компаний различных управленческих решений в отношении основных средств предприятия. Где одним из основных и сложных вопросов оценки основных средств является анализ влияния стоимости машин и оборудования на себестоимость продукции, налогообложение, величину чистых активов и другие показатели финансово-экономической деятельности предприятия.*

Ключевые слова: оценка стоимости оборудования и машин; объект оценки; оценка имущественных прав; идентификация объекта оценки.

ОСНОВНАЯ ЧАСТЬ

Дальнейшее развитие рыночных отношений в России выдвинуло на повестку дня формирование института оценки имущества и имущественных прав, где оценка стоимости машин, оборудование и транспортные средств, играет особую роль.

В настоящее время роль заключений об оценке имущественных прав, выполненных независимыми оценочными компаниями, при принятии собственниками либо менеджерами компаний различных управленческих решений в отношении основных средств предприятия, крайне велика. Где одним из сложных вопросов стоимостных оценок основных средств является анализ влияния стоимости машин и оборудования на себестоимость продукции, налогообложение, величину чистых активов и другие показатели финансово-экономической деятельности предприятия.

Необходимо отметить, что здесь важен не только вопрос величины стоимости на конкретную дату, но и прогноз изменения стоимости во времени, а также изменения стоимости после значительных дат (например, после дефолта и т. д.). При этом собственник либо управляющий, как правило, имеет интуитивное представление о стоимости как отдельных основных средств, групп, либо всех фондов целиком.

Поэтому задача оценщика еще на этапе предпроектных работ по оценке - понять, насколько интуитивные представления заказчика совпадают с реальностью, т.е. подробные расчеты должны подтвердить выводы оценщика, полученные экспресс-анализом.

Однако одним из препятствий стоящих на пути оценщика является невозможность получения полного перечня исходных данных и отсутствие однозначной идентификации объекта оценки. Более того имущественный рынок и оборудование на нем является наиболее распространенным и активным товаром, а учитывая большое разнообразие и количество единиц оборудования, требующего идентификации, даже в пределах одного среднего предприятия, очевидно, что эта задача стала одной из самых ответственных и трудоемких в процессе оценки (см. таблица 1).

Таблица 1

Перечень исходных данных, используемых в различных методах оценки оборудования

1	Однородный объект (аналог)	28	Среднемесячная заработная плата в промышленности на исходный момент
2	Цена однородного объекта (аналога)	29	Среднемесячная зарплата в промышленности на дату оценки
3	Масса однородного объекта (аналога)	30	Собственные затраты производителя по сборке объекта из частей

4	Рентабельность однородного объекта (аналога)	31	Группы сложности оцениваемых объектов или его составных частей
5	Объем однородного объекта (аналога)	32	Количество узлов в оцениваемом объекте
6	Площадь однородного объекта (аналога)	33	Удельные затраты на изготовление и приобретение комплектующих изделий, приходящиеся на один "вход-выход"
7	Мощность однородного объекта (аналога)	34	Удельная зарплата на один технологический узел
8	Производительность однородного объекта (аналога)	35	Косвенные накладные расходы (% от основной заработной платы)
9	Исходная цена оцениваемого объекта	36	Удельные затраты на комплектующие изделия (% от стоимости материалов)
10	Базисная цена оцениваемого объекта	37	Коды ЕНАО оцениваемых объектов
11	Масса оцениваемого объекта	38	Время (месяц, год) зафиксированной исходной цены
12	Рентабельность оцениваемого объекта	39	Структура и вид цены
13	Объем оцениваемого объекта	40	Цена товарного знака
14	Площадь оцениваемого объекта	41	Стоимость дополнительных устройств
15	Мощность оцениваемого объекта	42	Данные для определения годовой выручки
16	Производительность оцениваемого объекта	43	Данные для определения годовых затрат
17	Состав конструкции объекта оценки (устройства, блоки, агрегаты и т. п.)	44	Данные о стоимости зданий

18	Цены всех частей, входящих в конструкцию оцениваемого объекта	45	Данные о стоимости сооружений
19	Индексы приведения исходной стоимости к базисной	46	Данные о стоимости земли
20	Индексы приведения стоимости на 01.01.95 к уровню цен по состоянию на 01.01.91	47	Реальная ставка дисконта
21	Индексы приведения цен от базисного года к уровню на дату оценки	48	Ставка капитализации для земли
22	Индекс цен производителей на продукцию черной металлургии	49	Нормативный срок службы объекта
23	Индекс цен производителя на продукцию цветной металлургии	50	Фактический срок службы объекта
24	Индекс цен на продукцию электроэнергетики	51	Балансовая стоимость машинного комплекса
25	Индекс цен производителей на продукцию промышленности стройматериалов	52	Балансовая стоимость отдельных единиц оборудования
26	Индекс цен производителя на продукцию машиностроения	53	Первоначальная цена объекта
27	Единые отраслевые укрупненные нормативы удельных затрат на материалы, комплектующие изделия, зарплату основных рабочих, косвенные расходы, приходящиеся на единицу измерения влияющего фактора		

С одной стороны рынок машин и оборудования широко структурирован и каждая группа оборудования имеет свой сектор имущественного рынка – с другой значительная часть машин

и оборудования в силу своей специфичности или специфичности производства, в котором оно занято, имеет ограниченно-открытый рынок. И тем не менее в целом рынок машин и оборудования очень подвижен по сравнению с рынком недвижимости, что объясняется систематическим активным обновлением ассортимента машиностроительной продукции и выпуском более совершенных образцов взамен морально устаревших.

Машины и оборудование по выполняемому ими назначению в хозяйственной деятельности определяются как активная часть основных фондов, а недвижимость (здания и сооружения) - как пассивная часть. А учитывая конечную цель оценки - расчет на конкретную дату обоснованной стоимости объектов то это в первую очередь зависит от ситуации на рынке или конкретных обстоятельств и условий, вызвавших необходимость оценки в экономической, политической, торговой и производственной сферах.

Учитывая, что первичным объектом оценки является инвентарный объект - законченный предмет или комплекс предметов со всеми приспособлениями и принадлежностями, относящимися к оцениваемому объекту. А в инвентарный объект, относящийся к силовым и рабочим машинам, производственному оборудованию, входят: фундамент, все приспособления к ним, принадлежности, приборы, индивидуальные ограждения и собственно сама машина или технологическое оборудование. То объектами оценки машин и оборудования могут быть:

- 1) Функционально самостоятельные машины, агрегаты и установки;
- 2) Технологические комплексы, объединяющие в соответствии с технологическим процессом технологические машины и вспомогательные устройства в поточные и автоматические линии;
- 3) Машинный или станочный парк производственного структурного подразделения, представляющий собой совокупность инвентарных объектов.

Оценка стоимости оборудования и машин обычно требует оценки таких видов стоимости, как рыночная, первоначальная, восстановительная, остаточная, ликвидационная, утилизационная и страховая стоимость. Определение этого вида стоимости сформулировано в Федеральном законе РФ «Об оценочной деятельности» где например под «рыночной стоимостью» объекта оценки понимается наиболее вероятная цена, по которой данный объект оценки может быть отчужден на открытом рынке в условиях конкуренции, когда стороны сделки действуют разумно, располагая всей необходимой информацией, а на величине цены сделки не отражаются какие-либо чрезвычайные обстоятельства», то есть когда:

- одна из сторон сделки не обязана отчуждать объект оценки, а другая сторона не обязана принимать исполнение;

- стороны сделки хорошо осведомлены о предмете сделки и действуют в своих интересах;
- объект оценки представлен на открытый рынок в форме публичной оферты;
- цена сделки представляет собой разумное вознаграждение за объект оценки и принуждения к совершению сделки в отношении сторон сделки с чьей-либо стороны не было;
- платеж за объект оценки выражен в денежной форме".

Правда Международная практика оценки машин и оборудования предполагает использование трех видов рыночной стоимости:

- обоснованная рыночная стоимость при продолжающемся использовании;
- обоснованная рыночная стоимость установленного оборудования;
- обоснованная рыночная стоимость при перемещении.

При оценке машин и оборудования задача может состоять только в оценке стоимости воспроизводства или стоимости замещения объекта, т.к. инфляция и другие структурные сдвиги в экономике приводят к обесцениванию основных фондов предприятий.

Однако учитывая отсутствие нужных объемов накопления средств для воспроизводства основных фондов, где основным назначением стоимости воспроизводства и стоимости замещения является начисление бухгалтерского износа то для избегания искажений действительных значений этих величин, необходима не только регулярная переоценка основных фондов, но и информационная обеспеченность процесса оценки стоимости машин, оборудования и транспортных средств.

По своей структуре собранный материал должен отражать внутренние (производственные) и внешние (не зависящие от предприятия-изготовителя или предприятия-пользователя) факторы, которые оказывают влияние на стоимость объекта оценки. Нам важен блок внутренней информации который представляет собой сведения, необходимые для определения стоимости машин, оборудования и транспортных средств, включающие:

- данные о материально-вещественной сущности объекта оценки, характеризующиеся техническими показателями: вес; габариты; объем;
- количество и состав использованного для их создания материалов; качество и долговечность средств труда и отдельных деталей, из которых они созданы; размер детали, обрабатываемой с помощью этих средств труда, и т. д.;
- данные о наличии, движении, изменении технического состояния машин, оборудования и транспортных средств, а также показатели работы предприятия и его структурных подразделений, эксплуатирующих эти объекты оценки;

- расчетно-аналитические данные, позволяющие учитывать влияние внутрипроизводственных и внешних факторов на величину стоимости объекта оценки.
- учетных счетов, форм и методов учета имущества предприятия, положений об учете основных средств в разных периодах и условиях эксплуатации могло бы обеспечить получение исчерпывающей информации для проведения работ по оценке их стоимости.

Однако необходимо отметить, что возможность получения полной информации об основных средствах из бухгалтерской документации не всегда возможна. На предприятиях не всегда налажен оперативно-технологический учет времени работы и простоя оборудования, не проводится сравнительный анализ данных по аналогичным объектам основных средств других предприятий, практически отсутствует аналитический учет финансовых результатов по операциям с объектами основных средств. К сожалению часто нет классификации основных средств по инвентарным объектам и по месту эксплуатации объектов (сооружения и устройства, например, не привязаны к цеху), при строительстве объектов не заполняется как следует паспорт стройки и т. п., что в конечном счете, сдерживает возможности применения полноценного анализа основных фондов на предприятии.

Поэтому в настоящий момент для проведения профессиональной оценки имущественного комплекса предприятий (машин, оборудования, транспортных средств) необходимо руководствоваться определенными правилами и стандартами оценки, разрабатываемые профессиональными организациями оценщиков и государством, которые устанавливают определения фундаментальных понятий, относящихся к оценочной деятельности, предлагая основные принципы ее осуществления.

ЛИТЕРАТУРЫ:

1. **А.Н. Асаул, В.Н. Старинский, А.Г. Бездудная, М.К. Старовойтов** Оценка собственности. Оценка машин, оборудования и транспортных средств: Учебник.- СПб.: АНО «ИПЭВ», 2011.- 287 с.
2. **Старинский В.Н., Куприн А.А., Самодуров А.А., Лабудин А.В., Буга А.В.** Современные технологии оценки бизнеса Учебно-методическое пособие СПб.: РАНХиГС Сосновоборского филиала; Санкт-Петербургский институт независимой экспертизы и оценки Астерион, 2012. – 480 с
3. **Старинский В.Н., Куприн А.А., Самодуров А.А., Лабудин А.В., Буга А.В.** Оценка стоимости машин, оборудования и транспортных средств// Учебно-методическое пособие , .СПб: изд. Астерион 2015- 472 с.

**მანქანებისა და მოწყობილობების შეფასების
თავისებურებები**

ვ. ნ. სტარინსკი (სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიებათა დოქტორი);

ა. ა. კუპრინი (რუსეთის ფედერაციის სახალხო მეურნეობისა და პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო სამსახურის აკადემიის სოსნოვობორის ფილიალის ეკონომიკისა და მართვის კათედრის დოცენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი)

რეზიუმე

სტატიაში განხილულია, კომპანიის მესაკუთრეების ან მენეჯერების მიერ საწარმოს ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული სხვადასხვა მართვის გადაწყვეტილებების მიღების დროს მანქანებისა და მოწყობილობების ღირებულების გავლენა საწარმოს წმინდა აქტივებსა და სხვა ფინანსურ-ეკონომიკურ საქმიანობის მაჩვენებელზე. სადაც, ძირითადი საშუალებების შეფასების დროს, ერთ-ერთი მთავარი და რთულად გადასაწყვეტი საკითხი არის ანალიზი იმისა, თუ როგორ ზემოქმედებას ახდენს მანქანა-მოწყობილობების ღირებულება პროდუქციის თვითღირებულებაზე, გადასახადებზე, წმინდა აქტივებსა და საწარმოების ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის სხვა მახასიათებლებზე.

FEATURES OF EVALUATION OF MACHINERY AND EQUIPMENT


Starinski V.N. (Doctor of Economics, Professor of St. Petersburg State University of Economics)

Kuprin A.A. (Russia, Northwest institute of the Russian academy of national economy and public service at the President of the Russian Federation)

Summary

The article examines the impact of the cost of machinery and equipment by the value of net assets and other indicators of financial and economic activity of the enterprise while making decisions by the owners or managers of companies of different management in relation to the fixed assets of the enterprise. Major and complex questions of evaluation of plant and equipment are to analyze the impact of the cost of machinery and equipment by the cost of production, taxation, the net asset value and other indicators of financial and economic activity of enterprise.

GTU
Transport and Mechanical
Engineering Department
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№2 (33)  2015
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

უპკ 681.3.06

ტრანსპორტის მართვის ავტომატიზებული სისტემის ჩამოყალიბების საკითხისათვის

მ. ელიზბარაშვილი, პ. ელიზბარაშვილი, კ. მჭედლიშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას №77, 0175,

თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: სტატიაში განხილულია ტრანსპორტის, როგორც დიდი (კიბერნეტიკული) სისტემის, მართვის ავტომატიზირებული სისტემის სტრუქტურის ჩამოყალიბების თავისებურებები, რაც განსაკუთრებით თავს იჩენს საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლუატაციის დროს „გარემოს“ მკვეთრი ცვალებადობის გამო. საექსპლუატაციო პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით დადასტურებულია აუცილებლობა ფუნქციონირებდეს სამსახური (ქვესისტემა) მძღოლების დამატებითი ინფორმირებისათვის ელექტრონული და რადიო (რადიოლოკაციური) სიგნალების საშუალებით უამინდობით გამოწვეულ ან გზის შეზღუდული მხედველობის ადგილებში ტრასის ელემენტების სირთულეზე. აღნიშნულმა ღონისძიებამ უნდა განაპირობოს უსაფრთხო გადაადგილება, შეამციროს გზების სამშენებლო და საექსპლუატაციო ხარჯები.

საკვანძო სიტყვები: მართვის ობიექტი, სამართავი ობიექტი, გარემო, ავტომობილი, მძღოლი, გზა, სისტემა.

შეჯამება

ტრანსპორტი, როგორც დიდი კიბერნეტიკული სისტემა [1], საწარმოო და ორგანიზაციული მართვის სტრუქტურის ტიპის ერთეულს განეკუთვნება. მაგრამ განსხვავებით სხვა დარგებისაგან არ აწარმოებს ახალ პროდუქციას. ტრანსპორტის პროდუქციას შეადგენს თვით გადაადგილება, მგზავრების გადაყვანა და ტვირთის გადატანა. გამომდინარე აქედან პროდუქციის ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გარემოს თვისებებზე, მის გავლენაზე წარმოების პროცესზე. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების თანახმად [2] 100 მლნ.მგზ. კმ. სატრანსპორტო

მუშაობაზე დალუპულთა რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება: რკინიგზის ტრანსპორტი – 2, საჰაერო – 8, საავტომობილო – 25, ე.ი. საჰაერო 4-ჯერ, ხოლო საავტომობილო თითქმის 13-ჯერ უფრო სახიფათოა რკინიგზის ტრანსპორტთან შედარებით.

ტრანსპორტის მართვა ხორციელდება მართვის სისტემის საშუალებით, როგორც ცნობილია [3] მართვის სისტემა შეიცავს „სამართავ ობიექტს (ს(“))“ და „მმართველ ორგანოს (მ(“))“, მ(“)-ს უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა გამოიმუშაოს გადაწყვეტილებები, იმოქმედოს ს(“)-ზე და შეცვალოს მისი მდგომარეობა მ(“) და სო ერთმანეთთან დაკავშირებულია პირდაპირი და უკუკავშირით. პირდაპირი კავშირით მო მოქმედებს ს(“)-ზე და ცვლის მის მდგომარეობას, ხოლო უკუკავშირით იღებს ინფორმაციას ს(“)-ს მდგომარეობისა და მართვის შედეგების შესახებ. ამასთან ნებისმიერი მართვის სისტემა მოქმედებს „გარემოში (გ)“. „გარემოს“ შეუძლია მიიღოს ინფორმაცია მართვის სისტემის შესახებ და იმოქმედოს როგორც ს(“)-ზე, ისე მ(“)-ზე და განახორციელოს მათი მიმდინარე მდგომარეობის ცვლილება.

ძირითადი ნაწილი

მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის (მათ შორის ავტომობილის) მართვის ტექნიკური მოწყობილობა ელექტრონული და მიკროელექტრონული (მიკროპროცესორული), აგრეთვე თანამედროვე მაღალი მგრძობიარობის გადამწოდების გამოყენების ბაზაზე, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების (სსშ) რაოდენობის მკვეთრი შემცირება ჯერ კიდევ ვერ ხერხდება მისი გამომწვევი მიზეზების გამო [4], სადაც ძირითადია. ადამიანი (მ(“)), სატრანსპორტო გადაადგილების საშუალება (ს(“)) და გზა (გარემოს კომპონენტი).

მოწინავე ქვეყნების, სადაც საგზაო ქსელი კარგად არის განვითარებული (დასავლეთი ევროპა, აშშ, იაპონია), სსშ-ს წლების მანძილზე დაგროვილი სტატისტიკური მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ შემთხვევების გამომწვევი მიზეზებს შორის ყველაზე დიდი წილი (65-70%) ეკუთვნის საგზაო პირობებს, სადაც მოძრაობის საიმედოობაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს, ე.წ. „კრიტიკული წერტილები“ (ცუდი საგზაო პირობების, არასაკმარის მხედველობის მანძილის შემცველი უბნები). ასეთ ადგილებში საგზაო პირობების გაუმჯობესების შემდეგ შემთხვევათა რაოდენობა კლებულობს 20-25%-მდე, რომელიც მიმდებარე მონაკვეთის სსშ-ს დონეს (საერთო ფონს) განსაზღვრავს.

თანამედროვე ეპოქაში მასიური ტრანსპორტის ყველა სახეობა ფართოდ იყენებს ინფორმაციის მიღების ელექტრონული, რადიო და სხვა არავიზუალურ საშუალებებს. მაგალითად, გემების გადაადგილება ნისლში მთლიანად დამოკიდებულია რადიოლოკაციურ საშუალებებზე, თვითმფრინავების გადაადგილება სივრცეში აღარ არის დაკავშირებული ვიზუალურ ინფორმაციაზე,

ხოლო სარკინიგზო შემადგენლობის გადაადგილებისას ინფორმაციას ავტომატურად ელექტრო სიგნალიზაციის საშუალებათა გამოყენებით მემანქანე იღებს როგორც გზის უბნებზე, ისე უშუალოდ კაბინაში. გასათვალისწინებელია, რომ ავტომობილი დარჩა ერთადერთ სატრანსპორტო საშუალებად, რომლის მართვა მძღოლის მიერ გარემოს ვიზუალური აღქმის ინფორმაციაზეა დაყრდნობილი, ხოლო მცირე ნაწილი მიიღება სმენისა და ვესტიბულარული აპარატის ორგანოების საშუალებით.

რეალურ მართვის სისტემაში, გარდა ადამიანების მართვისა, ხორციელდება საგნების მართვა. საგნების მართვა ძირითადად მიეკუთვნება ტექნოლოგიური პროცესების მართვას, ხოლო ადამიანების მართვა-წარმოების მართვას. წარმოებაში განიხილება პროდუქციის გამოშვების პროცესი, ხოლო წარმოების მართვაში – ხელმძღვანელი, ორგანიზაციული და ადმინისტრაციული მოღვაწეობა [3].

ამრიგად, ტრანსპორტის მართვის ავტომატიზირებული სისტემა (ტმას) წარმოადგენს „ადამიანი-მანქანის“ სისტემას, სადაც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ადამიანი, ხოლო ტექნიკა უზრუნველყოფს მას აუცილებელი ინფორმაციით. იგი არის ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების, გამოთვლითი ტექნიკის, კავშირგაბმულობისა და ორგტექნიკის საშუალებათა ერთობლიობა, რაც ტრანსპორტის ეფექტური მართვის შესაძლებლობას იძლევა, განსაკუთრებით დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემის პირობებში.

ტრანსპორტის მას ახორციელებს ინფორმაციის აკრეფას, გადაცემას და ანალიზს, რეკომენდაციების გაცემას გადაწყვეტათა შერჩეული მეთოდების შესაბამისად და ითვალისწინებს მართვის აპარატის უშუალო მონაწილეობას გადაწყვეტილებათა მიღებასა და მის შემსრულებლამდე დაყვანის საქმეში. ამასთან მას-ის დაპროექტება და დანერგვა უნდა უზრუნველყოფდეს ტრანსპორტის საქსპლუატაციო მუშაობის მართვის სრულყოფას, ოპტიმალურ (რაციონალურ) დაგეგმვას, ტექნიკური საშუალებების სრულყოფილად გამოყენებას, მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლების და შრომისნაყოფიერების მიღწევას გადაზიდვებზე ქვეყნის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. სისტემა მუშავდება ტრანსპორტის, როგორც მატერიალური წარმოების სფეროს, სპეციფიკურ და საწარმოო საქმიანობის თავისებურებათა გათვალისწინებით, რომელთა შორის ძირითადია: ტრანსპორტის პროდუქცია – მგზავრთა გადაყვანა და ტვირთების გადაზიდვა – არ შეიძლება წარმოებდეს მარაგით; გადაზიდვების მასიურობა; საწარმოო ერთეულების მრავალრიცხოვნება და ტერიტორიული ურთიერთ სიშორე; ექსპლუატაციური მუშაობის უწყვეტობა და რითმულობა. მითითებული თავისებურებები განაპირობებს ცენტრალიზებული მართვის აუცილებლობასა და გადაზიდვების პროცესის მართვის ერთიანობის პრინციპს ყველა დონეზე. ამასთან მიზანშეწონილად მიგვაჩნია საავტომობილო გზებზე არსებული გლობალური

პოზიციონირების სისტემის (GPS) პარალელურად დაინერგოს და აქტიურად ამოქმედდეს მძღოლების ინფორმირების სისტემა, რომელიც ელექტრონული ან რადიო (რადიოლოკაციური) სიგნალების საშუალებით უზრუნველყოფს უამინდობით ან გზის გეგმისა და პროფილის ელემენტების რთული შეხამებით გამოწვეული შეზღუდული მხედველობის ადგილებში მძღოლის ინფორმირებას ტრასის არსებულ სირთულეზე განივი პროფილის ელემენტების მდგომარეობაზე, აგრეთვე შემხვედრი და წინმავალი ავტომობილების მოძრაობაზე [4]. ამჟამად ამ მონაცემებს მძღოლი ღებულობს მარტო არსებული სიტუაციის ვიზუალური აღქმის საფუძველზე, რომელიც ემყარება გზაზე არსებულ მხედველობის მანძილს. არავიზუალურ ინფორმაციაზე დაყრდნობა იქნება მხოლოდ დამატებითი და გასათვალისწინებელი წყარო. ამასთან იგი ერთდროულად უზრუნველყოფს რა გადაადგილების უსაფრთხო პირობებს, ხელს შეუწყობს არსებული ლანდშაფტის დაცვასა და გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას, მნიშვნელოვნად შეამცირებს საავტომობილო გზების სამშენებლო და საექსპლუატაციო ხარჯებს, რასაც ეთანხმება საავტომობილო ტრანსპორტის გამოცდილი სპეციალისტების ფართო ჯგუფი [5].

საავტომობილო ტრანსპორტის „გარემოს“ აღნიშნული თავისებურებები წინასწარ გასათვალისწინებელია მისი მართვის ავტომატიზებული სისტემის სტრუქტურის შერჩევის და ჩამოყალიბების დროს, შესაბამისი ქვესისტემის (სამსახურის) სახით, რომელიც საგზაო მშენებლობის სამსახურთან მჭიდრო კავშირში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მძღოლების სამუშაო პირობებს.

დასკვნა

შემუშავებული რეკომენდაცია, რათა საავტომობილო ტრანსპორტის მართვის ავტომატიზებული სისტემის ჩამოყალიბების პროცესში გათვალისწინებული იქნეს შესაბამისი ქვესისტემის (სამსახურის) ფუნქციონირება, რომელიც განახორციელებს მძღოლის მომარაგებას დამატებითი ელექტრონული და რადიოსიგნალებით, რომელიც არსებული სიტუაციის ვიზუალური აღქმის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციასთან ერთობლიობაში ხელს შეუწყობს გადაადგილების უსაფრთხო პირობების შექმნას და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გამორიცხვას (მაქსიმალური ალბათობით) და შესამჩნევად გააუმჯობესებს მძღოლის სამუშაო პირობებს.

ლიტერატურა

1. Кузин Л.Т. Основы кибернетики. М.: Энергия. 1973.
2. Peden M. et. al. World Report on Road Traffic Injury Prevention. Geneva: World Health Organization. 2004. 105 p.
3. გ. ჩოგოვაძე, გ. გოგიჩაიშვილი, გ. სურგულაძე, თ. შეროზია, ო. შონია. მართვის ავტომატიზებული სისტემების დაპროექტება და აგება. თბილისი, 2001.

4. კ. მჭედლიშვილი, ლ. იმნაიშვილი, მ. ფოლადაშვილი. ვიზუალური ინფორმაციის ელექტრონულით ჩანაცვლება საავტომობილო გზების დაპროექტებაში. ჟ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“. № 3, თბილისი, 2013. გვ. 152-154.
5. ვ. ბოგველიშვილი, ჯ. იოსებიძე და სხვ. რეკომენდაციების დამუშავება საქართველოში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შემცირებისათვის. ჟ. „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ № 1(23). თბილისი, 2012.

К ВОПРОСУ ПОСТРОЕНИЯ АВТОМАТИЗИРОВАННЫХ СИСТЕМ УПРАВЛЕНИЯ НА ТРАНСПОРТЕ

М.И. Элизбарашвили, П.М. Элизбарашвили, К.А. Мchedlishvili

Резюме

В статье рассматриваются особенности формулирования системы автоматизированного управления транспорта, как большой (кибернетической) системы, что особенно наглядно имеет место во время эксплуатации автомобильного транспорта средства в связи с резкими колебаниями «окружающей среды». Подтверждена необходимость с целью улучшения условий эксплуатации функционирования службы (подсистемы) для получения дополнительной информации для водителей при помощи электронных и радио (радиолокационных) сигналов о сложностях на элементах дороги вызванных плохими погодными условиями или в ограниченной видимости. Эти мероприятия должны обеспечить безопасное движение, уменьшить затрат на строительство и эксплуатацию дорог.


ON THE ISSUE OF DEVELOPMENT OF TRANSPORT AUTOMATIC CONTROL SYSTEM

M. Elizbarashvili, P. Elizbarashvili, K. Mchedlishvili

Summary

In the article are considered features of establishments of automated control system of transport, as a large (cyber) that is particularly likely to occur during the operation of a motor vehicle with sharp fluctuations of “environment”. Is confirmed the necessity in order to improve the operational conditions of operation to functioning of service (subsystem) for obtaining by drivers more information on electronic and radio (radiolocation) signals caused by bad weather or restricted visibility on road elements. These measures should lead to a safe traffic, reduce road construction and operating costs.

GTU
Transport and Mechanical
Engineering Department
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№2 (33)  2015
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

უპკ 385

**საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა და
საავტომობილო ტრანსპორტის განვითარების პერსპექტივები**

გ. მაისურაძე, მ. მასხულია, თ. მაწიაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას №77, 0175,
თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: სტატიაში განხილულია საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა და მისი კავშირი ქვეყნის ეკონომიკის ზრდასთან. სატრანსპორტო დერეფნის რაციონალური გამოყენება უზრუნველყოფს ქვეყნის, როგორც სახელმწიფოს უსაფრთხოებას საერთოდ და მათ შორის ეკონომიკურ უსაფრთხოებასაც. ამავე დროს სატრანზიტო ტვირთების ტრანსპორტირებით სავსებით შესაძლებელია ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა.

საკვანძო სიტყვები: ტრანსპორტი, ეკონომიკა, ტრანზიტი, ეფექტურობა.

შესავალი

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა ადრევე მნიშვნელოვანი იყო სატრანსპორტო გზების არსებობისათვის. აქ გადიოდა ძირითადი საქარავნო გზები აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ეკონომიკის ზრდასთან ერთად ფართოვდება საქართველოს ფუნქცია, როგორც ტრანსკავკასიური კორიდორისა. იგი უმოკლესი გზა არის, რომელიც აღმოსავლეთ აზიას აკავშირებს ევროპასთან.

საქართველოს ტერიტორიაზე გადის მნიშვნელოვანი სარკინიგზო, საავტომობილო და მილსადენი ტრანსპორტი, რომელთა გამოყენებით შესაძლებელია ტვირთების იაფად და

ოპერატიულად ტრანსპორტირება კასპიიდან შავ ზღვამდე და პირიქით. ეს საკითხი და სატრანსპორტო დერეფნის რაციონალური გამოყენება უზრუნველყოფს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს უსაფრთხოებას საერთოდ და მათ შორის ეკონომიკურ უსაფრთხოებასაც. ამავე დროს სატრანსპორტო ტვირთების ტრანსპორტირებით შესაძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა.

უკანასკნელ წლებში რადიკალურად შეიცვალა საქართველოს მთავრობის პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით. ძალზედ მოკლე დროში მნიშვნელოვნად ამაღლდა ეკონომიკის გახსნილობის ხარისხი. აუცილებელ მინიმუმამდე შემცირდა მთავრობის მხრიდან რეგულაციები და პრაქტიკულად გაუქმდა საერთაშორისო გადაზიდვებთან დაკავშირებული ადრე არსებული “შემაფერხებელი” ბარიერები. მეორეს მხრივ, საკმაოდ მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. აღნიშნული ცვლილებები შეეხო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ ყველა სფეროს: საავტომობილო, სარკინიგზო, საჰაერო და მილსადენის ტრანსპორტს. გარდა ამისა, საკმაოდ განვითარდა საზღვაო ტერმინალები.

პირითადი ნაწილი

საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ დარგს ტრანსპორტი წარმოადგენს, რასაც განაპირობებს საქართველოს გეოპოლიტიკური და საერთო ეკონომიკური მდგომარეობა. გეოპოლიტიკა, თანამედროვე ხედვით, სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის ახლებურად გაგებულ თეორიისა და პრაქტიკის ერთობლიობაა, რომელიც გეოგრაფიული ფაქტორის, ეროვნული ინტერესების, პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების, პოლიტიკური პროცესებისა და საერთაშორისო კრიზისების რეგულირების კომბინირებულ ანალიზს ეფუძნება.

ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირება ძირეულად არის დაკავშირებული მისი ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის – საავტომობილო გზების განვითარებასთან. საქართველოს მასშტაბებისა და რთული ბუნებრივი რელიეფის მქონე ქვეყანაში, სატრანსპორტო სისტემის სტრუქტურაში საავტომობილო ტრანსპორტის პრიორიტეტი უდავოა მაღალტექნოლოგიური სატრანსპორტო მომსახურების პარამეტრების (მოქნილობა, მობილურობა, საიმედოობა, გადაზიდვის სიჩქარე, ტვირთების დაცულობა) თვალსაზრისით. საქართველოში ტრანსპორტის დარგის ოთხივე მიმართულება (საგზაო, სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო)

საკმაოდ განვითარებულია. ადგილმდებარეობიდან გამომდინარე საქართველო ასრულებს სატრანზიტო ქვეყნის ფუნქციას. ტრასეკა-ს პროექტში მონაწილეობა სატრანზიტო პოტენციალის რეალიზების კარგ საშუალებას იძლევა. ალტერნატიული სატრანსპორტო მარშრუტების საშუალებით საქართველოსთვის უფრო ხელმისაწვდომი ხდება ევროპული და სხვა რეგიონალური ბაზარი. საავტომობილო ტრანსპორტის განვითარება დიდ წვლილს შეიტანს საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში, ხოლო კანონმდებლობათა ჰარმონიზაცია ხელს შეუწყობს ევროპული სატრანსპორტო კომპანიების საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველოს კომპანიების ევროპის მასშტაბით ფუნქციონირებას.

საქართველოში გადაზიდული ტვირთის მოცულობაში დიდი ხვედრითი წილი, დაახლოებით 59.9 პროცენტი, მოდის საავტომობილო გადაზიდვებზე. 1990 წლის შემდეგ საავტომობილო მაგისტრალებმა და რკინიგზამ თავისი ფუნქცია დაიბრუნეს, თუმცა ვერც საავტომობილო გზები და ვერც რკინიგზა ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს. წლების განმავლობაში მიტოვებული და მოუვლელი მაგისტრალების უმეტესობა განადგურდა. ბოლო პერიოდში საქართველოს მთავრობამ გაარემონტა დიდი დატვირთვის მქონე გზები, რათა აღედგინა მიმოსვლა. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი სიტუაციის საბოლოო მოწესრიგებამდე.

საავტომობილო გადაზიდვების გაზრდილმა მოთხოვნებმა დღის წესრიგში დააყენა არსებული გზების რეკონსტრუქციის და ზოგ შემთხვევაში ახალი უსაფრთხო მონაკვეთების მშენებლობის აუცილებლობა. ეკონომიკის განვითარება წარმოუდგენელია მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურის გარეშე. ეს ეხება როგორც შიდასახელმწიფოებრივ ასევე, საერთაშორისო მნიშვნელობის გზების მშენებლობა-რეაბილიტაციას. ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა საბაზისო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება, ძირითად ავტომაგისტრალებზე უსაფრთხო და მაღალი გამტარუნარიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია გზების მახასიათებლების დაახლოება საერთაშორისო მოთხოვნებთან, ყოველწიურად ჩასატარებელია გზების ინფრასტრუქტურის მოვლის, რეაბილიტაციის, განვითარებისა და მშენებლობის სამუშაოები.

აუცილებელია ყველა რაიონულ ცენტრთან მისასვლელი საავტომობილო გზების, ძირითად საკურორტო, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მიმსასვლელი გზების რეკონსტრუქცია, მოსაზღვრე ქვეყნებთან მისასვლელი გზების სრული რეაბილიტაცია, ტვირთბრუნვისა და მგზავრთა გადაყვანის დინამიკის მაჩვენებლების სტატისტიკური ანალიზი, კანონმდებლობათა ჰარმონიზაცია. ეკონომიკური სტრატეგიის წარმატებით განხორციელების მიზნით საჭირო საგზაო ინფრასტრუქტურული ღონისძიებები მოიცავდეს, საერთაშორისო, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის და ადგილობრივი გზების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებს, აგრეთვე

გზების დიზაინის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. აუცილებელია დაზიანებული და შემდგომ რეაბილიტირებული მონაკვეთების მონიტორინგი, სახიდე გადასასვლელების და სხვა ხელოვნური ნაგებობების აღდგენითი და სარეკონსტრუქციო სამუშაოების უწყვეტად გაგრძელება. უსაფრთხოების ამაღლების მიზნით საჭიროა, ავტომაგისტრალების და გზების გასწვრივ განლაგებულ კომერციულ და სერვისულ ობიექტებთან მისასვლელი მეორეხარისხოვანი გზების შესაბამისობაში მოყვანა.

დასკვნა

ამრიგად, ქვეყნის უპირველეს პრიორიტეტს ტრანსპორტის სფეროსთვის გარკვეული გარემოს შექმნა წარმოადგენს, ე.ი. მნიშვნელოვანია ფუნქციონირების შემაფერხებელი ბარიერების მოხსნა და საქართველოს ტრანზიტისთვის მიმზიდველ ქვეყნად გადაქცევა, ეს კი კონკურენციის ხელშეწყობას ნიშნავს. მთავრობამ უნდა გააუმჯობესოს ტექნიკური და უსაფრთხოების კონტროლი საქართველოში ტრანსპორტის სფეროს შემდგომი განვითარების მიზნით, ამისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს ევროგაერთიანების სატრანსპორტო პოლიტიკაში შემავალი მრავალი ღირეექტივა და რეგლამენტი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. www.economy.ge
3. ნ. ნავაძე, ო. გელაშვილი. საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები. სტუ, თბ., 2015წ.

**ГЕОПОЛИТИЧЕСКОЕ ПОЛОЖЕНИЕ ГРУЗИИ И ПЕРСПЕКТИВЫ ДЛЯ
РАЗВИТИЯ АВТОМОБИЛЬНОГО ТРАНСПОРТА**

Г. Майсурадзе, М. Масхулия, Т. Мациашвили

Резюме

Эта статья рассмотрено геополитическое положение Грузии и его связь с экономическим ростом страны. Рациональное использование транспортного коридора обеспечивает как общую безопасность государства, так в том числе и экономическую безопасность. В то же время перевозкой транзитных грузов вполне возможно значительное увеличение доходов в центральный бюджет.


**GEORGIA'S GEOPOLITICAL POSITION AND PROSPECTS FOR ROAD
TRANSPORT DEVELOPMENT**

G. Maisuradze, M. Maskhulia, T. Matsiashvili

Summary

In this paper is considered geopolitical position of Georgia and its connection to the country's economic growth. Rational use of the transport corridor provides the general safety of state, as well as economic safety. at the same time by transit cargo transportation is quite possible for a significant increase the central budget incomes.

GTU
Transport and Mechanical
Engineering Department
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№2 (33)  2015
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

უაპ 339; 626.9

**ფინანსური სტაბილიზაციის შიდა საწარმოო
მექანიზმები ანტიკრიზისულ მართვაში**

ი. გიგაური

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას №77, თბილისი,
საქართველო)

რეზიუმე: საწარმოს ანტიკრიზისული მართვის სისტემაში ძირითადი როლი ენიჭება ფინანსური სტაბილიზაციის შიდა საწარმოო მექანიზმებს, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ამ მექანიზმების წარმატებულ გამოყენებას შეუძლია არა მარტო მოხსნას გაკოტრების საფრთხის ფინანსური სტრესი, არამედ მნიშვნელოვანწილად ააცილოს საწარმოს ნასესხები კაპიტალის გამოყენების დამოკიდებულება, დააჩქაროს მისი ეკონომიკური განვითარების ტემპები. საწარმოს ფინანსური სტაბილიზაციის ყოველ ეტაპს უნდა შეესაბამებოდეს მისი გარკვეული შიდა მექანიზმები („თავდაცვითი” და „შემტევი ხასიათის”) ფინანსური სტაბილიზაციის მექანიზმების შესაბამისი მიმართულების არჩევას კარნახობს საწარმოს გადამხდელუნარიანობის რეალური ხასიათი.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური სტაბილიზაციის ოპერატიული, ტაქტიკური, სტრატეგიული მექანიზმი; წმინდა გადამხდელუნარიანობის კოეფიციენტი; საწარმოს შეკუმშვა.

შესავალი

ბიზნესის სფეროში არსებული უმკაცრესი კონკურენციის პირობები საწარმოთა უმრავლესობას აიძულებს შეინარჩუნონ და წინ წასწიონ თავიანთი მიღწევები პროდუქციის ბაზარზე, რისთვისაც აუცილებელია ფინანსური სტაბილურობა. სწორედ საწარმოთა წარმატებებისა და სტაბილურობის საფუძველია კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოების გადიდება, რაც შეუძლებელია მიღწეული იქნას ფინანსური მდგრადობის გარეშე. ფინანსური

მდგრადობა საწარმოთა ფინანსების ისეთი მდგომარეობაა, რომელიც გარანტირებულად უზრუნველყოფს მათ გადახდისუნარიანობას. ასეთ შემთხვევაში ფირმა (საწარმო) საკუთარი შემოსავლების ხარჯზე ფარავს დაბანდებს აქტივებში და დაწესებულ ვადებში კრედიტორულ ვალდებულებებს. საწარმოს არასტაბილურობის პირობებში არსებობენ უამრავი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მეურნე სუბიექტის ფინანსურ მდგომარეობაზე აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს წინაშე მდგომ გადასაწყვეტ ძირითად ამოცანებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ფინანსური სტაბილიზაცია, რომელიც ხორციელდება შემდეგი ეტაპების მიხედვით:

1. **გადამხდელუნარიანობის თავიდან აცილება.** ფინანსური სტაბილიზაციის ყველა სხვა ღონისძიებებიდან ყველაზე აქტუალურს წარმოადგენს გადაუდებელი ფინანსური ვალდებულებების მიხედვით გადამხდელუნარიანობის აღდგენა, რათა თავიდან იყოს აცილებული გაკოტრების პროცედურის წარმოშობა.
2. **ფინანსური მდგრადობის აღდგენა (ფინანსური წონასწორობა).**
3. **ფინანსური წონასწორობის აღდგენა გრძელვადიან პერიოდში.** სრული ფინანსური სტაბილიზაცია ითვლება მიღწეულად მხოლოდ მაშინ, როცა საწარმო ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული პერიოდისათვის მიაღწევს გრძელვადიან ფინანსურ წონასწორობას.

საწარმოს ფინანსური სტაბილიზაციის ყოველ ეტაპს უნდა შეესაბამებოდეს მისი გარკვეული შიდა მექანიზმები, რომლებიც ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკასი იყოფა **ოპერატიულ, ტაქტიკურ და სტრატეგიულ მექანიზმებად** (ცხრილი 1). სტაბილიზაციის ზემოთ ჩამოთვლილი შიდა საწარმოო მექანიზმები ატარებენ „თვდაცვით“ და „შემტევ“ ხასიათს.

ცხრილი 1. საწარმოს სტაბილიზაციის შიდამექანიზმები მისი განხორციელების ეტაპების მიხედვით

ფინანსური სტაბილიზაციის ეტაპები	ფინანსური სტაბილიზაციის შიდასაწარმოო მექანიზმები		
	ოპერატიული	ტაქტიკური	სტრატეგიული
1. გადამხდელუნარიანობის თავიდან აცილება	ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ეფუძნება პრინციპის გამოყენებას- „მოკვეთე ზედმეტი“		

2. ფინანსური მდგრადობის აღდგენა		ლონისძიებათა სისტემა, რომელიც ეფუძნება პრიციპის გამოყენებას- „საწარმოს შეკუმშვა“	
3. გრძელვადიან პერიოდში ფინანსური წონასწორობის უზრუნველყოფა			ლონისძიებათა სისტემა, რომელიც ეფუძნება „მდგრადი ზრდის მოდელის“ გამოყენებას

ფინანსური სტაბილიზაციის ოპერატიული მექანიზმი წარმოადგენს ლონისძიებათა სისტემას, რომელიც მიმართულია, ერთი მხრივ, მიმდინარე გარე და შიდა ფინანსური ვალდებულებების სიდიდის მოკლევადიან პერიოდში შემცირებისაკენ, ხოლო, მეორე მხრივ, ფულადი აქტივების ზრდისაკენ, რომელიც უზრუნველყოფს ამ ვალდებულებების ვადიან დაფარვას. „მოკვეთე ზედმეტის“ პრინციპი, რომელიც საფუძველია ამ მექანიზმისა, განსაზღვრავს როგორც მიმდინარე მოთხოვნების (რომლებიც იწვევენ შესაბამის ფინანსურ ვალდებულებებს), ასევე ლიკვიდური აქტივების ცალკეულ სახეებზე (მათი ფულად ფორმაში სწრაფი კონვერსიის მიზნით) სიდიდების შემცირების აუცილებლობას.

ფინანსური სტაბილიზაციის ტაქტიკური მექანიზმი გამოიყენება, როგორც ცალკეული დაცვითი მექანიზმი, უპირატესად, შემტვეი ტაქტიკის სახით, რომელიც მიმართულია ფინანსური განვითარების არასასურველი ტენდენციების გარდატეხასა და საწარმოს ფინანსური წონასწორობის საზღვარზე გასვლაზე.

ფინანსური სტაბილიზაციის სტრატეგიული მექანიზმი წარმოადგენს ფინანსური განვითარების შემტვეი სტრატეგიას და უზრუნველყოფს აუცილებელი ფინანსური პარამეტრების ოპტიმიზაციას, რომელიც მთლიანად დაქვემდებარებულია საწარმოს ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მიზნებზე.

ფინანსური სტაბილიზაციის ტაქტიკური მექანიზმის წონასწორობის მოდელს, რომლის მიღწევისაკენ კრიზისულ სიტუაციაში საწარმო მიიღტვის, გააჩნია შემდეგი სახე:

საწარმოს საკუთარი ფინანსური რესურსების გენერირების შესაძლებელი მოცულობა=საკუთარი ფინანსური რესურსების მოხმარების აუცილებელ მოცულობას. კრიზისული ფინანსური მართვის ეს მოდელი ეფუძნება პირობას, როცა: **საწარმოს საკუთარი ფინანსური რესურსების შესაძლებელი გენერირების მოცულობა მეტია(>) საწარმოს საკუთარი ფინანსური რესურსებუს მოხმარების საჭირო მოცულობაზე.** როგორი ღონისძიებები არ უნდა იყოს მიღებული ფინანსური სტაბილიზაციის სტატისტიკური მექანიზმის გამოყენების პროცესში, ყველა ისინი მიმართული უნდა იყოს ზემოთ მოყვანილი უტოლობის შენარჩუნებისაკენ, მაგრამ, რეალურ პრაქტიკაში საკუთარი ფინანსური რესურსების მოცულობის შესაძლებელი ზრდის გენერირება კრიზისული განვითარების პირობებში საკმაოდ შეზღუდულია, ამიტომ საწარმოს ფინანსური წონასწორობის მიღწევას კრიზისულ პირობებში წარმოადგენს საკუთარი ფინანსური რესურსების მოხმარების მოცულობის შემცირება(უტოლობის მარჯვენა მხარე). ასეთი შეკვეცა დაკავშირებულია როგორც საწარმოს ოპერატიული, ასევე საინვესტიციო საქმიანობის შემცირებასთან და ამიტომ ხასიათდება ტერმინით „საწარმოს შეკუმშვა“. საწარმოს შეკუმშვის ზემოთ მოყვანილი უტოლობის უზრუნველყოფის პროცესს თან უნდა ახლდეს საკუთარი ფინანსური რესურსების ზრდის ღონისძიებები. შედეგად, საწარმო მიიღებს პოზიციების განმტკიცების უკეთეს შესაძლებლობას შესაბამისი ფულადი ნაკადების ამ უტოლობაში. ეს კი თავის მხრივ, დააჩქარებს ფირმის კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის და ფინანსური წონასწორობის წერტილის უზრუნველყოფას.

საკუთარი ფინანსური რესურსების გენერირების მოცულობის ზრდა, რომელიც უზრუნველყოფს უტოლობის მარცხენა ნაწილის ზრდას, მიიღწევა ისეთი ღონისძიებების გატარებით, როგორიცაა: **საწარმოს ფინანსური პოლიტიკის ოპტიმიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს ოპერაციული შემოსავლების დამატებით სიდიდეს; მუდმივი დანახარჯების ჯამის შემცირება(მათ შორის ადმინისტრაციული პერსონალის შემცირება, მიმდინარე რემონტის ხარჯები და ა.შ); ცვალებადი დანახარჯების ღონის შემცირება (მათ შორის საწარმოს ძირითადი და დამხმარე პერსონალის შემცირება); ეფექტური საგადასახადო პოლიტიკის განხორციელება, რაც უზრუნველყოფს საგადასახადო გადასახდელების მინიმიზაციას საწარმოს შემოსავლების ჯამთან მიმართებაში.**

პირითადი ნაწილი

ფირმის რეაქცია კრიზისულ მდგომარეობაზე ვლინდება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით. პირველი გამოიხატება **თავდაცვით რეაქციაში,** რომელსაც თან სდევს დანახარჯების მკვეთრი შემცირება, ფირმის ქვედანაყოფების გაყიდვა ან დახურვა, პერსონალის

დათხოვნა, ბაზრის სეგმენტის წილის შემცირება, საბაზრო ფასების დაკლება და პროდუქციის გასაღების შემცირება, მეორე პოზიცია მდგომარეობს **შემტვეი ტაქტიკის** გამოყენებაში, რომლის შემთხვევაში ხდება მოწყობილობების მოდერნიზაცია, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ეფექტური მარკეტინგის გამოყენება, წარმოებული პროდუქციის გასაღების მატება, გასაღების ახალი ბაზრების ძიება, ზარალიანი წარმოების გაყიდვა ან ლიკვიდაცია და რენტაბელური პროდუქციის წარმოებაზე გადართვა. მიზანშეწონილად ითვლება ცალკეული საქონლისა და მომსახურების წარმოების გადაცემა მცირე ფირმებისათვის, აგრეთვე რეკომენდებულია სარისკო (ვენჩურული) საწარმოების შექმნა, რომლებსაც შესწევთ უნარი სწრაფად დანერგონ ახალი ტექნოლოგიები, უფრო ოპერატიულად მოახდინონ რეაქცია ტექნოლოგიებზე, ტექნიკაზე, გასაღების ბაზრებზე და მიმდინარე ცვლილებებზე. თუ ფირმა ცდილობს თავიდან აიცილოს გაკოტრება სარისკო კომპანიების შექმნით, მაშინ მან ძალიან დაწვრილებით უნდა მოიფიქროს ამ **სარისკო (ვენჩურული) საწარმოს მართვის ეკონომიკური სტრატეგია**. წინააღმდეგ შემთხვევაში საკმაოდ დიდია კრიზისული რისკის ალბათობა.

დასკვნა

ამრიგად, კრიზისულ სიტუაციაში ფირმამ უნდა განახორციელოს გაკოტრების თავიდან აცილების სპეციალური სტრატეგია, რომელიც გულისხმობს ფირმის კონკურენტული უპირატესობის გასაძლიერებლად მრავალ წესსა და ხერხს. სასიცოცხლო ციკლის პირველ და მეორე სტადიაზე ფირმა საჭიროებს კაპიტალურ დაბანდებს. მეორე სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს **სწორი მარკეტინგული პოლიტიკის გატარება**. ამ შემთხვევაში ტარდება შიდა და გარე ფაქტორების ანალიზი, რომლებზედაც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ფირმის მუშაობა. ფირმას დაუფიქრებლად არ შეუძლია გავლენა მოახდინოს გარე ფაქტორებზე. ამიტომ მის ამოცანას წარმოადგენს შესაძლებლობიდან გამომდინარე ბაზრებზე და საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინება და საკუთარ საქმიანობაში კორექტივების შეტანა. ტარდება კონკურენტული პირობების დაწვრილებითი შესწავლა ადგილისა, რომელიც ბაზარზე უკავია ფირმის პროდუქციას. ფირმის სამეურნეო საქმიანობის შიდა ელემენტები, რომლებიც საჭიროებენ ანალიზს, შეიძლება დაიყოს ხუთ ჯგუფად:

1. ფირმის ფილოსოფია, მისი საქმიანობის კონკრეტული მიზანი, როგორ შეიძლება მოლოდინების დაკმაყოფილება
2. ფირმის მუშაობის შედეგიანობა საანალიზო პერიოდში – პროდუქციის წარმოების რენტაბელობის მაჩვენებელი, მისი ეკონომიურობა, ეფექტურობა და გეგმურობა;

3. ფირმის რესურსების გამოყენების ხასიათი, რომელსაც მიეკუთვნება ინტელექტუალური და მატერიალური რესურსები;
4. ფირმის ქვედანაყოფების მუშაობის წარმატებულობა. რამდენად ართმევენ ისინი თავს დასახულ ამოცანებს;
5. ფირმის მიერ წარმოებული საქონლის კონკურენტუნარიანობა, ამავდროულად ირკვევა, აქვს თუ არა აზრი ახალი საქონლის წარმოებას.

გაკოტრების თავიდან აცილების მესამე სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს კაპიტალის სწრაფი ბრუნვადობის უზრუნველყოფა. ერთ-ერთ გავრცელებულ მიზეზს იმისა რომ, ფირმა ღებულობს დაბალ მოგებას, არის ის, რომ მისი ფულის ძალზე დიდი მასა უძრავ მდგომარეობაშია. საკმაოდ დიდი რაოდენობის დანადგარი არ გამოიყენება, იგივე მდგომარეობაა ნედლეულის და მასალების, შენობა-ნაგებობების გამოყენების კუთხით. ყველაფერი ეს ნიშნავს კაპიტალის უმოქმედობას, მიანიშნებს მისი გამოყენების დაბალ ხარისხზე. ძოგჯერ რიგ საწარმოში კაპიტალის უდიდესი ნაწილი რჩება გამოუყენებელი და მათ შენახვაზე გაწეული ხარჯები მთლიანად აწვება გამოყენებულ რესურსებს ანუ რესურსების უმცირეს ნაწილს, რაც იწვევს წარმოებული პროდუქციის გაძვირებას და დანახარჯების მიხედვით კონკურენტული უპირატესობის დაკარგვას. არ მოაქვს არანაირი სარგებლობა მზა პროდუქციის გასაღების შეჩერებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ჩამოყალიბებულია ფასების სტაბილური ზრდა. ბიზნესის არსს წარმოადგენს გაცვლა. მოგების ნორმა უფრო მეტადაა დამოკიდებული გაყიდვების სიჩქარეზე, ვიდრე მაღალ ფასებზე, ამიტომ ფასების ზრდა ითვლება, როგორც პირდაპირი გზა გაკოტრებისაკენ, ხოლო კაპიტალის ბრუნვადობის მაღალი სიჩქარე ხელს უწყობს გაკოტრების თავიდან აცილებას. აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოს ფინანსური კრიზისის ნეიტრალიზაციის შიდა ფინანსური პოტენციალის პროგნოზირებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ბ. ფარესაშვილი** - „ფირმის ანტიკრიზისული მენეჯმენტი“ , გამ. “უნივერსალი”, თბ. 2010წ. 78 გვ.
2. **Баринов В. А** – Антикризисное управление, Учебное пособие М 2005.
3. **Попов Р** - Антикризисное управление, М. Высшая школа 2004.

ВНУТРИПРОИЗВОДСТВЕННЫЕ МЕХАНИЗМЫ ФИНАНСОВОЙ СТАБИЛИЗАЦИИ ДЛЯ УПРАВЛЕНИЯ КРИЗИСОМ

И. Гигаури

Резюме

В антикризисной системе управления предприятием главная роль принадлежит внутрипроизводственным механизмам финансовой стабилизации, это связано с тем, что успешное использование этих механизмов не только может снять финансовый стресс поднять угрозы неплатежеспособности, но также в значительной степени устранить зависимость предприятия от заемного капитала, ускорить темпы его экономического развития. Каждый этап финансовой стабилизации предприятия должен соответствовать некоторым из его внутренних механизмов („оборонительного" и „наступательного характера") выбор соответствующего направления механизма финансовой стабилизации диктует характер реальной платежеспособности предприятия.


THE INTRAPRODUCTIVE FINANCIAL STABILIZATION MECHANISMS FOR CRISIS MANAGEMENT

I. Gigauri

Summary

In anti crisis management system of enterprise the main role has the intraproductive mechanisms of financial stabilization, it is related to the fact that the successful application of these mechanisms would not only avoid the financial stress of insolvency threat, but also to a significantly prevent the dependency of enterprise on borrowed capital, accelerate its economic development rates. Every stage of financial stabilization of the enterprise must comply with certain of its internal mechanisms („defensive " and „offensive nature") the choice of the direction of financial stabilization mechanism dictates due the character of enterprise real solvency.

GTU
Transport and Mechanical
Engineering Department
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№2 (33)  2015
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

.შპაპ;626.9

**სამეწარმეო პოლიტიკა საქართველოს საწარმოთა
ანტიკრიზისული მართვისა და პროდუქციის
კონკურენტუნარიანობის ამაღლების ასპექტში**

ი. გიგაური, თ. კილაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას №77, თბილისი,
საქართველო)

რეზიუმე: მსოფლიო ბაზარზე ეროვნული მეწარმეობის მყარი ეკონომიკური განვითარება მხოლოდ მისი კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლებით არის შესაძლებელი. სადაც წამყვანი როლი სახელმწიფოს ეკუთვნის, ხელისუფლება, ბიზნესი და საზოგადოება არის ის სამი მხარე, რომელთა კოორდინირებული მოქმედება საშუალებას მოგვცემს დაძლეულ ან მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი კრიზისის უარყოფითი შედეგები. სამეწარმეო სტრუქტურების კონკურენტული უპირატესობის მიღწევის უმნიშვნელოვანესი გზაა – წარმოებისა და სხვა სახის სამეწარმეო საქმიანობის უწყვეტი მოდერნიზაცია. კერძოდ: ეკონომიკის განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალას ინოვაციური პროცესი, პროდუქციის ახალი სახეების შექმნა წარმოადგენს. მოქნილი სპეციალიზაციის სამეწარმეო პოლიტიკა ხელს უწყობს სამეწარმეო კლასტერების შექმნას, მყიდველი-მომწოდებელი” ქსელის განვითარებას, ტექნოლოგიების გადაცემის პროგრამების შემუშავებას, ვენჩურული ინოვაციური პროგრამების შექმნას.

საკვანძო სიტყვები: სამეწარმეო პოლიტიკა, კონკურენტული გარემო, დარგების პრიორიტეტულობის კრიტერიუმი, სატრანზიტო დერეფანი, კონკურენტული უპირატესობა, ინოვაციური პოლიტიკა, რეგიონული კლასტერები

შესავალი

როგორც საქართველოს კონკურენტული პოლიტიკის განვითარების ხანმოკლე ისტორიის (1992წლიდან დღემდე) ანალიზი გვიჩვენებს, ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები

არათანმიმდევრული და ხშირად წინააღმდეგობრივია. კონკურენტული გარემოს შექმნა ქვეყნის ეროვნულ პრიორიტეტებს შორის ძირითადია და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. კრიზისი მუდმივად ართულებს ორგანიზაციათა მდგომარეობას, ამცირებს მათი გადარჩენის შანსს. გაკოტრებული ქმედითუნარიანობა დაკარგული ორგანიზაციები იწვევენ მაკროეკონომიკურ დესტაბილიზაციას. როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, მრეწველობის სწორი და შედეგიანი განვითარება შეუძლებელია სამეწარმეო პოლიტიკის ჩამოყალიბების გარეშე. სამეწარმეო პოლიტიკის ძირითადი ამოცანებია: პრიორიტეტების განსაზღვრა, დასაბუთება და რეალიზაციის მექანიზმების შექმნა-სრულყოფა. საქართველოს პირობებში საექსპორტო პოტენციალმა უნდა განსაზღვროს დარგის პრიორიტეტულობა არა მარტო გრძელვადიან ასპექტში, არამედ უახლოეს პერსპექტივაშიც.

ექსპორტული პოტენციალის გაძლიერების თვალსაზრისით დიდი პერსპექტივები გააჩნია, სატრანზიტო დერეფნის შესაძლებლობების გამოყენებას, ე.ი ისეთი საწარმოების შექმნას ან მოდერნიზაციას, რომლებიც აწარმოებენ საექსპორტო პროდუქციის შესაბამისი ნედლეულის გამოყენების ბაზაზე. ექსპორტირებულ დარგებში განხილულ უნდა იქნეს და შეფასდეს საგარეო ბაზარზე მათი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაძლიერების პერსპექტივები. ამასთან უნდა დგინდებოდეს მსოფლიო ბაზარზე საბაზრო კონიუნქტურის პროგნოზები ამა თუ იმ საექსპორტო პროდუქციისათვის, განისაზღვროს ზრდის გრძელვადიანი ტენდენციები. პრიორიტეტულია აგრეთვე ის დარგები, რომლებიც განაპირობებენ ქვეყნის მაღალ ინდუსტრიულ პოტენციალს: ამ მიმართულებით საჭიროა ზოგიერთი მოქმედი საწარმოს მოდერნიზაცია (ავია და სატვირთო ავტომანქანების მშენებლობა, რადიოელექტრონიკა, მრავალ შემთხვევაში აქ აუცილებელია წარმოების ნაწილობრივი პროფილის შეცვლა, ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვა, კოოპერირება საიმედო უცხოურ პარტნიორებთან, საჭიროა პრიორიტეტების უზრუნველყოფის საინვესტიციო მექანიზმის ჩამოყალიბება. პრიორიტეტების გამოცხადებასთან ერთად უნდა გაიხსნას შესაბამისი საკრედიტო ხაზები, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება როგორც სახელმწიფო რესურსებით, ასევე საგარეო სესხებით, ერთობლივი და ეროვნული საინვესტიციო ბანკების ჩამოყალიბებით, მოსახლეობის დანაზოგებით, რომელთა გადანაწილება შესაბამის დარგებში ინვესტიციების სახით უნდა უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფო და საბაზრო ინსტიტუტების სათანადო ორგანიზაციით და კანონმდებლობის საფუძველზე. მიზანშეწონილია სახსრების განაწილება რესურსების ეკონომიის უზრუნველსაყოფად, საწარმოთა პროფილის შეცვლაზე, სტრუქტურული გარდაქმნის, სოციალური დანახარჯების დაფარვაზე, ვიდრე უიმედოდ არაეფექტიანი საწარმოების ღოტაცებით შენახვაზე. საჭიროა ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც მიმართული იქნება ფასობრივი საბაზრო კონკურენციის შექმნაზე ყველაზე არაეფექტიანი (ზარალიანი) საწარმოებისათვის, რომ

მოხდეს მათი წაქეზება ერთობლივი საწარმოების შექმნის, წარმოების პროფილის შეცვლის, მოდერნიზაციის ან ლიკვიდაციისაკენ. განვითარებულ ქვეყნებში და განსაკუთრებით, იაპონიაში და სამხრეთ კორეაში ტარდება საექსპორტო დარგების ინტენსიური წახალისება. მაგ: საწარმოებს, რომლებიც მუშაობენ ექსპორტზე ეძლევათ კრედიტები დაბალი პროცენტით, ძალიან ხელსაყრელ პირობებში ეძლევათ უცხოური ვალუტა საექსპორტო პროდუქციის გამოშვებისათვის გამიზნული მოწყობილობების შესაძენად. ნებისმიერი ქვეყნის კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავს მისი კონკურენტული უპირატესობები. საქართველოს გააჩნია რამდენიმე ბუნებრივი უპირატესობა(საკმაოდ მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები), მაგრამ განვითარებული უპირატესობებით (ახალი ტექნოლოგიები და ცოდნა,ინოვაციები ყველა სტადიაზე)ქვეყანა ჯერ კიდევ შორსაა მსოფლიოში წამყვანი პოზიციებისაგან. ამჟამად საქართველო გარკვეულ საზღვრებში კონკურენტუნარიანია მსოფლიო ბაზარზე, ანუ მაკროდონეზე ნედლეულის ექსპორტით. ასეთი კონკურენტუნარიანობა ნაკლებად გამძლე და არასტაბილურია. აუცილებელია მსოფლიო ბაზარზე მყარი პოზიციების დაკავება რეგიონული კლასტრების ფორმირებით. ტერიტორიები, სადაც ყალიბდება კლასტრები, ეროვნული ეკონომიკისა და მათი საგარეო ეკონომიკური კავშირების ლიდერებად გამოდიან. გარდა ამისა კლასტერული ინიციატივები სტიმულს აძლევს რეგიონში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას იმდენად, რამდენადაც ამჟამად მსხვილი საერთაშორისო კომპანიები, როგორც წესი, ამჯობინებენ ინვესტირებას იმ რეგიონებსა და ქვეყნებში, სადაც უკვე ფუნქციონირებს კლასტრები აუცილებელ დარგებში.

პირითადი ნაწილი

კონკურენტული გარემოს შექმნა ქვეყნის ეროვნულ პრიორიტეტებს შორის ძირითადია და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. ეროვნულ სამეწარმეო პოლიტიკაში უნდა ვიგულისხმიოთ სახელმწიფოს სტრატეგია და ტაქტიკა, რომლის ძირითად მიზნებს მიეკუთვნება: 1) საწარმოებში ეკონომიკური სიტუაციის სტაბილიზაცია; 2)მეწარმეობისა და ეკონომიკის მყარი ეკონომიკური ზრდის საფუძველზე რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება; 3)გადამამუშავებელი დარგების საწარმოების აგრარულ კომპლექსთან ურთიერთობის გაძლიერება; 4) ქიმიური და მანქანათმშენებელი საწარმოების კომპლექსის განვითარება და სხვა. ამ ტენდენციის განმტკიცებისათვის აუცილებელია საქართველოს სამეწარმეო პოლიტიკის ფარგლებში აქტიური მეცნიერულ-ტექნიკური და ინოვაციური პოლიტიკის შემუშავება, სასწარმოების საქმიანობის მონიტორინგის ჩატარება, ტექნიკურ-ეკონომიკური და ფინანსური ანალიზი და ამის საფუძველზე განვითარების გრძელვადიანი გეგმების ფორმირება. საგადასახადო რეგულირებამ უნდა უზრუნველყოს მიზანმიმართული სტრუქტურული გარდაქმნის

პროცესის სტიმულირება; საწარმოო პოტენციალის და საფინანსო რესურსების გადანაწილება მობილური, ეფექტიანად მომუშავე საწარმოების სასარგებლოდ; ექსპორტული საწარმოო პოტენციალის შექმნის სტიმულირება; საქმიანი და საინვესტიციო აქტიურობა პრიორიტეტულ დარგებში; რეგულირების საგადასახადო ბერკეტების გავლენას უნდა ჰქონდეს როგორც ხანგრძლივი, ასევე ოპერატიული ხასიათი. დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთები გონივრულად უნდა იქნეს განსაზღვრული საქონლის ჯგუფების მიხედვით. ქონებრივი გადასახადის განაკვეთის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტორი, მაგ.: წარმოების ფონდტევადობა, ტერიტორიული განლაგება, დარგის პრიორიტეტულობა. რაც შეეხება კრიზისულ მდგომარეობაში ჩავარდნილ საწარმოებს, მათთვის სახელმწიფო რეგულაციები, მიზანშეწონილია განხორციელდეს განვითარებული ქვეყნების მაგალითზე. კერძოდ გავიზიაროთ აშშ-ს სამართლებრივი საფუძვლები. აშშ-ს კანონმდებლობა რეორგანიზაცია/გაკოტრების შესახებ ვალდებულია დაიცავს როგორც კრედიტორების, ისე მეკალების ინტერესები. კრედიტორების დაცულობა ხელს უწყობს დაკრედიტების მოცულობის ზრდას, რაც ნორმალური სავაჭრო ბრუნვის აუცილებელი პირობაა. კანონმდებლობა, რომელიც ქმნის გაკოტრებული საწარმოს რეორგანიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს, ასტიმულირებს სამეწარმეო საქმიანობას, ინვესტირებას და საკუთარ თავზე რისკის აღებას. ნორმატიული ბაზა ვალებისაგან განთავისუფლების გზას უხსნის იმ კეთილსინდისიერ და პასუხისმგებელ მეკალებს, რომლებიც მართლაც საჭიროებენ „ხალ სტარტს“ კონკურენციის პირობებში. გაკოტრების კოდექსი შეიცავს ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ როგორც საწარმოს ლიკვიდაციის პროცედურას მისი არაქმედითუნარიანობის პირობებში, ისე შესაძლო რეორგანიზაციის შემთხვევებს ფინანსების სფეროში, ან ეგრეთ წოდებული საწარმოს ფინანსური რეაბილიტაციისას. კოდექსში გამოიყოფიან სავაჭრო საწარმოები, სამრეწველო საწარმოები, სატრანსპორტო საწარმოები(რკინიგზის ჩათვლით), კანონმდებლობის ლოგიკა დაიყვანება იმ პრინციპამდე, რომ კრედიტორებისაგან დაცვა შეუძლიათ პრაქტიკულად აშშ-ს ყველა საწარმოსა და მოქალაქეს. ერთ-ერთი ამოცანა კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში არის კლასტერიზაციის პოტენციალის გამოვლენა. როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, კლასტერული მიდგომა არის არა მხოლოდ სამრეწველო პოლიტიკის მიზნების მიღწევის საშუალება - სტრუქტურული ცვლილებები, არამედ კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ინოვაციური მიმართულების გაძლიერება და სხვა.

დასკვნა

უმეტეს საწარმოთა პროდუქციის კონკურენტუნარიანობის და საწარმოო ფინანსური ანგარიშგების ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, რომ მათ აქვთ

სერიოზული სირთულეები: – მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის დასაშვებზე ნაკლები მნიშვნელობა აქვს, რაც გამოიხატება საკუთარი საშუალებებით უზრუნველყოფის კოეფიციენტის საანგარიშო პერიოდის დასაწყისში და ბოლოს უარყოფითი მნიშვნელობისა და შემცირების ტენდენციით. – ბალანსში გამოჩნდა საანგარიშო პერიოდის დაუფარავი ზარალი; – მოხდა საკუთარი საშუალებების შემცირება; – კრედიტორული დავალიანება აღემატება დებიტორულ დავალიანებას. ასეთი კრიზისული სიტუაციებიდან გამოსასვლელად აუცილებელია შექმნილი მდგომარეობის გაუმჯობესების გზების უფრო ღრმა და ეფექტიანი გამოვლენა. შესაძლებელია რეინჟინინგის ჩატარება. აუცილებელია არარენტაბელურ წარმოებებზე უარის თქმა და შედარებით მომგებიანი წარმოებების გაზრდა. ამ ასპექტში საწარმოს შიდა ხელმძღვანელებთან ერთად პოზიტიური როლი უნდა ითამაშონ სახელმწიფოს მარეგულირებელმა საკანონმდებლო ორგანოებმა. მცირე ფირმების სამართლებრივი მხარდაჭერისა და გაკოტრების შესახებ კანონმდებლობის საზღვარგარეთული გამოცდილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ასეთი მიდგომების სასწრაფო განვითარება აუცილებელია საქართველოში. ამ ტენდენციის განმტკიცებისათვის აუცილებელია საქართველოს სამეწარმეო პოლიტიკის ფარგლებში აქტიური მეცნიერულ-ტექნიკური და ინოვაციური პოლიტიკის შემუშავება, საწარმოების საქმიანობის მონიტორინგის ჩატარება, ტექნიკურ-ეკონომიკური და ფინანსური ანალიზი და ამის საფუძველზე განვითარების გრძელვადიანი გეგმების ფორმირება. მნიშვნელოვანია როგორც საწარმოებს შორის, ასევე საწარმოების მეცნიერულ ორგანიზაციებთან ინტეგრაცია. აუცილებელია არსებული სიმძლავრეების გამოყენება, რომლებიც ადაპტირებულია ბაზრის თანამედროვე პირობებთან. ტექნოლოგიური ბაზის გაფართოება უნდა მოხდეს მეცნიერული ტექნოლოგიების ხარჯზე, რომლებიც მნიშვნელოვან კაპიტალურ დაბანდებს არ მოითხოვენ. საქართველოს სამეწარმეო პოლიტიკის ცენტრალური ამოცანა, რომლის გადაწყვეტაც უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას, უნდა გახდეს იმ წარმოებების მხარდაჭერა, რომელთაც შეუძლიათ საბაზრო მოთხოვნის გასაჯერებლად მაღალეფექტიანი პროდუქტები გამოუშვან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ე. ბარათაშვილი – „საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის თანამედროვე გამოწვევები“, გამ. „უნივერსალი“, თბ. 2012წ. გვ.122-127.
2. В. Д. Дорофеев, Левин Д. В - Антикризисное управление Пенза. 2006г ст. 174.
3. Юданов А. Ю. Конкуренция, теория и практика. Учебно-практическое пособие. М 2001.
4. Mall, John R. In The Jews of a Crisis//Directors & Boards, Summer 1991 pg. 99.

**ПРЕДПРИНИМАТЕЛЬСКАЯ ПОЛИТИКА ГРУЗИИ В АСПЕКТЕ
АНТИКРИЗИСНОГО УПРАВЛЕНИЯ ПРЕДПРИЯТИЙ И ПОВЫШЕНИЯ
КОНКУРЕНТОСПОСОБНОСТИ ПРОДУКЦИИ**

И. Гигаури, Т. Киладзе

Резюме

Устойчивое экономическое развитие национального предпринимательства на мировом рынке возможно только за счет повышения уровня его конкурентоспособности. Где ведущая роль принадлежит государству, правительство, бизнес и общество являются тремя сторонами, согласованные действия которых позволят нам преодолеть или свести к минимуму негативные последствия кризиса. Важнейший путь для достижения конкурентного преимущества предпринимательских структур – непрерывная модернизация производства и других видов предпринимательской деятельности. В частности, основной движущей силой экономического развития является инновационного процесса, создание новых видов продукции. Предпринимательская политика гибкой специализации способствует созданию предпринимательских кластеров, развитию сети «покупатель-поставщик», разработке программ передачи технологии, созданию венчурных инновационные программ.


**BUSINESS POLICY OF GEORGIA IN ASPECTS OF ENTERPRISE ANTI-
CRISIS MANAGEMENT AND PRODUCTION COMPETITIVENESS**

I. Gigauri, T. Kiladze

Summary

Sustainable economic development of the national entrepreneurship for world market is possible only by raising the level of competitiveness. Where the leading role belongs to the state, the government, business and society are the three areas, whose coordinated action gives the possibility to overcome or minimize the negative consequences of the crisis. Important way to achieve competitive advantage of industrial structures is the continuous modernization of production and other business activities. In particular, the main driving force of economic development is the innovative process, creating new types of products. The business policy of flexible specialization contributes to the creation of business clusters, development of network “buyer-supplier”, development of technology transfer programs, creation of a venture innovative programs.

GTU
Transport and Mechanical
Engineering Department
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№2 (33)  2015
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

უპკ 629.113.

**ეკოკა-კავკასია-აზიის სამართაშორისო სატრანსპორტო
დერეფნის („ტრასეკა“) ეკოლოგიური უსაფრთხოების
პრობლემების ლოგისტიკური ანალიზი**

რ. თედორაძე, გ. სისვაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. მ. კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,
საქართველო)


რეზიუმე: ჰაერი ადამიანისათვის უმთავრესი სასიცოცხლო რესურსია. გარემოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამაბინძურებელია ავტოტრანსპორტი. ამიტომ ნაშრომში ეკოლოგიის პრობლემებში ძირითადად განვიხილავთ, საავტომობილო ტრანსპორტის მიერ ატმოსფერული ჰაერის ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების პრობლემებს. ატმოსფეროს დაბინძურება ისეთი ნივთიერებებისაგან, როგორცაა: ნახშირბადის, აზოტისა და გოგირდის ოქსიდები, ჭვარტლი, ორგანული ნივთიერებების მყარი ნაწილაკების დასაშვებზე მაღალი კონცენტრაციები, მავნე ზემოქმედებს არამართო ადამიანის ჯანმრთელობაზე, არამედ საერთოდ ბუნებასა და მატერიალურ ფასეულობებზე.

საკვანძო სიტყვები: ეკოლოგია, ლოგისტიკური ასპექტი, ატმოსფერული ჰაერი, ტოქსიკური ნივთიერებები, გლობალური დათბობა, ტრანსპორტი, ენერგეტიკა, ინდუსტრია, მწვანე ლოგისტიკა, ინფრასტრუქტურა, ექსპლუატაცია, რეგულაციები, ტრასეკა, გამონაბოლქვი აირები, საავტომობილო ტრანსპორტი, ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედება.

შეჯამება



ყველაზე დიდი ოდენობით ზემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებიდან ატმოსფეროში გამოიყოფა ნახშირჟანგი (CO), რომელსაც მომწამლავ გაზსაც უწოდებენ. გარდა იმისა, რომ ეს გაზი მომწამლელია ადამიანისათვის, ბოლო პერიოდის გამოკვლევება აჩვენა, რომ ის და მის მიერ

წარმოქმნილი ფოტოქიმიური სმოგი დიდ გავლენას ახდენს დედამიწის ატმოსფეროს გლობალურ დათბობაზე, ე.წ. დედამიწის სათბურის ეფექტის წარმოქმნაზე. კლიმატის დათბობის პროცესი გახდა კაცობრიობის ძირითადი პრობლემა. გამოკვლევები აჩვენებს [OECD [2], რომ თუ კაცობრიობის მეორე ათასწლეულში XIX საუკუნის ბოლომდე შეიმჩნეოდა ატმოსფეროს გლობალური ტემპერატურის შემცირება $0,25^{\circ}\text{C}$ -ით, XX-საუკუნის დასაწყისიდან მსოფლიო ინდუსტრიალიზაციის და ტრანსპორტის ინტენსიური განვითარებით ატმოსფეროში გამოყოფილი ნამწვი აირების კონცენტრაციის გაზრდამ გამოიწვია ატმოსფეროს წლიური საშუალო ტემპერატურის გლობალური ამაღლება $0,5$ -დან 1°C -დე, რაც თვალნათლივ ჩანს ნახაზზე 1 გამოსახულ დიაგრამაზე [3].




ნახაზი 1. გარემოს ატმოსფეროს საშუალო წლიური ტემპერატურის ცვლილება, დედამიწის გრძედისა და განედის მიხედვით

ნახაზზე 2ა ,ბ,გ, ნაჩვენებია ევროკავშირის ქვეყნებში, აშშ-ში და საქართველოში ატმოსფეროში გამოყოფილი CO₂-ს საერთო რაოდენობიდან ავტოტრანსპორტზე მოსული წილი %-ში.



ნახ.2 ა, ბ.

როგორც ვხედავთ, საქართველოში საავტომობილო ტრანსპორტი გარემოს დომინირებული დამაბინძურებელი წყაროა. წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის მიერ ატმოსფეროში გამოყოფილი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურების საკითხი ტრასეკას ს-01-დან ს-05-მდე (საქართველო) საგზაო მონაკვეთზე. ტრასეკას ამ მონაკვეთზე საავტომობილო სატრანსპორტო ნაკადის პარამეტრების კვლევისათვის მსოფლიო ბანკის ეგიდით დაყენებული იქნა Icoms Software ის აპარატურა, რომელიც არეგისტრირებდა გზაზე მოძრავი ავტომობილების რაოდენობას ტიპის მიხედვით (იხილეთ რუკა ნახ. 3 [4]).



ნახ. 3

განხილული გზის მონაკვეთებზე ავტობუსების, სატვირთო ავტომობილების და ტრაილერების ჯამური რაოდენობა წლების მიხედვით მოცემულია ნახაზზე 1. .

გზის საკვლევ მონაკვეთზე ძრავის გამონაბოლქვ აირებში ნახშირჟანგის –CO-ს კონცენტრაციის განსაზღვრა მოვახდინეთ CO-ს კუთრი შემცველობის გამოსაანგარიშებელი ფორმულით [5].

$$q_{CO} = \frac{2.78 * Q_O * C_{CO} * P_{CO}}{V_a} \text{ გრ/კმ}$$

სადაც q_{CO} – CO-ს შემცველობაა გამონაბოლქვ აირებში, გრ/კმ; Q_O – გამონაბოლქვი აირების მოცულობითი რაოდენობა, მ³; C_{CO} - გამონაბოლქვ აირებში CO-ს კონცენტრაცია %-ში; P_{CO} - ნახშირჟანგის სიმკვრივეა და ნორმალურ პირობებში უდრის 1.25 კგ/მ³; V_a - ავტომობილის მოძრაობის სიჩქარეა კმ/სთ.

ძრავიდან გამოყოფილი აირების მოცულობითი რაოდენობა გაიანგარიშება ფორმულით:

$$Q_g = B * V_h * n_e * n_v \quad \text{მ}^3$$

სადაც, V_h - ძრავის ლიტრაჟია, ლ; n_v - ძრავას ცილინდრების შევსების კოეფიციენტი; n_e - მუხლა ლილვის ბრუნვის სიხშირე, ბრ/წთ; B -ემპირიული კოეფიციენტია და ღიზელის ძრავებისათვის $B = 0.004$.

ძრავიდან გამონაბოლქვ აირებში CO-ს კონცენტრაცია დამყარებულ რეჟიმებზე მუშაობისას გამოითვლება ფორმულით:

$$C_{CO} = 1 + 12.9 * (1 - \alpha_T) + 48.3 * (1 - \alpha_T)^2$$


სადაც, α_T -საწვავ ნარევეში ჰაერის სიჭარბის კოეფიციენტია.

ცხრილ 1-ში მოცემული გვაქვს გამონაბოლქვ აირებში NO_x, CH, C, CO- ჯამური წონითი რაოდენობები წლების მიხედვით.

წლები	CH	NOx	C	CO	ჯამი	გამონაბოლქვი ფთო- წთელი ხიდი გრამში
2009	262490	1465571	43748	2187420		
2010	307170	1715031	51195	2559747		
2011	354797	1980950	59133	2956641		
2012	382016	2132920	63669	3183463		
2013	515383	2877554	85897	4294857	3478834	18660962

ცხრილებში 1-ში მოყვანილი მონაცემებში გათვალისწინებულია ავტომობილების ძრავას მუშაობის რეჟიმების მაჩვენებელი, ე.წ. ძრავას შევსების კოეფიციენტის (n_v) მნიშვნელობები

მოძრაობის საგზაო პირობების მიხედვით ამ მონაცემებით აგებული გარფიკები მოცემულია ნახაზებზე 4, 5 და 6.



როგორც ვხედავთ საქართველოს მაგისტრალულ გზაზე მომწამლავი აირების რაოდენობა მაღალია, როგორც წონით ასევე მოცულობით ერთეულებში.

განვითარებულ ქვეყნებში ითვლიან ავტოტრანსპორტით ატმოსფეროს დაბინძურებით ადამიანის ჯამრთელობასა და გარემოს დაზიანებით გამოწვეულ ეკონომიკურ ზარალს. მაგ: ავსტრიაში ამ პრობლემით გამოწვეულმა ეკონომიკურმა ზარალმა 2010 წლისთვის შეადგენა დაახლოებით 3 მილიარდი ევრო, ხოლო საფრანგეთში 21,6 მილიარდი ევრო; დაახლოებით ჩვენი სიდიდის ქვეყანაში, შეიცარიაში ამ ზარალმა შეადგინა 2,2 მილიარდი ევრო , და ეს მაშინ, როცა ეს ქვეყნები დიდ ყურადღებას აქცევენ ეკოლოგიის პრობლემებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში ავტოტრანსპორტით ატმოსფეროს დაბინძურებით მიყენებული ეკონომიკური ზარალი ასეული მილიონობით ლარს გაუტოლდება. საჭიროა ამ პრობლემის მუდმივი მონიტორინგი შესაბამისი ანალიზით და ატმოსფეროს დაბინძურების შემცირების ღონისძიების შემუშავებით.

ჩატარებული კვლევების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ავტოტრანსპორტიდან ატმოსფეროში გამოყოფილი მავნე ნივთიერებების რაოდენობის შემცირების ამოცანის გადაწყვეტის ძირითად გზებია:

1. კონსტრუქციულად სრულყოფილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენება,
2. მაღალი ხარისხის და ალტერნატიული საწვავების გამოყენება,
3. ელექტრომობილებსა და ჰიბრიდული ძრავიანი ავტომობილების ფართო გამოყენება,
4. ავტოტრანსპორტის საექსპლუატაციო მომსახურების და საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სრულყოფა,
5. სატრანსპორტო პროცესების ოპტიმიზაცია ლოგისტიკური სისტემების გამოყენებით (ინტერმოდალური და კონბინირებული გადაზიდვების დანერგვით).

ზემოთ ჩამოთვლილი პირველი – მეოთხე ღონისძიებები შეიძლება განხორციელდეს ტექნიკურ-ორგანიზაციული რეგულირების საკანონმდებლო ბაზის იმპლემენტაციით. რაც შეეხება

სატრანსპორტო პროცესების ოპტიმიზაციას ლოგისტიკური სისტემების გამოყენებით (ინტერმოდალური და კონბინირებული გადაზიდვების დანერგვით), ეს პრობლემა დღეისათვის მთელ მსოფლიოში ყველაზე აქტუალურია, საქართველოში მისი დანერგვა საწყის სტადიაშია და მოითხოვს შესაბამისი პროექტების შემუშავებას და განხორციელებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Health costs due to Road Traffic-related Air pollution OMS/swiss ETEC/ Austraiin MOE 1999
2. Quelle Handlay Center for climet prediction and research
3. ჰერბეთ ზონტაგი., „სატრანსპორტო ლოგისტიკა“ რეგიონალური ტრენინგი ქ. თბილისი 2013წ.
4. ოფიციალური წერილის საფუძველზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მოწოდებული მონაცემები გზებზე ავტომობილების ინტენსივობების შესახებ.
5. ავტომობილის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლება მისი კუთრი სიმძლავრისა და ტრანსმისის პარამეტრების ოპტიმიზაციის გზით **რ. თედორაძე**, სადოქტორო დისერტაცია მინსკი 1990წ.

ЛОГИСТИЧЕСКИЙ АНАЛИЗ ЭКОЛОГИЧЕСКИЙ БЕЗАПАСНОСТИ ТРАНСПОРТНОГО КОРИДОРА ЕВРОПА-КАВКАЗ, -АЗИЯ (TRACECA)

Р. Тедорадзе, Г. Сисвадзе

Резюме

В статье анализируются показатели грузооборота на Грузинском участке коридора «TRACECA». Дается логистический анализ грузооборота и сделан прогноз закономерности его роста до 2020 года. Проведены исследования уровня загрязнения атмосферы на этом участке коридора «TRACECA» вредными веществами от выхлопных газов автомобильного транспорта и возникшие при этом экологические проблемы. Даются рекомендации для улучшения экологий коридора.


LOGISTICAL ANALYSIS OF ECOLOGICAL SAFETY PROBLEMS OF EUROPE-CAUCASUS-ASIA CORRIDOR (TRACECA)

R. Tedoradze, G. Sisvadze

Summary

The article analysis highlights of turnover on the section of the “TRACECA”, given the logistic analysis of the volatility of freight and is made the legality of its growth forecast for 2020. IN this article is researched the pollution level of ambient air for human health with harmful substances on the corridor of “TRACECA” by the road transport and caused environmental problems.

GTU
Transport and Mechanical
Engineering Department
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№2 (33)  2015
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

უპკ 339;626.9

კორპორატიული ფინანსური მენეჯმენტის პრობლემები

ნ. ინასარიძე, რ. თეთვაძე, დ. შანიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ., №77, 0175, თბილისი,
საქართველო)

რეზიუმე: კრედიტის უმთავრესი უპირატესობა არის სისწრაფე. კრედიტზე მოთხოვნის განხილვას ბანკები უფრო მცირე დროს ანდომებენ, ვიდრე ფასიანი ქაღალდების გამოშვებისათვის ორგანიზებისთვისაა საჭირო. ბანკს კომპანია წარუდგენს უფრო მეტ ინფორმაციას ვიდრე არის ბაზარზე, თავის მხრივ ბანკი კრედიტის გამოყოფაზე იღებს გადაწყვეტილებას იმ შემთხვევაში, როდესაც დარწმუნებულია კომპანიის გადახდისუნარიანობაში, რაც ბაზრისთვის გარკვეულ დადებით სიგნალს წარმოადგენს კომპანიის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე კომპანია კონკრეტულ მომენტში, თავისი ინტერესების გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას დაფინანსების რომელ წყაროს მიმართოს.

საკვანძო სიტყვები: ფინანსები, კორპორატიული ფინანსები, ეკონომიკა, მენეჯმენტი, მიკროეკონომიკა.

შესავალი

კორპორატიული ფინანსირება მოიცავს საბრუნავი კაპიტალის ფინანსირებას და მოქმედი ბიზნესის კაპიტალურ დანახარჯებს, ასევე პროექტის დაფინანსებას საერთო კორპორატიული რისკით. მთავარი განსხვავება კორპორატიულ და პროექტულ ფინანსირებას შორის მდგომარეობს იმაში რომ, საწარმოში უკვე თავმოყრილია და მოძრაობს ფულადი ნაკადები და დაფინანსება ხდება უკვე მოქმედი საწარმოს რისკის ხარჯზე.

კორპორატიული ფინანსირების მიმართულებებია: სავაჭრო ფინანსირება, საინვესტიციო დაკრედიტირება და სინდიკაცია.

კორპორატიულ ფინანსირებაში გამოიყენება სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტები: საბრუნავი და საინვესტიციო დაკრედიტირება, სავაჭრო ფინანსირება, სინდიკაცია, ობლიგაციები და სხვა.

ძირითადი ნაწილი

საინვესტიციო კრედიტი არის გრძელვადიანი პროექტების დაფინანსების ერთ-ერთი საშუალება ძირითადი საშუალებების შესაძენად ან განახლებისთვის, ტექნოლოგიური ხაზების მოდერნიზაციისთვის ან რეკონსტრუქციისთვის. პროექტი რომლისთვისაც ხდება საინვესტიციო კრედიტის გამოთხოვა, შესაძლებელია არ იყოს საკმარისად მიმზიდველი ფინანსური თვალსაზრისით (ფინანსური ობიექტები შესაძლოა არ იყოს მომგებიანი) ანდა პროექტის ფარგლებში ფინანსური შემოდინებები შესაძლებელია არ იყოს საკმარისი აღნიშნული კრედიტის დასაფარად. ამიტომაც პროექტული დაფინანსებისგან განსხვავებით (სადაც კრედიტის დაბრუნება ხდება იმ შემოსავლებიდან, რომლებიც წარმოიშობება თვით ამ პროექტიდან გამომდინარე), საინვესტიციო კრედიტის მოზიდვისას კრედიტის დაფარვის წყაროს წარმოადგენს მთლიანი ბიზნესი. [1]

საინვესტიციო კრედიტი საშუალებას აძლევს მსესხებელს განახორციელოს ახალი პროექტები, მაგალითად ექსპლუატაციაში შეაყვანოს ახალი დანადგარი ან შეცვალოს არსებული საწარმოო მოწყობილობები უფრო თანამედროვე და ეფექტურით.

კრედიტი ხშირად გამოიყენება საბრუნავი საშუალებების შესავსებად. ნებისმიერ ბიზნესს გააჩნია ფულის ბრუნვის თავისი ციკლი. წარმოებაში ფულის დაბანდება ხდება ნედლეულის საყიდლად, ნედლეული გადამუშავდება და გარდაიქმნება პროდუქციად, პროდუქცია იყიდება და რეალიზაციის შედეგად საწარმო იღებს ისევ ფულს. ვაჭრობაში ფულით ხდება საქონლის შექმნა, რომელიც შემდგომ იყიდება და ისევ ფული ბრუნდება. ეს საშუალებები არის მუდმივად განახლებადი კაპიტალი. საბრუნავ საშუალებებში შესაძლოა შედიოდეს ნედლეული, მასალები, საქონელი, მზა პროდუქცია, დებიტორული დავალიანება და ყველა ფულადი საშუალებები და მათი ექვივალენტი. ნედლეულში, მასალებში ან პროდუქციაში ფულის ჩადებიდან, მყიდველისგან ფულის მიღებამდე პერიოდი არის საწარმოო ან ოპერაციული ციკლი.

ყოველ ოპერაციულ ციკლს მოაქვს დამატებითი ღირებულება. რაც უფრო დიდია საბრუნავი კაპიტალის მოცულობა, მით მეტია დამატებითი ღირებულება. ამიტომაც პირველ რიგში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბრუნავი კაპიტალის გაზრდას, რაც თავის მხრივ არის შემოსავლის გაზრდის საშუალება. საბრუნავი კაპიტალი შესაძლებელია იზრდებოდეს მიღებული მოგების რეინვესტირების ხარჯზე. მაგრამ იმ შემთხვევაში თუ საკუთარი სახსრები არ არის საკმარისი ან კომპანიას ესაჭიროება უფრო სწრაფი ზრდა - ხდება საკრედიტო სახსრების მოზიდვა. [2]

პრაქტიკაში ეს პროცესი შემდეგნაირად მიმდინარეობს: კომპანიის მიერ ხდება კრედიტის მოზიდვა, რისი საშუალებითაც ყიდულობს ნედლეულს ან პროდუქციას. შემდგომ ამ ნედლეულს ჩაუშვებს წარმოებაში, მიიღებს მზა პროდუქციას, მოახდენს პროდუქციის რეალიზებას ისეთი ფასით, რომ მიიღოს მოგება და დაფარავს პროცენტებს და კრედიტის ძირითად თანხას კრედიტორების მიმართ. ბრუნვიდან დარჩენილ შემოსავალს გამოაკლდება კრედიტზე გადახდილი თანხა და დანარჩენი შემოსავალი დარჩება მსესხებელთან. ასე შესაძლებელია განმეორდეს მრავალჯერ, ამიტომაც აღნიშნულ კრედიტი არის საბრუნავი კრედიტი.

ამიტომაც საბრუნავი დაფინანსება წარმოდგენილია განახლებადი სესხის სახით. ჩვეულებისამებრ იხსნება საკრედიტო ხაზი ერთი-ორი წლის ვადით, რამოდენიმე საწარმოო ციკლის დაფინანსების შესაძლებლობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე საბრუნავი ფინანსირება არის სპეციფიკური და განსაზღვრულია კონკრეტული მიზნებისთვის და არ წარმოადგენს იმ ინსტრუმენტს, რომლითაც მოხდებოდა ყველა სხვა შემთხვევაში არასაკმარისი ფულის პრობლემის გადაწყვეტა.

ხშირ შემთხვევაში კორპორაცია წარმოადგენს სავაჭრო ორგანიზაციას ან მსხვილ სამეწარმეო ფირმას თავისი სავაჭრო ქსელით. არსებობს ბიზნესის ისეთი სახეები, რომლებშიც მიმდინარე სავაჭრო ოპერაციების რაოდენობა მცირეა, ხოლო თანხების მოცულობა ყოველ ასეთ ოპერაციაზე მნიშვნელოვნად დიდია, რაც შეეხება ვალდებულებების შესრულების ვადებს შესაძლებელია მოიცავდეს რამოდენიმე თვეს. ასეთ საქმიანობას მიეკუთვნება, მაგალითად, მოწყობილობების რეალიზაცია, სავაჭრო ოპერაციები ნედლეულის და მასალების დიდი რაოდენობით მიწოდება ან შესყიდვა. თუ კომპანია ითვალისწინებს ასეთი გარიგების ყველა ასპექტს, ყველა თანაბარ პირობაში ოპერაციის ეფექტურობა დამოკიდებული იქნება გარიგების დაფინანსების წყაროებზე და პირობებზე (პირადი ფინანსები ან სესხები), ასევე რისკების რეგულირების მეთოდებზე (დაზღვევა, ავანსირება, სავაჭრო დაკრედიტირება და სხვ.) ასეთი პირობები მჭიდროდაა დაკავშირებული არსებული კომპანიის ბიზნესთან ან მის ფინანსურ ციკლთან. კრედიტების წარმატებული გამოყენება სავაჭრო ოპერაციებში, არსებულად ზრდის შემოსავლებს პირად კაპიტალში, რომელიც მონაწილეობს ბრუნვაში. [3]

კორპორატიული ფინანსები შეიძლება ითქვას რომ არის ინვესტორებისთვის მომავალი ფულადი ნაკადების წინასწარ მიყიდვა, რომელიც მატერიალიზებულია კონკრეტულ მომენტში ფასიანი ქაღალდებით.

კორპორაციას სჭირდება კორპორატიული დაფინანსება კონკრეტული ფინანსური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რომელთაგან მთავარია კომპანიის საქმიანობის დაფინანსება. რომელიც იყოფა საინვესტიციო და საოპერაციო საქმიანობად. კომპანიას ესაჭიროება

დააფინანსოს თავისი ძირითადი საშუალებები და საბრუნავი კაპიტალი. კორპორატიული დაფინანსების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საბრუნავი კაპიტალი ფინანსირდება მოკლევადიანი კრედიტებით, ხოლო საინვესტიციო პროექტები გძელვადიანი სახსრებიდან მათ შორის აქციებით და ობლიგაციებით. ფასიანი ქაღალდების გამოყენებით კორპორატიული დაფინანსება გამოიყენება არა მარტო ინვესტიციის დაფინანსებისას კომპანიის გაფართოებისთვის, არამედ სხვა ტიპის პროექტებისათვის რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ გრძელვადიან პერიოდში კომპანიის ღირებულებაში. ვალის დაფარვის გარიგებები შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ფულით, ასევე აქციებით ან შერეული ფორმით. უფრო ხშირად აქციებით დაფარვის გარიგებები ხდება იმ დროს როდესაც აქციების ფასი მაღალია ინვესტორების შეფასებით. აქციების გამოშვება კომპანიას ეხმარება განხორციელოს ისეთი პროექტები როგორცაა, კომპანიების შერწყმა და გაერთიანება. ასეთი გარიგებები ევროპის ქვეყნებში პოპულარული იყო 2008 წლის კრიზისამდე - გარიგებების თანხამ შეადგინა 140 მილიარდი დოლარი. კრიზისის შემდეგ არნიშნული გარიგებები შემცირდა. ასეთ გარიგებებში გარე ფინანსური ინვესტორი, ხანდახან მენეჯმენტიც, გამოუშვებს აქციებს, ხდება მესაკუთრე, იყენებს რა გამოსაშვებად საჭირო საშუალებებს. გრძელვადიანი ინსტრუმენტების გამოშვების ხარჯზე. ასეთი გარიგებების მოტივაცია მდგომარეობს შემდეგში: მენეჯმენტს უწევს გახდეს უფრო ეფექტური, ხოლო მაღალი მოტივაცია იწვევს მენეჯმენტის და აქციონერების ინტერესების თანხვედრას.

კორპორატიული დაფინანსება ფასიანი ქაღალდების გამოყენებით, ასევე იწვევს ირიბ უპირატესობას კომპანიისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში. ფასიანი ქაღალდებით ინვესტირების მოტივად შეიძლება იქცეს ფინანსური მდგომარეობის გამყარება, რეკლამა, ისტორიის შექმნა, გამჭირვალობის ამაღლება, ეფექტურობის ამაღლება კორპორატიული მართვის ხარჯზე, მაღალკვალიფიციური თანამშრომლების შენარჩუნება და სხვ.

კორპორაციული დაფინანსების წყარო შეიძლება დაიყოს შიდა (გაუნაწილებელი წმინდა მოგების რეინვესტირება) და გარე წყაროებად.

ყველა კომპანია თვითონ განსაზღვრავს წმინდა მოგების რა ნაწილი გაანაწილოს დივიდენდების სახით და რა ნაწილით მოახდინოს რეინვესტირება ბიზნესში. მოგება არის პირველი წყარო რომელსაც მენეჯმენტი მიმართავს კომპანიის ფინანსური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. საკუთარი სახსრების რეინვესტირება მისაღებია როგორც აქციონერებისთვის და კრედიტორებისთვის ასევე მენეჯერებისთვისაც. მენეჯერებისთვის რეინვესტირება ნიშნავს უფრო თავისუფალი მოქმედების საშუალების მიღებას, ამცირებს დამოკიდებულებას ფინანსირების გარე წყაროებზე. კრედიტორებისთვის რეინვესტირება ამცირებს კრედიტის არ დაბრუნების რისკს.

მაგრამ ფულადი სახსრების რეინვესტირებას გააჩნია უარყოფითი მხარეც, არის საშიშროება რომ დაბანდებული თანხები შესაძლებელია აღმოჩნდეს არაეფექტური.³

დასკვნა

კრედიტი კორპორაციული განვითარების აუცილებელი ინსტრუმენტია. აკრედიტების ფორმის და კრედიტორის შერჩევაზე, კრედიტის ფასზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ფირმის ეფექტიანობა. გარდა ამისა ის იძლევა საშუალებას თავიდან აიცილოს სხვადასხვა შეზღუდვები შემდგომ ფინანსურ, საინვესტიციო და საოპერაციო საქმიანობაში. ასევე ის ეხმარება კომპანიას გამოიმუშავოს რეპუტაცია ბაზარზე და მართოს ვალი ობლიგაციების გამოშვებით. იმისათვის რომ მიღებულ იქნას მთავარი სარგებელი - ფინანსირების ღირებულების შემცირება - საჭიროა, გამოშვებულ ფასიან ქაღალდებს გააჩნდეთ საკმარისი ლიკვიდურობა, რაც შესაძლებელია მიღწეული იქნას იმ შემთხვევაში თუ მოხდება დიდი მოცულობის გამოშვება. უმეტეს შემთხვევაში ფასიანი ქაღალდების გამოშვება ეფექტურია შედარებით დიდი კომპანიებისთვის. აღსანიშნავია, რომ ფასიანი ქაღალდებით დაფინანსება მოითხოვს ინფორმაციის დიდი ოდენობით გაცემას, ვიდრე ამას ითხოვენ ბანკები.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) Corporate Finance: Theory and Practice Quiry P., Dallochio M., Le Fur Y., Salvi A. –John Wiley & Sons Ltd. – 2009.– 1036 c. – ISBN 978-0-470-72192-6., გვ.1-8.
- 2) Corporate Finance: Theory and Practice Quiry P., Dallochio M., Le Fur Y., Salvi A. –John Wiley & Sons Ltd. – 2009.– 1036 c. – ISBN 978-0-470-72192-6., გვ. 87-79.
- 3) Scholes L.Wright M. Leveraged Buyouts and Recession [ელექტრონული რესურსი]: <http://www.qfinance.com/mergers-and-acquisitions-best-practice/leveraged-buyouts-andrecession?full>.
- 4) Roadmap for an IPO: a guide to going public. – PriceWaterhouseCoopers. – 2010 [ელექტრონული რესურსი]: <http://www.pwc.com/us/en/transaction-services/publications/roadmap-foran-ipo-a-guide-to-going-public-download.jhtml>., გვ. 5 1.2. კორპორატიული დაფინანსების გარე და შიდა წყაროები.
- 5) Брейли Р., Майерс С. Принципы корпоративных финансов /Р.Брейли С. Майерс – М., ЗАО «Олимп—Бизнес».- 2010. - 1008с.- ISBN 978-5-9693-0089-7., გვ.351.

6) Corporate Finance: Theory and Practice Quiry P., Dallochio M., Le Fur Y., Salvi A. –John Wiley & Sons Ltd. – 2009.– 1036 с. – ISBN 978-0-470-72192-6., გვ. 775 12.

7) Берзон Н. Выбор долговых источников финансирования компании: банковский кредит или облигационный заем /Н Берзон// Корпоративный финансовый менеджмент. - №2, 2006 г. – С. 13-21.

8) Corporate Finance: Theory and Practice Quiry P., Dallochio M., Le Fur Y., Salvi A. –John Wiley & Sons Ltd. – 2009.– 1036 с. – ISBN 978-0-470-72192-6., გვ. 509.

PROBLEMS OF CORPORATE FINANCIAL MANAGEMENT

N. Inasaridze, R. Tetvadze, D. Shanidze

Summary

The main privilege of the loan is rapidity. It is much more time consuming applying for a loan, than all the required organizational work for issuing obligations. On the one hand, the company, which is applying for the loan is obligated to give to the bank information, which is unknown for the market. But on the other hand, when the company receives the loan, the bank is sure that the company will be able to pay the debts, which means for the market the company has a good reputation. Therefore the company has to decide, which way of the financing should the company choose for the particular moment.


ПРОБЛЕМЫ УПРАВЛЕНИЯ КОРПОРАТИВНЫМИ ФИНАНСАМИ

Н. Инасаридзе, Р. Тетвадзе, Д. Шанидзе

Резюме

Важнейшим преимуществом кредитования является скорость, рассмотрение кредитной заявки в банке происходит сравнительно быстро, чем организация размещения ценных бумаг. Привлечение средств в банке показывает рынку, что банк, получивший при рассмотрении кредитной заявки доступ к большому объему информации, чем компания раскрывает на рынке, уверен в платежеспособности компании, что является положительным сигналом, посылаемым компаний на рынок. Таким образом, компания конкретны в момент, учитывая своих интересов, сама принимает решение в предпочтений инвесторов при выборе между кредитованием и долговым финансированием с использованием ценных бумаг.

GTU
Transport and Mechanical
Engineering Department
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№2 (33)  2015
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

УДК 621.337.2.072.2:681.586.6

**СТАТИЧЕСКИЙ ПРЕОБРАЗОВАТЕЛЬ НА ТРАНЗИСТОРАХ
IGBT ДЛЯ ПИТАНИЯ ОБМОТОК ВОЗБУЖДЕНИЯ
ТЯГОВЫХ ДВИГАТЕЛЕЙ ЭЛЕКТРОВЗОВ
ПОСТОЯННОГО ТОКА В РЕКУПЕРАТИВНОМ
РЕЖИМЕ**

**С. Карипидис, Дж. Саникидзе, Ю. Схиртладзе, Г. Маргвелашвили
(Грузинский технический университет, ул. М. Костава №77,
Тбилиси, Грузия)**

Резюме: В статье отмечены крупные недостатки существующих до настоящего времени схем рекуперации электровозов постоянного тока ВЛ10 и ВЛ11, где обмотки возбуждения тяговых двигателей питаются от вращающегося преобразователя. Описаны схемы статических преобразователей с использованием обыкновенных тиристоров и некоторые схемы с применением транзисторов IGBT. Отмечено, что замена вращающихся преобразователей на статические значительно упростит схему перехода электровоза с моторного режима в рекуперативный. В статье предложена схема быстродействующего статического преобразователя, также заменяющего вращающийся преобразователь, который по всем своим основным параметрам превосходит все существующие до настоящего времени преобразователи.

Ключевые слова: тиристор, транзистор, выпрямитель, трансформатор, инвертор, возбудитель и т.п.

Длительный опыт эксплуатации электровозов постоянного тока ВЛ10 и ВЛ11 типов с вращающимися преобразователями для питания обмоток возбуждения тяговых двигателей в

рекуперативном режиме показал много отрицательных моментов, основные из которых следующие:

- нежелательные мягкие характеристики в зоне высоких скоростей, не позволяющих реализовать высокие значения силы торможения;
- недостаточная точность выравнивания токов параллельных ветвей;
- сложная схема перехода с моторного режима в рекуперативный;
- большая инерционность, не позволяющая отрабатывать переходные процессы во время скачков напряжения в режиме рекуперации;
- большие эксплуатационные расходы;
- большой вес и габариты;
- недостаточная мощность, которая не позволяет осуществление форсировки напряжения, необходимой для отработки переходных процессов.

Главный недостаток то, что этот преобразователь содержит лишь один источник низкого постоянного напряжения в виде генератора постоянного тока; по этой причине в реальной схеме рекуперации при питании обмоток возбуждения четырех тяговых двигателей для выравнивания токов параллельных ветвей приходится сооружать сложную, так называемую схему «циклической стабилизации», обладающей также многими недостатками.

Для сравнения на рис. 1, а и б приведены схемы моторного и рекуперативного режимов.

Как это ясно из сравнения схем, в моторном режиме (рис. 1, а) обмотки возбуждения тяговых двигателей находятся в постоянном последовательном соединении со своими якорными цепями, в рекуперативном режиме (рис. 1, б) они отделяются от них и соединяются по специальной, так называемой «циклической схеме», что значительно осложняет процесс перехода с моторного режима в рекуперативный. Все это в условиях эксплуатации значительно снижает надежность подобной системы. В связи с этим обстоятельством специалисты вынуждены были разработать специальный преобразователь, позволяющий иметь столько низковольтных источников питания, сколько пар обмоток возбуждения. Это стало возможным с использованием статических преобразователей. Простейшая схема такого статического преобразователя для электровозов ВЛ10, ВЛ11 приведена на рис. 2. Эта схема в 70-ые годы прошлого столетия была разработана и внедрена на электровозах ВЛ10, ВЛ11 и ВЛ15 одним из авторов этой статьи [1].

Подобный преобразователь без существенных изменений конструкции может позволить получать любое количество изолированных источников низкого напряжения для питания пар обмоток возбуждения тяговых двигателей. В эксплуатации он работает





Рис. 1. Силовые схемы одной секции электровозов ВЛ10, ВЛ11 в режиме тяги а) и рекуперативного торможения б)



რის. 2. სხემა სტატიკური პრეობრავატორის ნა ობიკნოვნიხ თირისტორიხ დიხ პიტანიი ობოტოკი ვოზბუჟდენიი ტიეოვიხ დვიეტელეი ელექტროვოვოვ ვ.ღ-10, ვ.ღ-11 რეკუპერატივიხ რეჟიხე.

надежно и не требует специальной наладки для каких-либо узлов. Его недостатком является большой вес и габариты, обусловленные в основном конденсаторами и трансформаторами. Для тогдашнего уровня фильтровых конденсаторов типа ФСТ, коммутирующих конденсаторов РСТ и тиристоров ТЛ-150-8, диодов ВЛ-200-8 (по 8 шт. последовательно соединенных) общий вес преобразователя мощностью 75 кВт составлял 1100 кг против 1900 кг вращающегося ПБ-436Б мощностью 37 кВт.

В настоящее время при использовании в качестве фильтровых немецких конденсаторов типа В25353 $C_{\phi} = 320$ мкф, $U_{\max} = 3500$ В, вес 15 кг, коммутирующих В25855·I2675·K004 $C = 6,7$ мкф, $U_{\max} = 4000$ В, вес $3 \times 3,3$ кг = 9,9 кг и тиристоров Т550-800-40-А2М2, диодов ДЛ153-1200-40 УХЛ2 (по две штуки последовательно соединенных) общий вес такого преобразователя составит не более 700 кг. Параметры основных элементов коммутирующих конденсатора и дросселя могут быть определены по формуле, предложенной в [2]

$$\tau_B = \lambda(\pi - 2 \arcsin \lambda), \quad (1)$$

где τ_B является относительным временем выключения тиристора, который равен:

$$\tau_B = \frac{I_n}{U_n C} \cdot t_e, \quad (2)$$

где t_e является паспортным временем выключения.

$$\lambda - \text{параметр } \lambda = \frac{I_n}{U_n C} \sqrt{LC}, \quad (3)$$

где I_n, U_n – номинальные значения тока и напряжения;

L, C – индуктивность и емкость коммутирующего контура.

Оптимальное значение параметра λ можно опередить, решая уравнение

$$f(\lambda) = \pi - 2 \arcsin \lambda - \frac{2\lambda}{\sqrt{1 - \lambda^2}}. \quad (4)$$

После решения уравнения (4) соответственно найдем:

$$\lambda = 0,65; \quad \tau_B = 1,1211.$$

Здесь особое внимание следует уделить низковольтному выпрямителю (возбудителю), где применена схема выпрямителя со средней точкой на тиристорах. Упрощенная схема этого выпрямителя и диаграммы его токов и напряжений приведены на рис. 3. Эта схема (без нулевого диода V_0) была применена на преобразователях электровозов ВЛ10, ВЛ11 и ВЛ15. Особенностью этой схемы является ее быстрдействие. На рис. 3, в показаны формы




Рис. 3. Схемы выпрямителей (возбудителей) статического преобразователя ВЛ10, ВЛ11 и ВЛ15 (рис. 3, а), Чешского варианта для ВЛ11 (рис. 3, б) и их диаграммы токов и напряжений.

выпрямленного напряжения U_B и мгновенного значения тока возбуждения i_B . В реальных условиях эксплуатации часто возникают скачки напряжения контактной сети вниз. В этих случаях необходимо быстро уменьшить ток возбуждения, в противном случае по якорным цепям могут протекать токи большой величины.

При быстром уменьшении тока возбуждения первоначальный угол управления α_1 автоматически увеличивается до α_2 . В этом случае к обмотке прикладывается отрицательное напряжение $-U$, вследствие этого ток I_B быстро уменьшается, как это показано на рис. 3, г.

Совсем по-другому уменьшается ток возбуждения в выпрямителе с нулевым диодом V_0 , показанном на рис. 3, а пунктиром.

На рис. 3, д показана форма выпрямленного напряжения при наличии нулевого диода. В этом случае как бы быстро не прекратили управление тиристорами VS1 и VS2, ток возбуждения замыкается через нулевой диод V_0 и медленно уменьшается, как это показано на рис. 3, е. Аналогичным образом ведет себя и схема рис. 3, б.

В свое время многие специалисты, забывая о требованиях к быстродействию возбудителя, в целях повышения энергетических показателей самих преобразователей, их выпрямители выполняли с нулевым диодом. Все это приводило к увеличению инерционности возбудителя. Необходимо отметить, что она в этом случае становится больше, чем у вращающегося преобразователя.

Как показали испытания электровоза ВЛ15, снабженного выпрямителями без диода V_0 для питания обмоток возбуждения при скачках напряжения контактной сети вниз на 1250В (по требованию ГОСТа 30%), значения якорных токов не превышали двухкратных значений, при длительности амплитуды $t = 0,12 - 0,2$ с. При наличии нулевого диода в выпрямителе или согласно рис. 3, б, питающих обмотки возбуждения, максимальное значение скачков напряжения контактной сети составит не более 300-400В.

На рис. 4 приводится силовая схема рекуперативного торможения одной секции электровоза ВЛ11 в режиме параллельного (П) соединения тяговых двигателей. Источники питания пар обмоток возбуждения обозначены через В1 и В2 и представляют собой выпрямители со средней точкой согласно рис. 3, а без нулевого вентиля V_0 .

Как это видно из рис. 4 в схеме отсутствуют реле рекуперации, при которых происходят резкие толчки входного тока рекуперации из-за большого разброса уставки реле 50-100В. Вместо них применены диоды V1, V2, при которых происходит плавный вход в рекуперацию без толчков. Помимо этого эти диоды обеспечивают хорошее распределение токов

параллельных ветвей, благодаря которым генераторы (тяговые двигатели) друг на друга не могут работать.

В схеме для защиты выпрямителей В1 и В2 от пробоя применены два обыкновенных тиристора VS1, VS2, которые отпираются при срабатывании быстродействующих контакторов К5 и К6 при напряжениях 500В и выше порога стабилитронов (не показанных в схеме), находящихся в их цепях управления.




Рис. 4. Силовая схема рекуперативного торможения одной секции электровоза В.Л11 в режиме параллельного (П) соединения тяговых двигателей

В настоящее время развитие силовой полупроводниковой электроники в части создания и внедрения мощных транзисторов типа IGBT на 6500В, 600А, 3300В, 1200А и т.д. позволит создавать также быстродействующую систему питания обмоток возбуждения, построенному уже по другому принципу без применения трансформаторов и выпрямителей.

Однако, несмотря на это многие специалисты Европы [3], забывая об основных требованиях к быстродействию возбудителя, гоняясь за дешевизной в преобразователях применяют низковольтные транзисторы IGBT, одновременно возбудители (выпрямители) выполняют согласно рис. 3, б. Такого рода преобразователи для питания обмоток возбуждения тяговых двигателей электровоза ВЛ11 чешская фирма Di-Elcom sro совместно с ТЭВЗ разработали и внедрили на 20 (двадцати) электровозах ВЛ11.

Упрощенный вариант этой схемы приводится на рис. 5.

Как это ясно из схемы рис. 5, от конденсаторов С1, С2... фильтра питаются однофазные инверторы, работающие в режиме ШИМ (широтно-импульсной модуляции) при высокой частоте (до 20 кГц). От этих инверторов получают питание трансформаторы Тр1, Тр2... со своими выпрямителями со средней точкой. Величину тока возбуждения регулируют с помощью ШИМ. Преимуществом такого рода преобразователя является его дешевизна, а также малые габариты и вес. Крупным недостатком является большая инерционность.

Как отмечалось выше, быстродействующую систему питания пары обмоток возбуждения можно построить по другому принципу, где используются как высоковольтные, так и низковольтные транзисторы IGBT. Одна из простейших схем приведена на рис. 6. Здесь также величину тока возбуждения регулируют за счет ШИМ, где к обмоткам возбуждения в отдельные моменты времени наряду с положительным напряжением также прикладывается и отрицательное напряжение, что осуществляется за счет транзисторов VT1, VT2. Форма напряжения при этом повторяет рис. 3, в. Быстродействие этой схемы такое же, как рис. 3, а.

Среднее значение напряжения обмоток возбуждения определяется длительностью открытого состояния транзисторов VT1 и VT2 и равно

$$U_B = U \left(\frac{2t_1}{T} - 1 \right) \quad (5)$$

где U – величина напряжения питания;

t_1 – длительность открытого состояния VT1, VT2;

T – период регулирования.

Схема рис. 6 работает следующим образом. Как это ясно из рис. 6, напряжение контактной сети с помощью фильтра L1, С1 подается на транзистор VT3, который рассчитан на полное напряжение. С помощью этого транзистора также методом ШИМ на конденсаторе

C2 поддерживается низкое стабильное напряжение порядка 300В. Далее с помощью транзисторов VT1, VT2 также методом ШИМ регулируется величина тока




Рис. 5. Схема статического преобразователя на низковольтных транзисторах IGBT для питания пары обмоток возбуждения тяговых двигателей постоянного тока в рекуперативном режиме.




Рис. 6. Быстродействующая схема статического преобразователя на транзисторах IGBT для питания обмоток возбуждения тяговых двигателей электровозов постоянного тока в рекуперативном режиме

возбуждения. В схеме показан обыкновенный тиристор VS1. Он защищает основные транзисторы VT1, VT2 и диоды V1, V2 от пробоя при срабатывании K2 и отпирается при коротких замыканиях в контактной сети. В цепи управления этого тиристора (как на рис. 4) имеется пороговый стабилитрон на 500В, который на рисунке не показан. В нормальном режиме работы этот тиристор VS1 заперт. При коротких замыканиях срабатывает K2, вследствие чего к управлению VS1 прикладывается напряжение больше порогового значения стабилитрона.

Габариты такого преобразователя будут минимальны, общий вес не более 400 кг при мощности 75 кВт.

ВЫВОДЫ

1. Применение транзисторов IGBT в системе питания обмоток возбуждения тяговых двигателей электровозов постоянного тока в рекуперативном режиме открывает новые перспективы получения быстродействующих преобразователей нового поколения с минимальными весом и габаритами.

2. Подобного типа преобразователи значительно повысят надежность электровозов в этом режиме и резко сократят эксплуатационные расходы.

ЛИТЕРАТУРА

1. **Карипидис С.И.** Динамика нелинейных систем тягового электропривода. Изд-во Технический университет, Тбилиси, 2012.
2. **Карипидис С.И.** Статические преобразователи электроподвижного состава. Изд-во Технический университет, Тбилиси, 2015.
3. **Чехура И., Болашвили Д.Н., Манджавидзе Н.Г., Зерекидзе А.И.** Статический преобразователь на базе IGBT транзисторов для электровозов постоянного тока. Труды ВЭЛНИИ, № 3, 2008.

**STATIC CONVERTERS ON IGBT TRANSISTORS TO DC ELECTRIC
LOCOMOTIVE TRACTION MOTORS FIELD COILS FEED IN
RECUPERATION MODE**

C. Karipidis, G. Sanikidze, Yu. Skhirtladze, G. Margvelashvili

Summary

In the article are noted major shortcomings of existing recovery schemes of DC electric VL10 and VL11 locomotives where the field coils of traction motors are feed by a rotary transducer. Are described schemes of static converters using ordinary thyristors and some schemes using IGBT transistors. It is noted that the replacement of rotary converters on static greatly simplify the transition of electric locomotives motors in the regenerative mode. In this paper is proposed a scheme of high-speed static converter that also replaces the rotating transducer and that by all its basic parameters superior all existing converters.


**სტატიკური გარდამქმნელი IGBT ტრანზისტორებზე მუდმივი
დენის ელმავლების წყვილითი ძრავების ალგზების
ბრუნების კვებისათვის რეკიპერაციულ რეჟიმში**

ს. კარიპიდისი, გ. სანიკიძე, ი. სხირტლაძე, გ. მარგველაშვილი

რეზიუმე

სტატიაში აღნიშნულია მუდმივი დენის ВЛ10 და ВЛ11 ელმავლების ამჟამად არსებული რეკუპერაციის სქემების ნაკლოვანებები, რომლებშიც წვეის ძრავების ალგზების გრაგნილები იკვებებიან მბრუნავი გარდამქმნელისაგან. აღწერილია სტატიკური გარდამქმნელების სქემები ჩვეულებრივი ტირისტორების გამოყენებით და ზოგიერთი სქემები IGBT ტრანზისტორების გამოყენებით. აღნიშნულია რომ მბრუნავი გარდამქმნელების შეცვლა სტატიკურებზე საგრძობლად აადვილებს ელმავლის გადასვლის სქემას მოტორულიდან რეკუპერაციულ რეჟიმზე. სტატიაში შემოთავაზებულია სწრაფმოქმედი სტატიკური გარდამქმნელის სქემა, რომელიც ასევე ცვლის მბრუნავ გარდამქმნელს და რომელიც ყველა ძირითადი პარამეტრებით აღემატება ამჟამად არსებულ ყველა გარდამქმნელს.

GTU
Transport and Mechanical
Engineering Department
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№2 (33)  2015
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

უპკ 621.86.12

**შპრეული ამოცანა მაგნიტურჰიდრაულიკურ საბიბეგელაში
არსებული რხევის განტოლებისათვის**

ს. ბიწაძე, რ. ბიწაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77,
0175, თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: ნაშრომში შესწავლილია ერთი შერეული ამოცანა კონკრეტული კონსტრუქციის მაგნიტურჰიდრაულიკურ საბიბეგელაში მიმდინარე პროცესების აღმწერი არაწრფივი ჰიპერბოლური ერთგვაროვანი განტოლებისათვის. ამონახსნი ჩაწერილია ცხადი სახით და დადგენილია მისი გავრცელების არე. ამოცანა გადაწყვეტილია მახასიათებელთა მეთოდისა და რიმანის ინვარიანტების გამოყენებით.

საკვანძო სიტყვები: რიმანის ინვარიანტები, მახასიათებელი წირები, რეგულარული ამონახსნი.

შესავალი

მაგნიტურჰიდრაულიკურ საბიბეგელაში [1] არსებული რხევის [2-3] მათემატიკური მოდელირებით მიიღება მეორე რიგის კერძოწარმოებულიანი არაწრფივი ჰიპერბოლური ერთგვაროვანი დიფერენციალური განტოლება

$$u_y^4 u_{xx} - u_{yy} = 0 \tag{1}$$

(1) განტოლების თითოეული მახასიათებელი უშვებს ორ პირველ ინტეგრალს, რომელთაც მონჟის აღნიშვნებში $p = u_x, q = u_y$ აქვთ შემდეგი სახე

$$\begin{cases} \left(\frac{1}{q} + p\right)x - u = const & \left(\frac{1}{q} - p\right)x + u = const \\ \frac{1}{q} + p = const & \frac{1}{q} - p = const \end{cases}$$

თუ მოცემულ პირველ ინტეგრალს შემოვიტანთ მახასიათებელ ξ, η ცვლადებად

$$\begin{cases} \xi = \left(\frac{1}{q} + p\right)x - u \\ \eta = \left(\frac{1}{q} - p\right)x + u \end{cases},$$

მაშინ შუალედური ინტეგრალები ჩაიწერება შემდეგი სახით

$$\begin{cases} \varphi'(\xi) = \frac{1}{q} + p \\ \psi'(\eta) = \frac{1}{q} - p, \end{cases}$$

სადაც φ და ψ – ნებისმიერი სამჯერ წარმოებადი ფუნქციებია.

ცნობილია, რომ წრფივი ჰიპერბოლური განტოლების მახასიათებლები მთლიანად განისაზღვრება მთავარი კოეფიციენტებით. ეს კოეფიციენტები არაწრფივ შემთხვევებში უკვე თავად არიან დამოკიდებული საძიებელ ფუნქციასა და მის პირველი რიგის წარმოებულზე. ვინაიდან ამ უკანასკნელებზე დამოკიდებული იქნება მახასიათებლებიც, შერეული ამოცანის წრფივი დასმის ავტომატურად გადატანა არაწრფივი განტოლების შემთხვევაში არ შეიძლება. ამიტომ ჩვენ მივმართავთ (1) განტოლების რიმანის მახასიათებელ ინვარიანტებს.

პირითადი ნაწილი

ვთქვათ, მოცემულია წირთა რკალები

$$\gamma: g(x) = x - 1, 1 \leq x \leq 3$$

და

$$\Delta: y = 0, 1 \leq x \leq 2$$

შერეული ამოცანა: ცვლადთა x, y სიბრტყეზე ვიპოვოთ (1) განტოლების რეგულარული ამონახსნი თავის განსაზღვრის D არესთან ერთად, თუ ამ ამონახსნის გასწვრივ γ წირი წარმოადგენს მახასიათებელ წირს და დაცულია შემდეგი პირობები

$$u|_{\Delta} = x - 1, \tag{2}$$

$$u_y(1, 0) > 0. \tag{3}$$

ამოცანის ფორმულირების მიხედვით γ წირი ჩვენ მივაკუთვნეთ $\xi = const$ მახასიათებელთა ოჯახს, რაც იმას ნიშნავს, რომ

$$g'(x) = u_y^{-2}(x, g(x)).$$

ამიტომ, (3)-ს ძალით

$$u_y|_\gamma = \frac{1}{\sqrt{g'(x)}} = 1.$$

თუ გათვალისწინებთ $u(1,0)$, $u_x(1,0)$ და $u_y(1,0)$ -ის მნიშვნელობებს, უშუალოდ გამოვთვლით ξ მახასიათებელი ინვარიანტის მნიშვნელობას $(1,0)$ წერტილში.

$$\xi(1,0) = 2$$

ცხადია, რომ

$$\xi|_\gamma = 2.$$

რადგან

$$du|_\gamma = (u_x|_\gamma + g'(x)u_y|_\gamma)dx,$$

(2)-ს გათვალისწინებით ვიპოვით $u|_\gamma$ და $u_x|_\gamma$. ე.ი. γ -ს გასწვრივ დადგინდება მახასიათებელი ინვარიანტების თითოეული კომპონენტი. Δ -ზე ჯერჯერობით უცნობია მხოლოდ წარმოებულის კვალი. $u_y|_\Delta$ -ს საპოვნელად ნებისმიერი ფიქსირებული $(x_1, 0)$, $1 < x_1 \leq 3$ წერტილიდან გავავლოთ $\eta = const$ ოჯახის Γ_1 მახასიათებელი წირი. γ და Γ_1 მახასიათებელი წირების გადაკვეთის წერტილი აღვნიშნოთ $M_o(x_o, y(x_o))$ -ით.

Γ_1 -ის გასწვრივ ადგილი აქვს თანაფარდობებს

$$\eta|_{\gamma_1} = \eta(x_o, g(x_o)),$$

$$\eta_1|_{\Gamma_1} = \eta_1(x_o, g(x_o)).$$

კერძოდ

$$\eta(x_1, 0) = \eta(x_o, g(x_o)),$$

$$\eta_1(x_1, 0) = \eta_1(x_o, g(x_o)),$$

რომელთა გათვალისწინებით ვღებულობთ

$$\frac{x_1 - 1}{x_1} - \frac{2x_o}{x_1} = 0.$$

ამრიგად,

$$x_o = \frac{x_1 + 1}{2}$$

და

$$u_y(x, 0) = 1, \quad x \in [1, 2]. \quad (4)$$

ახლა განვიხილოთ **კოშის ამოცანა**: ვიპოვოთ (1) განტოლების რეგულარული ამონახსნი (2), (4) პირობებში.

ადვილად დავრწმუნდებით [4], რომ (1), (2), (4) ამოცანის ამონახსნია

$$u(x, y) = x + y - 1.$$

იგი განსაზღვრულია არეში, რომელიც შემოსაზღვრულია მახასიათებელთა რკალებით

$$\gamma_1 : y = x - 1,$$

$$\gamma_2 : y = -x + 1,$$

$$\gamma_3 : y = -x + 2,$$

$$\gamma_4 : y = x - 2.$$

ახლა, თავდაპირველად მოცემული შერეული ამოცანის ამოხსნის მიზნით, ამოვხსნათ **გურსას ამოცანა**: ვიპოვოთ (1) განტოლების რეგულარული ამონახსნი, თავის განსაზღვრის არესთან ერთად, თუ ამ ამონახსნის გასწვრივ

$$\gamma : y = x - 1, \quad x \in [1\frac{1}{2}, 3],$$

$$\Gamma : y = -x + 2, \quad x \in [1\frac{1}{2}, 3].$$

წირები წარმოადგენენ მახასიათებელ წირებს და დაცულია პირობები

$$\xi|_{\gamma} = 2, \tag{5}$$

$$u|_{\Gamma} = 1. \tag{6}$$

შევნიშნოთ, რომ (1), (5) და

$$u(1\frac{1}{2}, \frac{1}{2}) = 1 \tag{7}$$

ამოცანას

$$\gamma_1 : y = x - 1,$$

$$\gamma_5 : y = -x + 2,$$

$$\gamma_4 : y = x - 2,$$

$$\gamma_6 : y = -x + 5$$

წირებით შემოსაზღვრულ არეში გააჩნია ორი ამონახსნი [5]

$$u(x, y) = x + y - 1$$

და

$$u(x, y) = 3x - y - 3.$$

ამ ამონახსნებიდან (6) პირობას აკმაყოფილებს მხოლოდ პირველი.

დასკვნა

ამრიგად, (1), (2), (3) შერეულ ამოცანას გააჩნია ერთადერთი ამონახსნი.

$$u(x, y) = x + y - 1$$

განსაზღვრული D არეში, რომელიც შემოსაზღვრულია მახასიათებელთა რკალებით

$$\gamma_1 : y = x - 1,$$

$$\gamma_2 : y = -x + 1,$$

$$\gamma_4 : y = x - 2,$$

$$\gamma_5 : y = -x + 5.$$

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ს. ბიწაძე, რ. ბიწაძე. პატენტი P 5869 (გამოგონება). საქპატენტი, 2013-08-13..
2. М.П. Александров. «Тормоза подъемно-транспортных машин». Москва, «Машиностроение», 1976, 381 с.
3. Э.М. Гусельников, В.Ф. Ротт. «Электрогидравлические толкатели», Москва, «Энергия», 1968г. 110с.
4. ს. ბიწაძე, რ. ბიწაძე. საწყისი ამოცანა მაგნიტურჰიდრაულიკურ საბიძგებელაში მიმდინარე პროცესების აღმწერი განტოლებისათვის. ტრანსპორტი და მანქანათ-მშენებლობა №1(32), 2015, გვ. 152-157.
5. ს. ბიწაძე, რ. ბიწაძე. ერთი მახასიათებელი ამოცანა მაგნიტურჰიდრაულიკურ საბიძგებელაში არსებული რხევების განტოლებისათვის. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №1(32), 2015, გვ. 147-151.

**СМЕШАННАЯ ЗАДАЧА ДЛЯ УРАВНЕНИЯ, ОПИСЫВАЮЩЕГО
ПРОЦЕССЫ, ПРОИСХОДЯЩИЕ В МАГНИТОГИДРАВЛИЧЕСКОМ
ТОЛКАТЕЛЕ**

С.Г. Бицадзе, Р.Г. Бицадзе

Резюме

В работе изучена смешанная задача для нелинейного гиперболического однородного уравнения, которое получено математическим моделированием процессов, происходящих в магнитогидравлическом толкателе конкретной конструкции. Показана единственность решения, которое записано в явном виде, и установлена область определения решения. Задача решена с применением метода характеристик и метода инвариантов Римана.

**A MIXED PROBLEM FOR AN EQUATION DESCRIBING PROCESSES
TAKING PLACE IN MAGNETOHYDRAULIC PUSHER**

S. Bitsadze, R. Bitsadze

Summary

A mixed problem for nonlinear hyperbolic equation, which is received by mathematical modeling of processes taking place in magnetohydraulic pusher of specific design, is studied in the work. There is shown the uniqueness of solution, which is written in an explicit form, and the domain of definitions for solution is established. The problem is solved with the use of method of characteristics and Riemann's invariant method.

უპკ 514.513

ამოცანა წრეწირების თანახმების შესახებ

ს. ბიწაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77,
0175, თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: ნაშრომში განხილულია შემთხვევა, როცა სამი წრეწირის მხები წრეწირის აგება ჟერგონის მეთოდით შეუძლებელია. ეს დაბრკოლება აცილებულია იმით, რომ ამოხსნა ისეთ ფორმაშია წარმოდგენილი, როცა მასში შემავალი თვისებები არ იცვლება ნებისმიერი ინვერსიის დროს. მოცემულია ამოხსნისათვის საჭირო ცნებები და დებულებები. მითითებულია ის უპირატესობები, რაც გააჩნია განხილულ მეთოდს ჟერგონის მეთოდთან შედარებით.

საკვანძო სიტყვები: წრეწირი, მხები, მსგავსების ცენტრები, რადიკალური ღერძი.

სამი წრეწირის მხები წრეწირის აგება ჟერგონის მეთოდით ყველა შემთხვევისათვის არ გამოიყენება – მას არ მივყავართ არავითარ შედეგამდე, როცა წრეწირების ცენტრები ერთ წრფეზე მდებარეობს [1]. ჩვენ ამ დაბრკოლებას თავიდან ავიცილებთ, თუ ამოხსნას ისეთ ფორმაში წარმოვადგენთ, რომ მასში შედიოდეს მხოლოდ ის თვისებები, რომლებიც არ იცვლებიან ნებისმიერი ინვერსიის დროს. ამის დასაბუთებისათვის ჩვენ დაგვჭირდება შემდეგი ცნებები და დებულებები [2-5].

კუთხე ორ მრუდს შორის მათი გადაკვეთის წერტილში ეწოდება ამ წერტილზე გავლებულ მათ მხებებს შორის წარმოშობილ კუთხეს. მაშასადამე, ორ თანამკვეთ წრეწირს შორის მდებარე კუთხე უდრის მათ საერთო წერტილზე გავლებულ რადიუსებს შორის მდებარე კუთხეს, ან მის შერეობით კუთხეს.

A წერტილის ხარისხი წრეწირის მიმართ ეწოდება A წერტილიდან გამომავალი მონაკვეთების ნამრავლს (მონაკვეთები აითვლება A წერტილიდან წრეწირთან გადაკვეთის წერტილებამდე). ნამრავლი აიღება „+“ ნიშნით, თუ A წერტილი წრეწირის გარეთ მდებარეობს და „-“ ნიშნით – წინააღმდეგ შემთხვევაში.

ორი მოცემული წრეწირის მიმართ ერთი და იმავე ხარისხის მქონე წერტილთა გეომეტრიული ადგილი არის ცენტრთა წირის პერპენდიკულარული წრფე, რომელსაც ორი წრეწირის **რადიკალურ ღერძს** უწოდებენ.

თუ სამი წრეწირის რადიკალური ღერძები ერთ წერტილში გადაიკვეთება, მაშინ ამ წერტილს სამი წრეწირის **რადიკალური ცენტრი** ეწოდება.

ვთქვათ, შერჩეულია წერტილი S , რომელსაც ეწოდება **მსგავსების ცენტრი** (ან ჰომოთეტიის ცენტრი) და რიცხვი k , რომელსაც მსგავსების კოეფიციენტი ეწოდება. რაიმე M წერტილის **ჰომოთეტიური** წერტილი ეწოდება ისეთ M' წერტილს, რომელიც მიიღება, თუ M წერტილს S წერტილთან წრფით შევაერთებთ და ამ წრფეზე S წერტილიდან SM -ის ან მისი მოპირდაპირე მიმართულებით გადავზომავთ ისეთ SM' მონაკვეთს, რომ ადგილი ექნება ტოლობას $\frac{SM'}{SM} = k$.

ჰომოთეტიას ეწოდება **პირდაპირი**, თუ SM' მონაკვეთი იმავე მიმართულებით გადაიზომება, როგორც SM , და **შებრუნებული**, როცა ორივე ეს მონაკვეთი აღებულია მოპირდაპირე მიმართულებით.

ორ წრეწირს აქვს მსგავსების ორი ცენტრი. ერთს, რომელიც შეესაბამება პირდაპირ ჰომოთეტიას, ეწოდება **გარე**, მეორეს, რომელიც შეესაბამება შებრუნებულ ჰომოთეტიას – **შიგა**.

სამი წრეწირი შეიძლება განვიხილოთ როგორც წყვილ-წყვილად ჰომოთეტიური ფიგურები და მასთან ოთხი სხვადასხვა ხერხით. მსგავსების სამი გარე ცენტრი ერთ წრფეზე ძევს. ასევე ერთ წრფეზე ძევს მსგავსების ყოველი გარე ცენტრი მისი არა შესაბამისი მსგავსების ორი შიგა ცენტრით. ამგვარად, განსაზღვრულ ოთხ წრფეს **მსგავსების ღერძები** ეწოდება. ერთი მათგანი მსგავსების გარე ღერძია, დანარჩენი სამი შიგა ღერძებია. ისინი წყვილ-წყვილად გადაიკვეთება მსგავსების ექვს ცენტრში.

ორ C და D წერტილს, რომლებიც ერთსა და იმავე მონაკვეთს ყოფენ, ერთი მათგანი შიგნიდან, ხოლო მეორე – გარედან, ეწოდება **ჰარმონიულად შეუღლებული წერტილები** ამ მონაკვეთის ბოლოების მიმართ.

თუ წრის სიბრტყეში მდებარე A წერტილზე გავავლებთ ნებისმიერ მკვეთს, რომელიც წრეწირს M და N წერტილებში გადაკვეთს, მაშინ გეომეტრიული ადგილი, A წერტილთან ჰარმონიულად შეუღლებულ P წერტილებისა M და N წერტილების მიმართ, წრფეს წარმოადგენს. ამ წრფეს A წერტილის **პოლარი** წრეწირის მიმართ, ხოლო A წერტილს – ამ წრფის **პოლუსი** ეწოდება.

თუ შერჩეულია O წერტილი – **ინვერსიის პოლუსი** და რიცხვი k – **ინვერსიის ხარისხი**, მაშინ OM წრფის M' წერტილს ეწოდება M -ის **შექცეული** იმ შემთხვევაში, როცა

$$OM \cdot OM' = k.$$

ვთქვათ, მსგავსების ცენტრიდან გამოძვალა მკვეთი გადაკვეთს C წრეწირს M და N წერტილებში და C' წრეწირს – M' და N' წერტილებში ისე, რომ M' წერტილი M წერტილის შესაბამისი წერტილია, ხოლო N' წერტილი – N წერტილის. თუ წრეწირებს განვიხილავთ როგორც ჰომოთეტიურ ფიგურებს, მაშინ ურთიერთშექცეული წერტილები იქნება ერთი მხრივ M და N' , მეორე მხრივ – M' და N . ამ წერტილებს ანტიჰომოლოგიურ წერტილებს უწოდებენ.

ვთქვათ, A , B და C სამი მოცემული წრეწირია. ავიღოთ ისეთი b წერტილი, რომელიც ანტიჰომოლოგიურია A წრეწირის რომელიმე a წერტილის A და B წრეწირთა მსგავსების ერთ-ერთი S_{12} ცენტრის მიმართ, და აგრეთვე ისეთი C წერტილი, რომელიც ანტიჰომოლოგიურია b წერტილისა B და C წრეწირთა მსგავსების ერთ-ერთი S_{23} ცენტრის მიმართ.

a , b და c წერტილებზე გამავალი σ წრეწირი გადაკვეთს მოცემულ სამ წრეწირს სამ ახალ a' , b' და c' წერტილში და ამასთან ერთი და იგივე კუთხით. ამრიგად, a' და b' წერტილები ანტიჰომოლოგიურია S_{12} ცენტრის მიმართ, ხოლო b' და c' წერტილები – S_{23} ცენტრის მიმართ. გარდა ამისა, a და c' წერტილები და a' და c წერტილები იქნება წყვილ-წყვილად ანტიჰომოლოგიური A და C წრეწირთა მსგავსების ერთ-ერთი S_{12} ცენტრის მიმართ.


თუ a წერტილს შევცვლით A წრეწირის მეორე a_1 წერტილით, მივიღებთ σ -ს ანალოგიურ მეორე σ_1 წრეწირს. S_{12} წერტილს აქვს ერთი და იგივე ხარისხი σ და σ_1 წრეწირების მიმართ, იგივე ითქმის S_{23} წერტილის შესახებაც. მაშასადამე, σ და σ_1 წრეწირთა რადიკალური ღერძი XY მოცემულ წრეწირთა მსგავსების ღერძი იქნება. ცხადია, მსგავსების S_{13} ცენტრი იქნება A და C ცენტრების მსგავსების ის ცენტრი, რომელიც მსგავსების S_{12} და S_{23} ცენტრებთან ერთად მსგავსების ერთ ღერძზე ძევს.

